Изучение и анализ подобных патологий в итоге может привести к формированию и развитию нового направления в рамках институциональной теории – направлению, названного нами патоинституционализмом (данное название, возможно, кому-то и не понравится, в связи с чем может быть предложен какой-то другой вариант – но ясно, что дело не столько в названии, сколько в сути проблемы). Учитывая, что, как уже выше отмечалось, в последнее время участились и стали по своим последствиям все более разрушительными всевозможные кризисы как глобального, так и локального характера, представляется, что развитие патоинституционализма может стать весьма актуальным. Его развитие будет происходить во взаимосвязи не только с другими направлениями институциональной теории, но и с иными экономическими концепциями. Так, представляется, что тесное взаимодействие может произойти между развитием патоинституционализма и экономической режимологией, которую интенсивно развивает в своих научных трудах профессор из Донецка В.И. Ляшенко [7] (например, перспективно, на наш взгляд, введение в научный оборот и в теоретический анализ понятия «паторежим»).

Целесообразно различать, на наш взгляд, патологии в институциональной системе, в институциональной среде и в самих институтах (в этом случае последние можно называть патоинститутами). Так, к патоинститутам можно отнести устаревшие институты, нуждающиеся в замене или обновлении; отжившие институты, приносящие вред и мешающие реализации прогрессивных мероприятий, а также неправильные институты, тормозящие развитие социально-экономических процессов, например, процесс модернизации российского общества. Учитывая, что институт – это совокупность, состоящая из правила или нескольких правил и внешнего механизма принуждения индивидов к исполнению этих правил [1], т.е. это сложное понятие и в случае обнаружения в нем какой-то патологии в связи с этим нужно искать, в каком конкретном элементе или элементах этого института данная патология возникла. Целесообразно также осуществить классификацию патоинститутов, например, по сферам действия – патоинституты в социальной, в правовой, в экологической сферах и т.п. Патоинституционализм, таким образом, поможет диагностировать развитие патологий, т.е. болезней в институтах и институциональной среде, а также разработать методы борьбы с ними (т.е. методы их лечения). Кроме этого, его развитие может в будущем способствовать профилактике возникновения патоинститутов.

Кроме патоинститутов, патологии могут возникнуть также в институциональной среде или системе. В этом случае патологии следует искать в механизме взаимосвязи и взаимодействия между элементами данной системы. Однако, важнейшей задачей патоинституционализма в обозримом будущем, на наш взгляд, будет являться задача определения критериев и показателей выделения патологий, причем не только в самой институциональной системе и в институтах, но и в условиях их функционирования и развития. Учитывая также, что в последнее время все чаще говорят о необходимости выращивания различных институтов, представляется, что, для того, чтобы не вырастить патоинститут и нормализовать процесс выращивания эффективных институтов, этому процессу в рамках патоинституционализма также следует уделить самое пристальное внимание. Таким образом, очевидно, что данное направление институциональной теории весьма актуально и в перспективе оно может иметь большое теоретическое и практическое значение для развития всей экономической теории и хозяйственной практики.

Использованная литература

1. Институциональная экономика: новая институциональная экономическая теория / Под ред. профессора А.А. Аузана. М.: ИНФРА-М, 2005. 416 с.
2. Институциональные проблемы эффективного государства / Под ред. В.В. Дементьева, Р.М. Нуриева. Донецк: Донецкий национальный технический университет, 2011. 292 с.
3. Ядгаров Я.С. История экономических учений: Учебник. – 4-е изд., перераб. и доп. М.: ИНФРА-М, 2004. 480 с.
4. Носова О.В. Институциональная теория и ее применение на постсоветском пространстве / В коллективной монографии: Социально-экономическое развитие славянских стран СНГ: сравнительный анализ (Серия: Экономическое славяноведение) / Под научной ред. К.В. Павлова и И.З. Юсупова (параграф 9 главы 12). Ижевск: Изд-во «Митра», 2012. 837 с.
5. Нусратуллин В.К. Неравновесная экономика. 2-е изд., доп. М.: Компания Спутник+, 2006. 482 с.
6. Павлов К.В. Патологические процессы в экономике. М.: Магистр, 2009. 461 с.
7. Ляшенко В.И. Финансово-регуляторные режимы стимулирования экономического развития: введение в экономическую режимологию. Донецк: Институт экономики промышленности НАН Украины, 2012. 370 с.

8. Экономический механизм и особенности инновационной политики на Севере / Под научной ред. В.С. Селина, В.А. Цукермана. Апатиты: Изд-во Кольского научного центра РАН, 2012. 255 с.
9. Павлов К.В. Патологические процессы в эколого-экономической сфере. Германия: Изд-во LAP LAMBERT, 2011. 438 с.
10. Павлов К.В. Региональные эколого-экономические системы. М.: Магистр, 2009. 351 с.

კონსტანტინე პავლოვი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ПАТОИНСТИТУТИზმები, ПАТОИНСТИТУციონალიზმი და რუსეთის ეკონომიკის
მოდერნიზაცია
ანოტაცია**

სტატიაში მოცემულია პათოინსტიტუციონალიზმის დახასიათება, როგორც ინსტიტუციური თეორიის პერსპექტიული მიმართულება. განსაზღვრულია პათოინსტიტუტების არსი და კრიტერიუმები. აგრეთვე ამ ცნებების გამოყენების შესაძლებლობა რუსეთის ეკონომიკის მოდერნიზაციის თავისებურებებისა და ანალიზისას.

Константин Павлов

*доктор экономических наук, профессор, проректор по научной работе Ижевского института управления, зав. кафедрой экономики
Камского института гуманитарных и инженерных технологий,*

**ПАТОИНСТИТУТЫ, ПАТОИНСТИТУЦИОНАЛИЗМ
И МОДЕРНИЗАЦИЯ РОССИЙСКОЙ ЭКОНОМИКИ
Аннотация**

В статье дается характеристика патоинституционализма как перспективного направления институциональной теории, определяются сущность и критерии выделения патоинститутов сквозь призму возможности использования этих понятий при анализе факторов и особенностей модернизации российской экономики.

Konstantin Pavlov

Doctor of Economics, professor, vicerector for scientific work of the Izhevsk institute of management, department chair of economy Kamsky institute of humanitarian and engineering technologies

**PATOINSTITUTY, PATOINSTITUTIONALISM AND MODERNIZATION OF THE
RUSSIAN ECONOMY
Annotation**

In article the patoinstitutsionalizm characteristic as perspective direction of the institutional theory is given, the essence and criteria of allocation patoinstituty through a prism of possibility of use of these concepts are defined in the analysis of factors and features of modernization of the Russian economy.

ეკონომიკური თეორია

ეკატერინე მაღლაკელიძე
საქართველოს უნივერსიტეტის ასოც. პროფ.
ელისაბედ მაღანია
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოც. პროფ.

კონკურენტულ ელექტრობაზარზე გადასვლის წინაპირობები და მოსალოდნელი შედეგები

მიუხედავად იმისა, რომ ელექტროენერგეტიკა ეკონომიკის სხვა დარგებთან და ქვედარგებთან განსხვავებით შედარებით უკეთ მუშაობს, ქვეყანას მაინც აქვს ენერგიის წარმოების დეფიციტი. მისი იმპორტი კი ძვირადღირებულია და, ტექნიკური და პოლიტიკური მიზეზების გამო, არც ყოველთვის შესაძლებელი. ისიც ცხადია, რომ ენერგიის მოხმარების მოცულობები ცხოვრების დონის ამაღლების პროპორციულად მზარდია და, ექსპერტების აზრით, საყოფაცხოვრებო სექტორში ენერგიის მოხმარების დონე უახლოეს მომავალში საგრძნობლად გაიზრდება. ენერგიის მოხმარების რაოდენობრივ ზრდასთან ერთად, მრავალფეროვანი გახდება მისი სტრუქტურაც.

ცხრილი №1 გვიჩვენებს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას ელექტროენერგიის მოხმარების ზრდასთან მიმართებაში მომდევნო 4 წლის განმავლობაში.

ცხრილი №1

მშპ-ის და ელექტროენერგიის მოხმარების პროგნოზი

	მშპ-ის %	სიმძლავრის მოხმარება გიგავატი-საათი
2007	12.3	7.815.4
2008	2.3	8.075.2
2009	3.8	7.642.1
2010	2.4	8.442.0
2011	4.0	9.256.6
2012	5.0	9.673.1
2013	5.0	10.108.4
2014	5.	10.563.3
2015	5.0	11.038.7

წყარო: სახელმწიფო დოკუმენტი

უკანასკნელ წლებში საყოფაცხოვრებო-კომუნალურ სფეროში ჩამოყალიბებული ენერგიის მოხმარების ოპტიმალური ნორმებისა და საქართველოს კლიმატური პირობების გათვალისწინებით ჩატარებული გაანგარიშების საფუძველზე დადგინდა, რომ საშუალო ოჯახის მინიმალური, ბიოლოგიური ნორმით აუცილებელი ენერგიის მოხმარება წელიწადში 1150 კვ პირობითი საწვავით (პ.ს.) ფასდება (დ. ზუბიტაშვილი, “საყოფაცხოვრებო კომუნალური სექტორი და მისი ენერგეტიკული რესურსები”, 2006). თუ ოთხმოციან წლებში საშუალო ოჯახის (4 სულიანი) ენერგიის წლიური მოხმარების ღირებულება 200-250 მანეთს შეადგენდა, 2013 წლისათვის ამ მაჩვენებელმა ფასის შესადარი კურსით ყველაზე ოპტიმალური სტრუქტურის პირობებშიც კი წელიწადში 659 ლარი შეადგინა, ხოლო არარაციონალური სტრუქტურით ხარჯვისას 3000 ლარს გადააჭარბა. როგორც ჩვენს მიერ ჩატარებული მარტივი ანგარიშით ირ-

კვლევა, სოციალურ სექტორში ყველაზე ოპტიმალური ენერგორესურსებია შეშა და ბუნებრივი გაზი. კერძოდ, შეშისა და ელექტროენერგიის კომბინირებული გამოყენების სცენარით ჩატარებული ანგარიშით, საშუალო ოჯახის წლიური ხარჯი ენერგიაზე მოთხოვნის მინიმალური დონის დასაკმაყოფილებლად 388 ლარს შეადგენს, ხოლო ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერგიის გამოყენების შემთხვევაში იგივე ხარჯი 875 ლარს უტოლდება. განსაკუთრებით ძვირია საოჯახო ენერგეტიკული მოთხოვნის დაკმაყოფილება მხოლოდ ელექტროენერგიის ხარჯზე და, როგორც გათვლებმა გვიჩვენა, ელექტროენერგიის მოქმედი ტარიფის გათვალისწინებით, მომხმარებლებს წლიურად 1805 ლარის გადახდა მოუწევთ.

დღესდღეობით, შინამეურნეობების უმრავლესობისათვის ეს ასტრონომიული ციფრია, მაგრამ თუ მოხერხდება ელექტროენერგიაზე ტარიფების შემცირება, გამოირიცხული არ არის, რომ საოჯახო ენერგეტიკული მოთხოვნა მთლიანად ელექტროენერგიის ხარჯზე დაკმაყოფილდეს. ამის ენერგოპოტენციალი ქვეყანას ნამდვილად გააჩნია და სწორი ენერგოპოლიტიკის გატარების პირობებში ეს სრულიად მიღწევადი ამოცანაა.

ელექტროენერგიაზე მოთხოვნის ზრდა და, შესაბამისად, ელექტროენერგიაზე ტარიფების შემცირება კი დღის წესრიგში აყენებს ელექტრობაზრის არსებული მოდელისა და ელექტროენერგიით ვაჭრობის არსებული მექანიზმის ცვლილებას. საუბარია იმაზე, რომ არსებული ელექტრობაზრის მოდელის პირობებში ელექტროენერგიაზე ფასის რეგულირება ექსტენსიურია. ეს მდგომარეობა თავის გამოხატულებას საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის (სსე), სს “თელასი“-ს, სს “ენერგო-პრო ჯორჯია“-ს, კახეთის ენერგოდისტრიბუციის და ენერგოსისტემის კომერციული ოპერატორის (ესკო) მონოპოლიასთან მიახლოებულ სტატუსში პოულობს. ელექტრობაზრის დერეგულირების და, მაშასადამე, ბაზრის კონკურენტულ მოდელზე გადასვლის უმნიშვნელოვანესი წინაპირობა უნდა იყოს ელექტროგენერაციის ზრდა, საქართველოს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის მაქსიმალური ათვისება და ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენება.

ახალი ჰიდროსადგურების მშენებლობის პროცესი სახელმწიფოს მიერ რეგულირდება. ყველა დაინტერესებულ პირს აქვს უფლება შეავსოს სპეციალური აპლიკაცია ჰესის მშენებლობის თაობაზე. ასეთი პროექტები არის ინდივიდუალური მოლაპარაკებების/ხელშეკრულებების საგანი საქართველოს მთავრობასთან. არსებობს ჰიდროელექტროსადგურების პროექტების სრული სია, რომელთა მშენებლობაზეც მთავრობის მხრიდან მემორანდუმებს მოეწერა ხელი (იხ. ცხრილი 2). არსებული პროექტების მიხედვით, ელექტროსადგურების მთლიანი დადგენილი სიმძლავრე 1,876 მგვტ.-ს შეადგენს წლიური გენერაციით 7,4 TWh, სულ ინვესტიციების რაოდენობა 2,945.1 მილიონი დოლარია. მთავრობის გადაწყვეტილება ახალი სიმძლავრეების მშენებლობასთან დაკავშირებით, სხვა ფაქტორებთან ერთად, ქვეყნის შიგნით ელექტროენერგიის მოხმარების ზრდითაც არის განპირობებული. თუ ყველა ეს პროექტი, რომელიც მე-2 ცხრილშია მოცემული დროულად განხორციელდა, შედარებით კონკურენტულ ელექტრობაზარზე გადასვლა უკვე რეალურად შესაძლებელი გახდება.

საქართველოს მთავრობას გაწერილი აქვს ელექტრობაზრის გახსნის თანმიმდევრული გრაფიკი თავის სახელმწიფო ენერგოპოლიტიკაში. წლიური მოხმარების ზღურბლი, რომლის დაკმაყოფილებაც აუცილებელია ელექტროენერგიის პირდაპირი კონტრაქტით შესყიდვის უფლების მოსაპოვებლად, ამჟამად ფართოვდება და ეს პროცესი ბაზრის სრულ გახსნამდე გაგრძელდება, რაც 2017 წლისათვის არის დაგეგმილი. ამას ადასტურებს USAID-ის განსახილველად დელოიტე კონსალტინგის (Deloitte Consulting in collaboration LLP with Pierce

Atwood Attorneys LLC) მიერ 2012 წელს მომზადებული ქართული ელექტრო-
ბაზრის მოდელის (ქეზმ) და ელექტროენერგიით ვაჭრობის მექანიზმის (ევმ)
საბოლოო რედაქტირებული ვარიანტი

ცხრილი 2

განსახორციელებელი პროექტების სია

პროექტის დასახელება	კომპანია	ქვეყანა	დადგენი- ლი სიმ- ლაგრი (მგვტ)	წლიური გამომუ- შავება (გვტ.სთ)	ინვეს- ტიცია (მლნ. აშშ დო- ლარი)	სვარაუდო დაწყება/დას- რულების თარიღი
მტკვარი ჰესი		საქართველო	43.00	200.00	65.00	2009 წ. 1 დეკემბერი - 2015 წ. 1 სექტემბერი
ფარავანი ჰესი	Georgian Urban Energy	თურქეთი	78.00	425.00	125.00	2009 წ. 24 ივლისი - 2013წ. 24 ივლისი
ღარსი ჰესი	Energy	საქართველო	20.00	98.00	20.00	2011 წ. -2013 წ. 31 ოქტომბერი
ღარიალი ჰესი	Darial- Energy	საქართველო- აშშ	109.00	521.00	135.00	2011 წ. 19 ნოემბერი-2014 წ. 19 მაისი
გუბაზეული-6 ჰესი	EMCT	თურქეთი	3.10	20.25	4.20	2011 წ. 15 დეკემბერი- 2013 წ. 15 დეკემბერი
შილდა ჰესი	GGEDC	საქართველო	4.80	28.00	6.00	2011 წ. ოქტომბერი- 2013 წ. ოქტომბერი
ხელვანაური ჰესი 1	Achar Energy	თურქეთი	36.38	154	57,23	2012 წ. 1 იანვარი-2016 წ. 31 დეკემბერი
ხელვანაური ჰესი 2	Achar Energy	თურქეთი	34.65	168	69.57	დაწყება-2012 წ. 1 იანვარი- 2016 წ. 31 დეკემბერი
კირნათი ჰესი	Achar Energy	თურქეთი	34.64	173	69.22	2012 წ. 1 იანვარი-2016 წ. 31 დეკემბერი
ხუდონი ჰესი	Trance Electrica LTD	ინდოეთი	702.00	1.500	776.70	2012 წ. 28 აპრილი-2017 წ. 28 აპრილი
ვაიო ჰესი	Clean Energy	ნორვეგია	40.40	196.00	89.00	2012 წ. 10 ოქტომბერი- 2015 წ. 10 აპრილი
ჭოროხი ჰესი	Clean Energy	ნორვეგია	36.20	182.00	80.00	2012 წ. 10

						ოქტომბერი- 2015 წ. 10 აპრილი
ლეკარდე ჰესი	ATAÇ	თურქეთი	20.00	107.00	31.75	2013 წ. 5 მაისი-2016 წ. 5 იანვარი
ზომლეთისი	Clean Energy	ნორვეგია	31.20	147.00	69.00	2012 წ. 10 ოქტომბერი- 2015 წ. 10 აპრილი
არაგვი ჰესი	Energo Aragvi	საქართველო	8.00	50	11.00	2012 წ. 15 თებერვალი- 2015 წ. 15 თებერვალი
სობი ჰესი 1	Georgian envestment Group	საქართველო	46.50	247	81.00	2014 წ. 1 ნოემბერი-2017 წ. 1 ნოემბერი
სობი ჰესი 2	Georgian envestment Group	საქართველო	39.50	221	65.00	2011 წ. 1 დეკემბერი- 2015 წ. 1 აპრილი
ლუხუნი 1 ჰესი	Rusmetal	საქართველო	10.80	66	18.18	2015 წ. 1 მაისი-2019 წ. 1 დეკემბერი
ლუხუნი 2 ჰესი	Rusmetal	საქართველო	12.00	74.00	20.20	2010 წ. 1 აგვისტო-2014 წ. 1 დეკემბერი
ლუხუნი 3 ჰესი	Rusmetal	საქართველო	7.50	46	12.62	2020 წ. 1 მაისი-2024 წ. 1 დეკემბერი
ბახვი 1 ჰესი	KGM	თურქეთი	15.0	85.00	42.00	2013 წ. 1 ივნისი-2017 წ. 1 აგვისტო
ბახვი 2 ჰესი	KGM	თურქეთი	20.00	110.00	35.00	2011 წ. 1 დეკემბერი- 2013 წ. 30 ნოემბერი
ბახვი 3 ჰესი	KGM	თურქეთი	6.00	35.00	9.70	2011 წ. ოქტომბერი - 2012 წ. აგვისტო
ბახვი 5 ჰესი	KGM	თურქეთი	2.00	11.00	3.40	2012 წ. 10 იანვარი-2013 წ. 1 ივლისი
კინტრიში ჰესი	Hydro Develop- ment Company	საქართველო	5.00	30.00	8.00	2012 წ. 25 მარტი-2014 წ. 25 ივლისი
ნაბეღლავი ჰესი	Aliance Energy	საქართველო	1.90	13.00	2.80	2011 წ. 15 დეკემბერი- 2013 წ. 30 მაისი

მაგანა ჰესი	ATAÇ	თურქეთი	20.60	106.40	32.70	2013 წ. 5 მაისი-2016 წ. 5 იანვარი
ცაგერი ჰესი	Kolin	თურქეთი	110.00	570.00	200.00	2012 წ. 15 ივლისი-2017 წ. 15 თებერვალი
ვეირილა ჰესი	Zoti Hydro	საქართველო- ჩეხეთი	5.20	22.00	11.61	2010 წ. 1 დეკემბერი- 2015 წ. 1 დეკემბერი
ზოტი ჰესი	Zoti Hydro	საქართველო- ჩეხეთი	36.00	144.00	80.39	2010 წ. 1 დეკემბერი- 2015 წ. 1 დეკემბერი
ალპანა ჰესი	Energo-Pro Georgia	საქართველო- ჩეხეთი	44.00	236.00	117.00	2014 წ. 1 აპრილი-2018 წ. 1 აპრილი
სადმელი ჰესი	Energo-Pro Georgia	საქართველო- ჩეხეთი	125.00	620.00	250.00	2011 წ. 1 ნოემბერი-2016 წ. 1 მარტი
არაკალი ჰესი	Optimum Energy	თურქეთი	11.00	63.00	21.52	2012 წ. 30 აპრილი-2014 წ. 30 მაისი
აბული ჰესი	Optimum Energy	თურქეთი	20.00	129.00	39.13	2012 წ. 30 აპრილი-2014 წ. 30 მაისი
ახალქალაქი ჰესი	Optimum Energy	თურქეთი	15.00	85.00	29.35	2012 წ. 30 აპრილი-2014 წ. 30 მარტი
ფარაფის ქარის ელექტროსად- გური	Wind Energy Invest	ჩეხეთი	50.00	170.00 მგვტ.სთ	100.80	2013 წ. 1 მაისი-2014 წ. 1 ნოემბერი
კორუმხეთი ჰესი	Clean Energy	ნორვეგია	21.00	113.00	46.00	2012 წ. 10 ოქტომბერი- 2015 წ. 10 აპრილი
აჭარისწყალი 1 ჰესი	Clean Energy	ნორვეგია	26.46	128.00	58.00	2012 წ. 10 ოქტომბერი- 2015 წ. 10 აპრილი
აჭარისწყალი 2 ჰესი	Clean Energy	ნორვეგია	13.76	66.00	30.00	2012 წ. 10 ოქტომბერი- 2015 წ. 10 აპრილი
აჭარისწყალი 3 ჰესი	Clean Energy	ნორვეგია	6.09	32.00	13.00	2012 წ. 10 ოქტომბერი- 2015 წ. 10 აპრილი

წყარო: საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

http://hydropower.ge/user_upload/USAIDHIPP_REPORT_GEMM_2015_AND_ETM_Draft_FINAL.pdf, რომელშიც დაწვრილებით არის გაწვრილები ის სტრუქტურული და

სამართლებრივი ცვლილებები, რომლებიც უნდა გატარდეს იმისათვის, რომ რეგულირებადი ბაზრის გვერდით ჩამოყალიბდეს თავისუფალი ბაზარი, რომელზეც ელექტროენერგიის ფასს მასზე მოთხოვნა-მიწოდება განსაზღვრავს. აღნიშნულ ცვლილებებზე დაწერილებით შემდგომ პუბლიკაციებში ვისაუბრებთ. ამჯერად კი შევეცდებით ძალიან ზოგადად ჩამოვაყალიბოთ ქართული ელექტრობაზრის მოდელის (ქებმ) დანერგვის მოსალოდნელი შედეგები.

ქართული ელექტრობაზრის მოდელის (ქებმ) მიხედვით, ყველა კონტრაქტი ბაზრის სხვადასხვა მონაწილეებს შორის, ისევე როგორც ტარიფი, კვლავ რეგულირებადი დარჩება, გარდა:

- კონტრაქტებისა, რომლებიც გაფორმდება, ერთი მხრივ, საქართველოს ჰიდროელექტროსადგურებსა და სხვა მწარმოებლებს შორის, და, მეორე მხრივ, ჰიდროელექტროსადგურებსა თურქეთში ელექტროენერგიით ბითუმად მოვაჭრეებს (თრეიდერები) – ღი-ცენზირებული პირი, რომელიც ყიდულობს და ყიდის ელექტროენერგიას საბითუმო ბაზარზე, მაგრამ არა საცალო კომუნალურ მიმწოდებელზე და საბოლოო მომხმარებელზე - შორის;
- კონტრაქტებისა, რომლებიც გაფორმდება, ერთი მხრივ, ელექტროენერგიის მწარმოებლებსა და თრეიდერებს შორის და, მეორე მხრივ, ელექტროენერგიის მწარმოებლებსა უფლებამოსილ მომხმარებლებს (მომხმარებელი, რომელსაც უფლება აქვს გააკეთოს არჩევანი ელექტროენერგიის მიმწოდებლებს შორის იმ ელექტროენერგიის შესყიდვაზე, რომელსაც ის საკუთარი მოხმარებისათვის გამოიყენებს) შორის;
- კონტრაქტებისა, რომლებიც გაფორმდება საგარეო და საშინაო თრეიდერებს შორის;
- კონტრაქტებისა, რომელთა საფუძველზეც განხორციელდება ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვა საბალანსო ბაზარზე თრეიდერებისა და კონსოლიდატორის (ქართული ელექტრობაზრის მოდელის (ქებმ) მიხედვით შექმნილი ერთეული, რომელიც ორგანიზებას გაუკეთებს მცირე და საშუალო ზომის ენერგო-პროექტების ერთობლივი პროდუქციის გაყიდვას რეგულირებად მწარმოებლებზე, თრეიდერებზე და უფლებამოსილ (კვალიფიციურ) მომხმარებლებზე) მიერ.

ქართული ელექტრობაზრის მოდელის (ქებმ) შექმნის და ელექტროენერგიით ვაჭრობის მექანიზმის (ევმ) შემუშავების ძირითადი მიზანი, ისევე როგორც შედეგი, მდგომარეობს იმის უზრუნველყოფაში, რომ პოტენციური სარგებელი, რომელიც საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობიდან და ბუნებრივი რესურსებიდან მიიღება, პირდაპირ მიმართული იყოს ელექტროენერგიის მომხმარებლებზე და ელექტროენერგეტიკის სექტორის ინვესტორებზე. მსგავსი სარგებლის რიცხვში შედის შემდეგი:

1. გრძელვადიან პერსპექტივაში, საქართველოს შიდა მომხმარებლებს ექნებათ საიმედო ელექტრომომარაგება, ხარისხიანი მომსახურება მისაღებ და რაციონალურ ფასებში, რაც, საბოლოო ჯამში, გამოიწვევს ძვირადღირებულ იმპორტირებულ ელექტროენერგიაზე და უცხო ქვეყნების მიერ კონტროლირებულ ელექტროენერგიის წყაროებზე ნაკლებ დამოკიდებულებას;
2. გაზრდილი ინტერესი და ბაზრის წევრთა უფრო დიდი რიცხვი, რომლებსაც მიიზიდავს ლიბერალიზებული ენერგეტიკული ბაზარი;

3. ეკონომიკური სარგებელი საქართველოსათვის, რაც მიიღწევა განახლებადი რესურსებიდან წარმოებული ენერგიის გასაყიდი ფასის ზრდით თურქეთში და ევროკავშირში;
4. ევროკავშირის მითითებებთან და ენერგეტიკული გაერთიანების შეთანხმების პირობებთან მეტი პარმონიზაცია;
5. ჰესების ენერგოტრანსაქციების გამჭვირვალობა და საიმედოობა, როგორც ორმხრივი კონტრაქტებისა და საბაღანსო ბაზრის შედეგი, რომელიც განსაზღვრავს საჯარიმო სანქციებს ელექტროენერგიის მიწოდების პირობების დარღვევის შემთხვევაში;
6. საქართველოს ჰიდრორესურსების ღირებულება დარეგულირდება საქართველოს სატარიფო მომხმარებლის (სმ) სასარგებლოდ, ადგილობრივ ელექტროენერგიაზე კონკურენტული ტარიფების შემოტანის გზით (რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ელექტროენერგიაზე ფასების კლებამდე მიგვიყვანს);
7. სექტორის ეფექტიანობის და სიცოცხლისუნარიანობის გაუმჯობესება ბაზრის მონაწილეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრით, საბაზრო ოპერაციების შესახებ ადეკვატური ინფორმაციის ნაკადების უზრუნველყოფით და ელექტროენერგიის ბაზარზე გარაგებისათვის მყარი ინსტიტუციონალური პლატფორმის შექმნის გზით;
8. ინსტიტუციონალური საფუძვლის შექმნით გაიზრდება ქართული ჰესებისათვის საბანკო დაფინანსების მიღების შესაძლებლობები, რასაც ისინი რეგიონალურ ბაზრებზე ვაჭრობისთვის გამოიყენებენ;
9. ელექტროენერგიით ვაჭრობის განხორციელება ფინანსურად ხელსაყრელი (მომგებიანი) გარიგების საფუძველზე.

ამრიგად, კონკურენტულ ელექტრობაზარზე გადასვლის ძირითად წინაპირობად გვესახება, ერთი მხრივ, გენერაციის ობიექტების მშენებლობა დამატებითი სიმძლავრეების შესაქმნელად და, მეორე მხრივ, გადაცემის ქსელის განვითარება, რაც ჰიდროელექტროსადგურებს და ელექტროენერგიის სხვა მწარმოებლებს შესაძლებლობას მისცემს გარანტირებულად გაყიდონ წარმოებული ელექტროენერგია თურქეთის და სხვა კონკურენტულ რეგიონალურ ბაზრებზე ელექტროენერგიით ვაჭრობის საერთაშორისო წესებთან ინტეგრირებითა და ადეკვატური სამართლებრივი ბაზის შექმნის გზით.

ეკატერინე მაღლაკელიძე

საქართველოს უნივერსიტეტის ასოც. პროფ.

ელისაბედ მაღანია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოც. პროფ.

კონკურენტულ ელექტრობაზარზე გადასვლის წინაპირობები და მოსალოდნელი შედეგები

ანოტაცია

კონკურენტულ ელექტრობაზარზე გადასვლის ძირითად წინაპირობად გვესახება, ერთი მხრივ, გენერაციის ობიექტების მშენებლობა დამატებითი სიმძლავრეების შესაქმნელად და, მეორე მხრივ, გადაცემის ქსელის განვითარება, რაც ჰიდროელექტროსადგურებს და ელექტროენერგიის სხვა მწარმოებლებს შესაძლებლობას მისცემს გარანტირებულად გაყიდონ წარმოებული ელექტროენერგია თურქეთის და სხვა კონკურენტულ რეგიონალურ ბაზრებზე ელექტროენერგიით ვაჭრობის საერთაშორისო წესებთან ინტეგრირებითა და ადეკვატური სამართლებრივი ბაზის შექმნის გზით.

იმაგდრიულად, ქართული ელექტრობაზრის მოდელის (ქეზმ) შექმნის და ელექტროენერგიით ვაჭრობის მექანიზმის (ევმ) შემუშავების ძირითადი მიზანი, ისევე როგორც შედეგი, მდგომარეობს იმის უზრუნველყოფაში, რომ პოტენციური სარგებელი, რომელიც საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობიდან და ბუნებრივი რესურსებიდან მიიღება, პირდაპირ მიმართული იყოს ელექტროენერგიის მომხმარებლებზე და ელექტროენერგეტიკის სექტორის ინვესტირებზე.

Екатерине Маглакелидзе

Ассоц. Профессор Университета Грузии

Элисабед Маланია

Ассоц. Профессор Кавказского Международного Университета

ПРЕДВОРИТЕЛЬНЫЕ УСЛОВИЯ И ОЖИДАЕМЫЕ РЕЗУЛЬТАТЫ ПЕРЕХОДА НА КОНКУРЕНТНЫЙ РЫНОК ЭЛЕКТРОЭНЕРГИИ

Аннотация

Мы предусматриваем, что основная предпосылка для перехода к конкурентному рынку электроэнергии это строительство генераторов для создания дополнительных мощностей так же, как развития сети электропередачи, что обеспечит гидроэлектростанциям и другим генераторам электричества гарантированную продажу произведенной энергии в Турцию так же, как на других конкурентных региональных рынках посредством объединения с международными правилами торговли электричеством и подготовки соответствующей правовой базы.

И основная цель (и фундаментальная политика) проектирования Грузинской Модели Рынка Электроэнергии (ГМРЭ) и Механизма Торговли Электроэнергией (МТЭ) состоит в том, что потенциальные выгоды, получаемые от географического местоположения Грузии и её природных ресурсов, были направлены непосредственно к потребителям электричества и к инвесторам электроэнергетического сектора.

Ekaterine Maghlakelidze

Associated Professor at The University of Georgia.,

Elisabed Malania

Associated Professor at Caucasus International University

PREREQUISITES AND ANTICIPATED RESULTS OF TRANSITION TO THE NEW ELECTRICITY MARKET MODEL

Annotation

We envisage, that the principal prerequisite for transition to the competitive power market is the construction of generators for creation of additional capacities as well as the development of transmission network that enables hydropower plants and other electricity generators to ensure the guaranteed selling of generated power in the Turkey's as well as in the other competitive regional markets by means of integrating with the international electricity trading rules and preparing the adequate legal base.

And the key objective (and a fundamental policy) of designing Georgian Electricity Market Model (GEMM) and Electricity Trading Mechanism (ETM) is to ensure that the potential benefits resulting from Georgia's geographic location and natural resources run directly to electricity consumers and electricity sector investors.

სოფლის მეურნეობის ეკონომიკა

ელადიმერ წვერაგა
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
გიორგი ბრეგვაძე
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
ვალერიანე კვარაცხელია
ეკონომისტი,
ნიკოლოზ ფანცულაია
ეკონომისტი,
მარი კოჭლამაზაშვილი
ეკონომისტი

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სახელმწიფო რეზერვების
ეფექტიანობის შეფასება**

როგორც ცნობილია, ეკონომიკური სტრატეგიის უმაღლესი მიზანია საზოგადოების კეთილდღეობის დონის ამაღლება. ამდენად, უმნიშვნელოვანესი კონკრეტული ეკონომიკური პრობლემებიდან, აშკარად და უახლოეს პერიოდში გადასაჭრელია მოსახლეობის სოციალური დაცვის, განსაკუთრებით – სურსათით მომარაგების საკითხი, ვინაიდან სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, პირველ რიგში, განსაზღვრავს მოსახლეობის სურსათზე მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ამასთან ერთად, აგრარული სექტორის რადიკალური რეფორმის – მიწის პრივატიზების ძირითადი მიზანი იყო მეურნეობრიობის სოციალისტური სისტემის დემონტაჟი, დარგის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა და ახალი ტიპის მეწარმეთა ფორმირება. თუმცადა მიუხედავად არსებული დიდი ხარვეზებისა, აღნიშნული მიზანი ძირითადად მიღწეულია, რაც კერძოდ გამოიხატება იმაში, რომ კოლექტიურ მეწარმე-სუბიექტებთან ერთად სოფლად ჩამოყალიბდა მეწარმეთა ახალი ფენა – კომლური (ოჯახური) მეურნეობები, რომლებიც აგრარული სექტორის კერძო მესაკუთრეებს წარმოადგენენ. დღეისათვის ქვეყანაში ჩამოყალიბებულ მიწის კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული მეწარმეთა მრავალრიცხოვანი ფენა აწარმოებს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის 95%-ზე მეტს, სადაც ამ უკანასკნელ სექტორში მთლიანად კონცენტრირებულია პირუტყვის სულადობა, რომლის მთლიანმა რაოდენობამაც ზოგიერთ სახეობაში (ფურების სულადობამ) რეფორმამდელ დონეს მიაღწია. აღსანიშნავი, რომ დღეს კომლური (ოჯახური) მეურნეობები სასურსათო პროდუქციის ძირითად მომწოდებლებად გვევლინება, რომლისთვისაც ამ უკანასკნელი (2–3 წელი) წლების განმავლობაში დამახასიათებელი იქნება ზრდის ტენდენცია.

ხაზი უნდა გაესვას იმ მნიშვნელოვან გარემოებას, რომ ე.წ. საბჭოთა პერიოდში საქართველოს ეკონომიკის აღმავლობამ განაპირობა საზოგადოებრივი წარმოების პროდუქციის განუხრელი ზრდა. მაგალითად, უკვე 1928 წელს 1913 წელთან შედარებით ქვეყნის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 25 %-ით, 1940 წელს 10-ჯერ, 1971 წელს 85-ჯერ. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება 1940 წელს 1913 წელთან შედარებით გაიზარდა 2,5-ჯერ, 1950 წელს – 3,3 ჯერ, 1971 წელს – 7- ჯერ. ამასთან, 1970 წელს 1940 წელთან შედარებით მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 8,4-ჯერ და მეტად გაიზარდა, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია კი 2,8-ჯერ. ამასთანავე, ტვირთების სარკინიგზო გადაზიდვა და კერძოდ, გაგზავნა - 4,9-ჯერ, მიღება, 5-ჯერ, საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის

ტვირთბრუნვა – 8-ჯერ, სახელმწიფო და, კოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების კაპიტალბანდები – 9,6-ჯერ, ხოლო სახელმწიფო და კოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა – 5,3-ჯერ, მუშა – მოსამსახურეთა საშუალო წლიური რიცხოვნობა – 3,5-ჯერ ხოლო ქვეყნის ეროვნული შემოსავალი – 4,5-ჯერ და ა.შ. [1, 2].

საქართველოს ეკონომიკის განვითარების დონე მსოფლიოს განვითარებული, განვითარებადი ქვეყნებისა და ყოფილი სსრკ-ის დონეებთან შეფარდებით წარმოდგენილია 1-ელ ცხრილში.

ცხრილი 1.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლები საბჭოურ პერიოდში მსოფლიოს ფონზე (1980 წ. ფასებში, %) [2]

წლები	საქართველო	მსოფლიო მთლიანად	განვითარებული ქვეყნები	განვითარებადი ქვეყნები	ყოფილი სსრკ
ეროვნული შემოსავალი					
1913	100	100	100	100	100
1920	–	95	100	110	35
1929	–	135	135	120	110
1938	385	155	150	150	220
1950	622	215	205	210	365
1987	1860	240	670	955	2000
სამრეწველო პროდუქცია					
1913	100	100	100	100	100
1920	–	95	95	90	15
1929	–	150	145	160	115
1938	438	160	140	250	250
1950	711	230	210	330	450
1987	2630	1120	730	3600	4550
სოფლის მეურნეობის პროდუქცია					
1913	100	100	100	100	100
1920	–	105	110	110	70
1929	–	120	120	125	130
1938	271	135	125	155	145
1950	346	160	145	200	145
1978	1330	345	250	480	400

ცნობილია, რომ საქართველოს ტერიტორია დაყოფილია სოფლის მეურნეობის 11 ზონად, რომელთა შორისაც გამოყოფილ უნდა იქნეს შემდეგი: 1. ალაზნის ვაკის მევენახეობის ზონა მეთამბაქოეობით (ახმეტის, თელავის, გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდეხის რაიონები). 2. გარეკახეთის ზეგნის მარცვლეულ-მეცხოველეობის ზონა (სიღნაღის და დედოფლისწყაროს რაიონები). 3. ქვემო ქართლის ბარის საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონა (საგარეჯო, გარდაბანი, მცხეთა, მარნეული, თეთრიწყარო, ბოლნისი). 4. აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანი მეცხოველეობის ზონა (ახალგორი, ჯავა, ყაზბეგი, დუშეთი, თიანეთი). 5. შიდა ქართლის ბარის მეცხოველეობის ზონა შაქრის ჭარხლის თესვით (კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, ცხინვალი, ყორნისი). 6. სამცხე-თრიალეთის მეცხოველეობის და მეხილეობის ზონა (ახალციხის, ასპინძის, ადიგენის, ბორჯომის რაიონები). 7. ჯავახეთის მთიანეთის მეცხოველეობის ზონა მეკარტოფილეობით (წალკა, დმანისი, ნინოწმინდა, ახალქალაქის რაიონები). 8.

იმერეთის მაღლობის და რაჭა-ლეჩხუმის ქვაბულის მევენახეობის ზონა მეხილეობით (თერჯოლა, ზესტაფონი, ჭიათურა, საჩხერე, ბაღდადი, ხარაგაული, ცაგერის და ამბროლაურის რაიონები). 9. დასავლეთ კავკასიონის მთის მეცხოველეობის ზონა(დენტეხის, მესტიის, ონის რაიონები) 10. კოლხეთის დაბლობის სუბტროპიკულ კულტურათა ზონა სამი ქვეზონით. 11. ზემო აჭარის მეთამბაქოეობის და მეცხოველეობის ზონა (ქედა, ხულო, შუახევი).

როდესაც ვმსჯელობთ დასმული ამოცანის ეფექტიანად გადაჭრის პრობლემასა და, შესაბამისად მეთოდებზე, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის უმთავრესი მიდგომა, სადაც არსებული სიტუაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ პოლიტიკური ძალაუფლების გამოყენების შედეგად, რომელიც არ ეფუძნება ობიექტურად არსებულ კანონთა ცოდნა-შემეცნებას, თავისთავად, მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეგრესის წინაპირობა ხდება. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ აგროსამრეწველო კომპლექსის ერთიანი მძლავრი სისტემის რღვევა, ჩვენის აზრით, გამოიწვია ის, რომ სასაქონლო წარმოების სტიმულირების პოლიტიკა მიმართული და სულ უფრო ორიენტირებული გახდა არა მთლიანად მისი შემადგენელი ელემენტების ფუნქციონირების სტაბილიზაციაზე, არამედ წარმოების ორგანიზაციის აგრარული წესის განვითარებაზე, და შესაბამისად, მსხვილი მეურნეობების დაქუცმაცებაზე წვრილი სასაქონლო ტიპის საწარმოებად. სოფლის მეურნეობის და კერძოდ აგრობიზნესის სისტემის შესაბამის სექტორთა სტრუქტურების დაუსაბუთებელმა დანაწევრებამ და განცალკევებამ სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროს, ვაჭრობისა და აგროსერვისის ქვედანაყოფები, სამწუხაროდ, მონოპოლიზებულ ფორმირებებად გადააქცია. მათ გარემოცვაში მყოფი სოფლის მეურნეობა კი შესაბამისად მოუშზადებელი აღმოჩნდა თვითანაზღაურებისადმი, რამაც განაპირობა მემცენარეობის და მეცხოველეობის დარგში არსებული საწარმოო და რესურსული პოტენციალის მკვეთრი რღვევა. მეცნიერულად დასაბუთებული, რომ სოფლის მეურნეობაში პროდუქციის მარტივი კვლავწარმოებისათვის საჭიროა სულ მცირე 10-15% რენტაბელობა, ჩვენთან კი სოფლის მეურნეობის პროდუქციის სარეალიზაციო ფასებსა და მისი წარმოებისათვის საჭირო რესურსებსა და მომსახურების ფასებს შორის დისპარიტეტის გამო (საშუალოდ ბოლო 15 წლის მანძილზე) სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა სახეობის პროდუქციის წარმოება ზარალიანი ან დაბალ რენტაბელურია. ამიტომ ყველა განვითარებულ ქვეყანაში სოფლის მეურნეობა სუბსიდირებული დარგია (ევროკავშირი მთლიანი საბიუჯეტო შემოსავლების 63.8 %-ს სოფლის მეურნეობას მოახმარს), რასაც შემდგომი მონაცემები ადასტურებს და კერძოდ კი ის, რომ 1999 წელს გაძლიერდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ოეკდ) წევრ ქვეყანათა მთავრობების მხარდაჭერა სოფლის მეურნეობის მიმართ. სუბსიდიათა ოდენობა დაახლოებით 3.5 %-ით გაიზარდა და 361 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც oecd-ის ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქციის 1.4 %-ის ტოლია. ამასთან, ფერმერთა დამოკიდებულება სუბსიდიებზე საგრძნობლად გაიზარდა 2002-2005 წწ-ში, რაც სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მსოფლიო ფასების დაცემამ გამოიწვია. სუბსიდიათა ხვედრითი წილი ფერმერთა მთლიან შემოსავლებში 1999 წელს 40%-მდე გაიზარდა (1997 წელს მან 31% შეადგინა). თუმცაღა აღსანიშნავია, რომ ძლიერი სუბსიდიების მიუხედავად, ხსენებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობისა და კვების პროდუქტების დაბეგრის პოლიტიკა უფრო ლიბერარულია, ვიდრე საქართველოში. ბუნებრივია უცხოური ინვესტიციები სწორედ ასეთი ქვეყნებისკენ მიისწრაფის. აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში უცხო ქვეყნების, და კერძოდ, რუსეთის ფედერაციის ფედერალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახული მონაცემები მიგვანიშნებს სასოფლო-სამეურნეო სექტორის დანახარჯების

დაფარვის მიზნით გამოყოფილი ფულადი სახსრების სტაბილური შემცირების ტენდენციას. ამასთან დაკავშირებით, 1998 წლიდან 1999 წლის ჩათვლით, აგრარული სფეროს მიზნობრივ დოტაციათა და სუბსიდიათა მთლიანი მოცულობა რუსეთში საკუთრების კოლექტიურ-წილობრივი ფორმის საწარმოთა და მეურნეობათა დაფინანსების სრულად შეწყვეტით 36.2 %-ით შემცირდა. ამავდროულად, ქვესაუწყებო სტრუქტურათა შენახვასა და გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობათა მხარდაჭერაზე გამოყოფილმა მიზნობრივმა დოტაციებმა სუბსიდიათა ერთობლივი მოცულობის 57.4 % შეადგინა [1, 3].

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ იმავე რუსეთის ფედერაციაში 1997 წლის მდგომარეობით ბიუჯეტის გასაგდის მუხლების ანგარიშში დანახარჯების განაწილების საბაზისო სქემის გამოყენებით და აგრეთვე საბიუჯეტო ნორმატივების დაცვის მიზნით დაუცველი მუხლების სეკვესტრირებამ არ გაითვალისწინა ქვეყნის აგრარულ და კერძოდ აგრარული ბიზნესის ერთიანი კომპლექსის სექტორებში წარმოქმნილი დისპროპორციები, რისი ნარჩენი (ნაშთი) პრინციპით დაფინანსების შედეგადაც კომპლექსში შემავალი დარგების წილი ფედერალურ ბიუჯეტში საგრძნობლად შემცირდა და 1995 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის გასაგდის ნაწილში მან 3.8, 1996 წელს 3.3 და 1997 წელს 3.0 % შეადგინა [4].

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში აგრარულ სფეროში საბიუჯეტო შენატანების შემცირებასთან ერთად სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის გაუარესება იმითაც არის განპირობებული, რომ მათ არ გააჩნიათ ბაზრის პირობებში მუშაობის მკაფიო გამოცდილება. მზა ნაწარმის ღირებულების სტრუქტურაში წარმოების დანახარჯების ზრდა აიხსნება, პირველ ყოვლისა, სოფლის მეურნეობისა და მასთან მონათესავე დარგების ადაპტაციის დაბალი დონით საბაზრო ურთიერთობათა მექანიზმებთან და პირობებთან. და აქაც, თავისთავად ცხადია, დანახარჯების ზრდაზე მოქმედ განმსაზღვრელ ფაქტორებად შესაძლოა ჩაითვალოს სასურსათო საქონლის წარმოების ტემპების დაცემა, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია როგორც ინტენსიურ ტექნოლოგიებზე გადასვლასთან, ასევე მთელ რიგ ფაქტორებთან, როგორიცაა: ინდივიდუალურ მომხმარებელთა გადახდისუნარიანი მოთხოვნის შემცირება; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა მიერ გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ღირებულების ზრდა და ამ უკანასკნელზე (პროდუქტზე) ფასების ზრდის არაადეკვატური შესაძლებლობები; ძირითადი ფონდების გადაფასებით (და ეს უკანასკნელი ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია ინფლაციურ პროცესთან) გამოწვეული მეურნეობათა (მ.შ. საოჯახო) ერთობლივ დანახარჯებში საამორტიზაციო ანარიცხების გაზრდა. ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში გატარებულმა გარდაქმნებმა ვერ გაზარდა ეკონომიკა იმდენად, რომ ქვეყანა კრიზისიდან გამოეყვანა. ბოლო პერიოდში სიტუაციის რამდენადმე გაუმჯობესების მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობის 1/3-ზე მეტი რეალურად შიმშილობის ზღვარს მიღმა იმყოფება. სამამულო სასურსათო პროდუქციის წარმოების მკვეთრმა შემცირებამ იმპორტით მათი ჩანაცვლება გამოიწვია, რის შედეგადაც სასურსათო ბაზრის 50 %-ზე მეტი იმპორტულ პროდუქციას უკავია. ამ მაჩვენებლის ზღვრულად დასაშვებ ნორმად მიჩნეულია 10-20%. ამასთან, ანალიზი გვიჩვენებს, რომ მიწის ფაქტორი დღეს ჩვენს ქვეყანაში შესამედითაც არ არის გამოყენებული. ქვეყნის დამუშავებაში მყოფი 1 ჰა 2003 წელს იძლეოდა მხოლოდ 579 აშშ დოლარის სოფლის მეურნეობის პროდუქციას მაშინ, როცა ნორმატიული გაანგარიშებით მისგან შეიძლება თავისუფლად მივიღოთ 3-4-ჯერ მეტი. ამასთან ერთად, 2003 წლის მდგომარეობით, კერძო საკუთრებაში არ იყო გადაცემული და გამოყენებული 2.257 ათასი ჰა სასოფლო სამეურნეო სავარგუ-

ლი, რომელიც წარმოების ზრდის უდიდესი რეზერვია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამგვარ სიმდიდრეს ამოქმედება სჭირდება. იმავე პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით, კერძო საკუთრებაში გადაცემული იყო ქვეყნის სასოფლო სამეურნეო სავარგულების მხოლოდ 27 % ანუ 762.1 ჰა ფართობი, რაც ძალზე უმნიშვნელოა. თუკი მოვიშველიებთ წინა წლების სტატისტიკას, საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი ნატურით 485 ათასი ტონიდან 1995 წელს შემცირდა 33.5 ათას ტონამდე 1997 წელს, ხოლო ღირებულებით გამოხატულებაში ამავე წლებში 9 536.4 ათასი ლარიდან გაიზარდა 12 388 ათას ლარამდე. ამ პროდუქციის იმპორტი ნატურით 315.8 ათასი ტონიდან 1995 წელს გადიოდა 356.8 ათას ტონამდე 1997 წელს, ხოლო ღირებულებით გამოხატულებაში 11 652.1 ათასი ლარიდან 68 032.4 ათას ლარამდე [1, 2].

სასოფლო სამეურნეო წარმოებაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის ანალიზისას განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს აგრარული სექტორის სპეციალიზაციის წამყვან დარგებში წარმოების დონის მკვეთრი დაცემა. კერძოდ, 1995 წლისათვის 1985 წელთან შედარებით ყურძნის მოსავალი შემცირდა თითქმის 95.7% -ით, ჩაის ფოთლისა – 93.6 %-ით, ხილის – 47 %-ით ციტრუსების – 33.3 %-ით, ბოსტნეულის – 29.1 %-ით. ასევე შემცირების ტენდენცია ახასიათებდა მარცვლეულის (17.9%), ხორცის (3.2%) რძის (37.2%) და კვერცხის (56.9%) წარმოებასაც (იხ. ცხრ. 2)

ცხრილი 2

სასოფლო სამეურნეო წარმოების ძირითადი მაჩვენებლები
საქართველოში 1985-1995 წწ. (ათასი ტ) [2]

მაჩვენებლები	1985	1990	1995	1995წ. %-ით 1985წ.
მარცვლეული	639.7	694	525	82.1
ბოსტნეული	604.3	435	428	70.9
ჩაი	581.3	517	37	6.4
ციტრუსები	135	303.1	90	66.7
ხილი	724.2	591	384	53
ყურძენი	914.9	418	39	4.3
ხორცი	165.4	162.3	160	96.8
რძე	684.4	659.4	430	62.8
კვერცხი (მლნ. ცალი)	828	769.2	357	43.1

როგორც ცხრილიდან ჩანს, წარმოების დაცემის ტემპი არ შენეებულა რადიკალური აგრარული რეფორმის საწყის ეტაპზე, ამიტომ უმთავრეს ამოცანად მიჩნეულ იქნა რეფორმის მიმდინარეობის ანალიზისა და შეფასების აუცილებლობა. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა **მიწის რეფორმისა და აგრარულ სექტორში სახელმწიფო როლის საკითხებზე**. მიწის რეფორმამ, რომლის საბოლოო მიზანი სასურსათო პრობლემის გადაჭრაა, უნდა უზრუნველყოს მიწის საკუთრების, მიწათმფლობელისა და მიწათსარგებლობის მრავალგვარ ფორმებზე გადასვლა, აგრარულ სექტორში მეურნეობრიობის ყველა ფორმის განვითარებისათვის თანაბარი პირობების შექმნა, მიწის ნაყოფიერების გაუმჯობესება, მიწისა და მასთან დაკავშირებული ბუნებრივი რესურსების დაცვის მექანიზმის ჩამოყალიბება და შესაბამისად, წარმოებრივი ეფექტის ამაღლება [2].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფოებრივი რეგულირების ხერხების დაბალ ეფექტური გამოყენების პირობებში სასოფლო სამეურნეო და ამ ჭრილში კი კერძოდ აგრარული ბიზნესის სისტემის მხარდაჭერის თვალსაზრისით, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობას არ გააჩნდა მკაფიოდ გამოკვეთილი დასრულებული ხასიათი, და შესაბამისად, საერთაშორისო გარანტიების მოძიების კუთხით ხსენებულ სფეროში ვერ ქმნიდა მასტიმულირებელ პირობებს. ყოველივე ამის დაძლევა კი, ჩვენი აზრით, შესაძლებელია განხორციელდეს ე.წ. **“სასურსათო პროგრამირების”** ეფექტიანი მექანიზმის ფორმირებისა და რეალიზაციის შედეგად, სადაც უდაოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული **სასურსათო უსაფრთხოების** ელემენტები, ანუ მისი უზრუნველყოფის ამოცანა, რაც თავისთავად გადაწყვეტს როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ და ეკოლოგიურ პრობლემებსაც. აქ სასურსათო პრობლემის დროის მოკლე პერიოდში გადასატრიალად, როგორც ავტორი [1] აღნიშნავს, აუცილებელია პრიორიტეტული მიდგომები, და კერძოდ, წინა პლანზე უნდა იქნეს წამოწეული უშუალოდ სასურსათო პროდუქტების მწარმოებელი დარგები, მაგალითად, მარცვლეულის მეურნეობა, კარტოფილის (იგი მეორე პურია), მცენარეული ზეთის, ბოსტნეულისა და საკვები კულტურების წარმოება. ამ უკანასკნელის ბაზაზე მეთევზეობის და მეცხოველეობის ყველა დარგის განვითარება, ხოლო პერსპექტივაში თანდათანობით მაღალხარისხოვანი საექსპორტო პროდუქციის წარმოება. ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მრავალწლიანი ნარგავების გავითარებას არანაკლებ 10-12 წელი სჭირდება, მაშინ, როდესაც ერთწლიან კულტურებს 2-3 წელი. აქ დომინანტი უნდა გახდეს მძლავრი აგროსამრეწველო კომპლექსი, სადაც ძირითადად **სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემა წყდება**. მას კი ქვეყნის ტერიტორიის 1/3-ზე მეტი უკავია, სადაც დასაქმებულია ქვეყნის შრომითი რესურსების ნახევარზე მეტი, გამოიყენება ამჟამად არსებული ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულების 40 %-ზე მეტი და იძლევა ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვან რაოდენობას. ამასთან, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების მნიშვნელობის შეფასებისას აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს და ტყეებს ქვეყნის საერთო ფართობის 85%-ზე მეტი უკავია. აგრარული სექტორი მეტყვევობასთან ერთად ქვეყნის ტერიტორიის დიდ, მ.შ. სასაზღვრო ნაწილს აკონტროლებს, სადაც ძირითადად არაქართველი მოსახლეობის უმრავლესობა სჭარბობს. ამ მხრივ კი ავტორის [1] აზრით, გამოყენების თვალსაზრისითა და მიმართულებით ტერიტორიას მრავალმიზნობრივი დანიშნულება აქვს, რაც დარგთაშორისი კავშირების კარგი ორგანიზაციით უნდა გახორციელდეს. ამ რგოლში კი **სახელმწიფოებრივმა რეგულირებამ და მართვამ** განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს, რათა დაჩქარდეს სასურსათო პრობლემის გადაჭრა. როგორც აშშ – ის გამოცდილება ცხადყოფს, ცალკეული სახეობის წარმოების სტაბილიზაციის, გადამუშავებისა და რეალიზაციის ე.წ. სასურსათო პროგრამები წარმოადგენს კვლავწარმოებით პროცესში უშუალოდ მონაწილე სახელმწიფო ინსტანციათა კონკრეტულ მოქმედებათა მკაფიოდ გაწერილ გეგმებს. ამასთანავე გასათვალისწინებელია რუსეთის გამოცდილებაც, სადაც შესაბამისი სტრუქტურები, რომლებიც დაკავებულია სასურსათო საქონლის წარმოების საკითხებით, მათი ხარისხის, და ამასთანავე, ტექნიკური და საინფორმაციო უზრუნველყოფით, ბაზრის სტიმულირებით, საექსპორტო და საიმპორტო მიწოდების ორგანიზებით, დაფინანსებითა და რიგი სხვა საკითხებით, მუშაობს ერთი მიზნობრივი ფედერალური პროგრამის ფარგლებში, რომელთა შესრულებაც წარმოებს როგორც წარმოების ორგანიზაციის აგრარული წესის (ხერხების) სტიმულირების კუთხით, ასევე საბიუჯეტო სახსრების განაწილების შეუთანხმებელი კრიტერი-


უმეობის მიხედვით. ცხადია, ამგვარი პირობების გამოყენება, რაც გულისხმობს ანალიზსაც, ითვალისწინებს მიღებული საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების უკუგებას და ქმნის შესაძლებლობებს შესაბამისი უწყებების საქმიანობის გასაუმჯობესებლად, სადაც ეს უკანასკნელი აგებულ უნდა იქნეს (ან უკვე აგებულია და ფუნქციონირებს) შესაბამისი დოქტრინის საფუძველზე არა ფუნქციონალურ-დარგობრივი, არამედ სასურსათო (საპროდუქტო) პრინციპის მიხედვით. ამასთან, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მნიშვნელობა აგრეთვე იმითაც განისაზღვრება, რომ მასში დასაქმებულია ქვეყნის მუშაკთა 52%, სადაც იქმნება, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ეროვნული შემოსავლის დაახლოებით 1/3, გამოყენებულია ქვეყნის ძირითადი საწარმოო ფონდების 45%-ზე მეტი და იწარმოება მოხმარებული ფონდების 70%-ზე მეტი. 1992 – 2005 წწ. საშუალოწლიური მონაცემებით, ქვეყნის შიდა პროდუქტის სტრუქტურაში სოფლის მეურნეობის დარგის ხვედრითმა წილმა 32.2 %, მრეწველობისამ 14.2%, ხოლო სხვა დარგებისამ კი 53.6% შეადგინა. ორ ძირითად დარგში შექმნილი დამატებული ღირებულების მთელი მოცულობა მთლიანად ეკონომიკაში 47.5%-ით განისაზღვრა, სადაც მრეწველობაზე 14, სოფლის მეურნეობის დარგზე კი – 28.5% მოდიოდა [1]. თუმცადა, ექსპერტთა დასკვნით, მშპ-ში სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ხვედრითი წილი ამ ბოლო უახლოეს პერიოდში საგრძნობლად (საშუალოდ 8-10%-მდე) შემცირდა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ არსებულ მონაცემებზე [5] დაყრდნობით, მშპ-ის სტრუქტურა სოფლის მეურნეობაში 2012 წელს 2008 წელთან შედარებით 9.4 დან 8.4-მდე შემცირდა და 2009-2011 წწ-ში შესაბამისად 9.4, 8.4 და 8.8 ერთეული შეადგინა. ამასთან, ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებამ მოსახლეობის ერთ სულზე კილოგრამობით ხორბლის, სიმინდის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ყურძნის, ხორცის, რძის (ლიტრი) და კვერცხის (ცალი) მიხედვით, 2012 წელს თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტის შესაბამისად 18, 59, 56, 44, 35, 32, 9, 131 და 106 შეადგინა. საგულისხმოა ამასთანავე სასოფლო სამეურნეო პროდუქციის გამოშვების მოცულობის მაჩვენებლები, რომლებმაც 2012 წელს 2011 და წინა 2005 წელთან შედარებით ნაცვლად 110-ისა და 112-ისა, 94.6 შეადგინა. ასევე საგრძნობლად შემცირდა სასოფლო სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები (ათასი ჰა) და კერძოდ, 2008 წელს 329.3 ათასი ჰა შეადგინა, 2012 წელს კი იგი 259.6 ათას ჰა-მდე შემცირდა. რაც შეეხება ხორბლის წარმოებას და მის საშუალო მოსავლიანობას, საქართველოს მაშტაბით 2012 წელს მისმა წარმოებამ 80.7 ათასი ტონა, ხოლო ამ უკანასკნელმა კი 1.7 ტ/ჰა შეადგინა, სადაც ხორბლის მთლიანი ნათესი ფართობი 50.0, ხოლო აღებული ფართობი კი 47.5 ათას ჰა-ს შეადგენდა. ამასთანავე, სიმინდის ანალოგიურმა მაჩვენებლებმა 114.8 ნათეს და 109.1 აღებული ფართობებზე შესაბამისად 267 ათასი ტ და 2.4 ტ/ჰა შეადგინეს. რაც შეეხება ხილისა და ყურძნის წარმოებას, 2008 წელს ხილის წარმოების მაჩვენებელი 2008-2012 წწ თითქმის უცვლელი იყო, ხოლო ციტრუსების წარმოების მაჩვენებელი 2008 წელს 175.8 ათას ტონას შეადგენდა, 2012 წ კი მან 144 ათასი ტ. შეადგინა, რაც მის მნიშვნელოვან კლებაზე მიანიშნებს. ასეთივე მდგომარეობაა შექმნილი ციტრუსებისა და ჩაის წარმოების კუთხით, სადაც 2008 წელს ციტრუსების წარმოება (55.2) მის ანალოგიურ 2012 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 77.0 ათას ტონამდე, ხოლო ჩაის წარმოება ამავე პერიოდში 2008 წლიდან (5.4 ათასი ტონა) 2012 წელს 2.6 ათას ტონამდე დაეცა. რაც შეეხება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის ინდექსს, 2012 წელს მან 1128.8 ათასი სული შეადგინა, სადაც მისი ანალოგიური მაჩვენებელი 2005 და 2000 წწ-ში შესაბამისად 1190.6 და 1177.4 ათას სულს შეადგენდა. ამასთან,

ღორის სულადობა 2008 წლიდან (86.4 ათასი სული) 2012 წელს 204.3 ათას სულამდე გაიზარდა, ხოლო ცხვრის სულადობის ანალოგიური მაჩვენებელი (688.2 ათასი სული) თითქმის უცვლელი დარჩა. ყველა სახის ფრინველის რაოდენობა (ათასი ფრთა) მთლიანად საქართველოში 2008 წელთან შედარებით (6682.2 ათასი ფრთა) 2012 წელს 6159.1-მდე შემცირდა, ხოლო მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება (ათასი ტონა) ყველა კატეგორიის მეურნეობაში 2008 წლიდან (57.3 ათასი ტონა) 2012 წელს 42.6 ათას ტონამე შემცირდა. ამ უკანასკნელში ღორის, მსხვილფეხა რქოსანი პირიტყვის, ცხვრისა და თხის და ყველა სახის ფრინველის ხორცის წარმოებამ 2008 წელთან (11.4, 25.1, 7.5, 12.9 ათასი ტ) შედარებით 2012 წელს 11.8, 16.2, 2.5, 11.7 ათასი ტონა შეადგინა. ამასთან ერთად, საგრძნობლად შემცირდა რძის წარმოების ინდექსი რეგიონების მიხედვით, სადაც მან 2008 წელთან (645.8 მლნ ლიტრი) შედარებით 2012 წელს 589.5 მლნ ლიტრი შეადგინა.

ნახაზი 1

სოფლის მეურნეობის სექტორის ზოგადი სტატისტიკა [5]



ამასთანავე, საგულისხმოა ჩვენს მეზობელ ქვეყნებსა და კერძოდ, რუსეთის ფედერაციაში შექმნილი მდგომარეობა და შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები, რომელთა თანახმადაც მეურნეობრიობის ყველა კატეგორიის მიხედვით (კერძო ფერმერული და სხვ.) სახელმწიფო საჭიროებისათვის ხორბლის გაყიდვის (მიყიდვის) მოცულობა 1998 წლიდან 1999 წლის ჩათვლით 9.8 მლნ ტონიდან 8.6 მლნ ტონამდე შემცირდა. ამავე პერიოდში ბოსტნეულის რეალიზაციის სიდიდე 1.2 მლნ-დან 0.8 მლნ-მდე, ხოლო მსხვილფეხო რქოსანი პირიტყვის და მეფრინველეობის პროდუქტების და ამასთანავე რძისა და რძის პროდუქტების შესაბამისი სიდიდეები კი შესაბამისად 3.3-დან 2.6- მლნ ტ-მდე, ეს უკანასკნელი კი 16-დან 12.5 მლნ ტონამდე შემცირდა. სახელმწიფო შესყიდვათა წილი სასოფლო სამეურნეო პროდუქტების გაყიდვის მთლიან მოცულობაში ანალოგიურ პერიოდში ხორბალზე 35%-დან 33%-მდე, ბოსტნეულზე 47%-დან 31%-მდე, მსხვილფეხა რქოსანი პირიტყვის ხორცსა და მეფრინველეობის პროდუქტებზე 61%-დან 51%-მდე და რძესა და რძის პროდუქტებზე შესაბამისად 80-დან 71%-მდე შემცირდა [6].

როდესაც ვსაუბრობთ ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი მიმართულების – მეცხოველეობის პროდუქციაზე, განსაკუთრებული ყურადღება გვინდა გავამახვილოთ მეთხეობის, როგორც ამ უკანასკნელის წარმოების გადიდების მნიშვნელოვან რეზერვზე, როგორც სასურსათო პროგრამის უმნიშვნელოვანეს საკითხზე, და ხაზი გაუუსვათ იმ გარემოებას, რომ იგი არა მარტო მაღალხარისხო-

ვანი სასურსათო პროდუქციის, არამედ მრეწველობისათვის ძვირფასი ნედლეულის – თივითიკის მატყლის (მოჭერი), ბეწვეულის და მაღალხარისხოვანი ტყავის მნიშვნელოვანი წყაროა, ხოლო მისგან მიღებული ნაკელი ხუთჯერ აღემატება ძროხისას და ოთხჯერ ცხენისას. აღსანიშნავია ისიც, რომ სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან სწორი შესამდგომი პირობებში, აღნიშნული დარგი იძლევა მეურნეობის ბუნებრივი და სავარმო პირობების რაციონალურად გამოყენების საშუალებას. მას ასევე საკვების ანაზღაურების ძალზე მაღალი უნარი გააჩნია და ას კილოგრამ ცოცხალ წონაზე გადაანგარიშებით მერძეული მიმართულების ჯიშის თხა გაცილებით მეტ რძეს იძლევა, ვიდრე ანალოგიური ჯიშის საფურაჟე ძროხა. ამას ემატება ისიც, რომ თხა გამოირჩევა ძალზე მაღალი რეზისტენტობით, ნაკლებ მიდრეკილებას იჩენს ტუბერკულოზის, ყვავილისა და სხვა ავადმყოფობათა (განსხვავებით ძროხებისაგან, რომლებიც ავადდება ციმბირის წყლულითა და ღრუბლისებრი ენციფალიპათიით) მიმართ. მათ ასევე ახასიათებს მაღალწიფობა და მრავალნაყოფიანობა. იგი წელიწადში 900 – 1000 კგ რძეს იძლევა, თიკნის მოგების შემდეგ კი 9-11 თვეს გამუდმებით იწველება. უნდა აღინიშნოს რომ დღეისათვის მსოფლიოში უმეტესად მერძეული მიმართულების თხის ჯიშებია გავრცელებული. ჩვენს ქვეყანაში აღნიშნული პრობლემის ეფექტიანად გადაწყვეტის მიზნით სამომავლოდ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მეთხეობის დარგის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას და მასში, ექსპერტთა აზრით, გადამწყვეტი როლი ნეკეროვანი საკვებისა და მისგან დამზადებული ფქვილის წარმოებამ უნდა შეასრულოს. მეცნიერულად დადასტურებულია, რომ ამ საკითხში გაცილებით უფრო ეფექტურ, მაღომინირებულ მიმართულებად თხის გრანულირებული საკვებით კვება უნდა იქცეს, ხოლო სანაშენე-სასელექციო სამუშაოების გაუმჯობესების მიზნით მკვეთრად უნდა გარდაიქმნას ენდემური (მეგრული) ჯიშის თხის სახელმწიფო (კომერციული) ჯიშსაშენის მუშაობა, მოგვარდეს სანაშენე მოზარდის გამოზრდისა და მისი შემდგომი რეალიზაციის საკითხები. ზემოხსენებულის დასადასტურებლად გასული საუკუნის 80-იან წლებში ქვეყანაში ენდემური თხის მთლიანი რაოდენობა 105 ათას სულს შეადგენდა. თანამედროვე მონაცემებზე დაყრდნობით ცხვრისა და თხის რძის წარმოებამ რეგიონების მიხედვით (მლნ ლიტრი) 2012 წელს 6.9 მლნ ლ შეადგინა. ამასთან, სანაშენე მიმართულებით გაწეულმა სამეცნიერო კვლევითმა და საექსპერიმენტო სამუშაოებმა სამომავლოდ უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი თხის ჯიშის მომრავლებისა და მისი ჯიშობრივი თავისებურებების შემდგომი გაუმჯობესება, ხოლო აღნიშნული მიმართულებით მეცნიერულ თემატიკაში ჩართულ უნდა იქნეს ზემოხსენებული მეგრული ჯიშის თხის მექანიკური წველის, თიკნის ხელოვნური გამოზრდისა და სხვა აქტუალური საკითხები. საქართველოს პირობებში ხსენებული დარგის განვითარების ეკონომიკური ეფექტიანობის ასამაღლებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ იმ რეგიონებში, სადაც საჭირო ფურების შენახვა გაძნელებულია, ამ უკანასკნელის შენახვა უფრო ხელსაყრელია თუნდაც იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ იგი ატარებს ეროვნულ ხასიათს.

ცნობილია, რომ ერთი ფურის ნაცვლად იმავე რაოდენობის საკვები საშუალებებით შეიძლება 5 სული დედათხის შენახვა. ამ რაოდენობის თხისგან კი შეიძლება წელიწადში 1800 – 2000 კგ-მდე რძისა და 180 კგ-მდე ხორცის წარმოება. ამ პროდუქციის მთლიანი ღირებულება კი 25-30%-ით მეტი იქნება ერთი ფურისაგან მიღებულ შემოსავალთან შედარებით [5, 9].

ამასთან ერთად, ასევე დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს პირუტყვის (მომთაბარეობითი, ალპური და ბაგურ-ბანაკური ძირითადი სახეები) შენახვას, და აქედან გამომდინარე, როგორც მომთაბარეობით სისტემას, სადაც ცხოველთა საერთო ჯოგში სჭარბობს ცხვარი, ასევე ალპურს, სადაც პრევალირებს მეტწი-

ლად მსხვილფეხარქიანი პირუტყვი. ყურადღება უნდა გამახვილდეს საფურაჟე ძროხის წლიური წველადობის (საშუალოდ 2000 კგ რძე) და ასევე ფურკამე-ჩების წველადობათა (საშუალოდ 1300 კგ რძე) გაზრდაზე.

საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის მრეწველობა ჯერ ვერ იძლევა სოფლისათვის ესოდენ, დღეს აუცილებლად საჭირო სასოფლო სამეურნეო მანქანებს, ინვენტარს, სასუქებს, შხამ-ქიმიკატებს, საწვავ-საცხებ მასალებს და სხვ. თუმცაღა თავად სოფლის მეურნეობაც ვერ აწვდის მისთვის აუცილებლად საჭირო ყველა ნედლეულს. თუკი განვიხილავთ მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურას, დავინახავთ, რომ საქართველოს მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ღირებულებაში კვების მრეწველობას ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი აქვს და იგი მთლიანად მუშაობს სოფლის მეურნეობის დარგში წარმოებულ ნედლეულზე. სამწუხაროა, რომ დღეს ქვეყანაში არ მუშაობს ჩაის ფაბრიკები, სადაც ასი ათას კაცზე მეტი იყო დასაქმებული და იძლეოდა ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთლიანი ღირებულების 26 %-ზე მეტს. ასევე არ მუშაობს საკონსერვო, ხორცისა და რძის, ეთერზეთების, თევზის სამრეწველო ქარხნები, რაც სამწუხაროდ, **ეკონომიკის არასწორი დაგეგმვისა და მართვის შედეგად მივიღეთ.** მარტო ამის გამო კი სასოფლო სამეურნეო წარმოებაში მოგებისა და რენტაბელობის მაჩვენებლები 20-25% -ითაა შემცირებული. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცინიერებათა აკადემიისა და მის სისტემაში შემაგალი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სპეციალისტთა გაანგარიშებით პერსპექტივაში შესაძლებელია წარმოებულ იქნეს (ათას ტონებში): ყველა სახის მარცვლეული – 1200; მზესუმზირა - 50-60; შაქრის ჭარხალი – 450; ბოსტნეული, ბაღეული – 600-700; კარტოფილი – 450-500; ხილი და კენკრა – 700 – 800; ყურძენი – 550 – 600; ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი-200; ციტრუსები-250-300; თამბაქო-12-15; პირუტყვისა და ფრინველის ხორცი (ცოცხალი წონით) – 300-350; რძე და რძის პროდუქტები – 900-1000; თევზი – 20-30; აბრეშუმის პარკი – 4.5; თაფლი – 17-18; კვერცხები – 1000-1200 მლნ ცალი. ამასთან, აღნიშნული პროდუქტების გადამუშავების შედეგად შესაბამისად იქნება გამოშვებული სამრეწველო პროდუქცია (ათას ტონებში): შაქრის ფხენილი – 50; ჩაი ნატურალური – 50; მცენარეული ზეთი – 20; ყურძნის ღვინო (მლნ დალი) -0.5; არაყი და ღიქიორი (მლნ დალი) – 0.5; ხილ-ბოსტნეულის კონსერვი (მლნ პ.კ.) – 1000; მინერალური წყლები (მლნ. ბოთლი – 450-500); პაპიროსი და სიგარეტი (მლნ ცალი) – 8; საკონდიტრო ნაწარმი – 30-35; ხორცი – 180-190; მოუხდელი რძის პროდუქტები – 300-400; ცხიმოვანი ყველი – 20-25. მოსახლეობის ერთ სულზე კი წარმოებული იქნება (კგ): მარცვლეული – 85-100, რაც ფიზიოლოგიური ნორმის-65-70 %-ს შეადგენს; შაქარი – შესაბამისად – 1.3 (3.8%), მცენარეული ზეთი – 1.1 (11.6%), კარტოფილი – 70 (110%), ბოსტნეული და ბაღეული – 120 (105%), ხილი და კენკრა – 118 (138%), ხორცი და ხორცის პროდუქტები – 35-40 (45-55%), რძე და რძის პროდუქტები – 110-120 (35-40%), თევზი – 3.6 (30-40%), კვერცხი (ცალი) – 180-200 (80-100%) [1, 2].

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ როგორც პროფესორი პ. კოდუაშვილი თავის ერთ-ერთ პუბლიკაციაში (ასავალ-დასავალი №25 (872)) აღნიშნავს, რესპუბლიკაში ამჟამად თავისუფლად შეგვიძლია გვეყავდეს 2 მლნ-მდე სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (საგულისხმოა ის, რომ გასული საუკუნის 80-იან წწ-ში 4 მლნ-იან ურუგვაიში სასოფლო სამეურნეო სექტორში ჰყავდათ 9 მლნ სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ხოლო არგენტინაში 28 მლნ მცხოვრებზე 30 მლნ სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს ითვლიდა მეცხოველეობის სექტორი. ამ მხრივ გამონაკლისი, ჩვენი აზრით, არც საქართველო უნდა გახდეს). მისივე ინფორმაციით, ჩვენი ქვეყნის სასოფლო სამეურნეო სექტორი ითვლის 790 ათას სულ წვრილფეხა საქონელს და 4.6 მლნ. ფრთა ფრინველს (არადა

სახეზე იყო 12 მლნ ფრთა). ამასთან, მარტო იმერეთში მე-19 საუკუნის ბოლო-სა და მე-20 საუკუნის დასაწყისში იყო 20 მლნ ფრთა ფერადი ქათამი. თუმცა-და დღეს 38 ათასი ტონა ფრინველის და 75 ათასი ტონა ღორის ხორცის იმპორტი ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში, მაშინ, როდესაც მეცხოველეობის სექტორი ითვლიდა 500.000-ზე მეტ სულ ღორს და 600 ათასამდე სულ ცხვარს, ხოლო სულ რამოდენიმე წლის წინ კი ამ უკანასკნელის რიცხვი 1 000 000 –ს აჭარბებდა.

როგორც ჩვენ მიერ უკვე იქნა აღნიშნული, თხასთან ერთად ჩვენი ადგილობრივი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის უნიკალური ჯიშებია: კავკასიური წაბლა, ველის წითელი, მეგრული წითელი (ანუ კვარაცხელიას ჯიშის), ხევსურული ძროხა და ა.შ. სარწმუნო წყაროებზე (ნ.ჯავახიშვილი. ასავალ-დასავალი №26 (873)) დარყდნობით, 2010 წელს საქართველოდან ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანში გაყვანილ იქნა 22 ათასი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელთა ცოცხალი წონის ფასი შეადგენდა 3 ლარს, და ეს იმ დროს, როდესაც ჩვენი ქვეყანა მხოლოდ 37%-ით უზრუნველყოფდა საკუთარ მოსახლეობას ხორციითა და ხორცპროდუქტებით. დანარჩენი 63% კი ძირითადად ბრაზილიიდან და ინდოეთიდან შემოდიოდა იმპორტის სახით.


რაც შეეხება ინვესტიციებს, სოფლის მეურნეობის სფეროს (ასავალ-დასავალი №28 (875)) შემოსული 4 მლრდ აშშ დოლარიდან უშუალოდ უნდა მოხმარებოდა 1/4, ანუ 1 მლრდ აშშ დოლარი, რაც არ განხორციელდა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქსპერტო მონაცემებით ერთ სულ მოსახლეზე მშპ შეადგენს 4 400 აშშ დოლარს, იმპორტ-ექსპორტის უარყოფითი ბალანსი 645 მლნ აშშ დოლარიდან (2003 წლის მაჩვენებელი) 2010 წლისათვის 2.5 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა. თურქეთიდან ექსპორტის სახით შემოვიდა 1.037 მლრდ. აშშ დოლარის, ხოლო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან 420 მლნ აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია. საქართველოს საგარეო ვალი (2011 წლის მონაცემებით) თითქმის საქართველოს ბიუჯეტს აღემატებოდა. 2003 წელს იგი 1.8 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო 2011 წელს მან 4 მლრდ დოლარი შეადგინა. ამასთან, ყოველი მესამე ქართველი უმუშევარი იყო, და საკუთრივ, ქალაქ თბილისში მისი მაჩვენებელი 30%-ს შეადგენდა და ეს იმ დროს, როდესაც ჩვენი ქვეყანა უმუშევრობის დონის მაჩვენებლით 156-ე ადგილზე იმყოფებოდა და მოსახლეობა ყოველწლიურად 0.33 %-ით იკლებდა.

მე-2 ნახაზზე ავტორთა მიერ წარმოდგენილია მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილის პისტოგრამა [5].

ნახაზი 2

სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში



ზემოხსენებულთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ში სასურსათო საქონლის ბაზრებზე შექმნილი მდგომარეობა საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ მომხმარებელთათვის შეთავაზებული სასურსათო პროდუქტების ასორტიმენტის ნახევარზე მეტს ვერ ფარავს სამამულო გადამამუშავებელი მრეწველობა, რის საფუძველდაც ხშირ შემთხვევაში გვევლინება ტექნიკურ შესაძლებლობათა უკმარისობა. დასმული საკითხი კი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მიზნობრივი (სასესხო) წყაროებიდან სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის ძირითადი ფონდების აღდგენა-განახლებაზე ინვესტიციათა მიმართვის განსაკუთრებულ აქტუალობას. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასების შეუსაბამობის და არასაკმარისი საბიუჯეტო დაფინანსების გამო აგრარული სექტორი განიცდის მნიშვნელოვან დანაკარგებს. მეურნეობრიობის პროცესში მონაწილე მრავალი ეკონომიკური სუბიექტის საბრუნავი საშუალებები მათ საშუალებას არ აძლევს შექმნან სრულყოფილი გადამამუშავებელი ბაზა, განახლონ ფიზიკური და მორალური თვალსაზრისით მოძველებული დანადგარ-მოწყობილობები. ხშირ შემთხვევაში ამას ემატება სკრედიტო დავალიანებებიც, რაც უწინარეს ყოვლისა, მიუთითებს იმაზე, რომ საქონელმწარმოებლები დროულად ვერ უსწორდებიან მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მომწოდებლებს და გაკოტრების საშიშროება ემუქრებათ. ზემოთქმულის საილუსტრაციოდ საკმარისია მოყვანილ იქნეს ჩვენი მეზობელი ქვეყნების და კერძოდ რუსეთის სასოფლო სამეურნეო სექტორში შექმნილი მდგომარეობა, სადაც 2000 წლის მიწურულისათვის (1997 წელი) წარმოების ტემპების საერთო დაცემამ 38%, ხოლო მიწათმოსარგებლე მეურნე-სუბიექტთა საკრედიტო დავალიანებამ 80 ტრილიონი რუბლი შეადგინა [7]. ამასთან დაკავშირებით გამოცემულ იქნა პრეზიდენტის ბრძანებულება “ქრონიკულად გადახდისუნარიო სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციათა (საწარმოთა) რეფორმირების შესახებ”, რომლითაც ქვეყანაში შევიდა მეურნეობათა რეფორმირების განსაკუთრებული წესი, რომელთაც ვერ შეასრულეს როგორც კრედიტორების წინაშე აღებული ვალდებულებები, ასევე გააჩნდათ ფინანსური დავალიანება და დაკარგული ჰქონდათ რეალური შესაძლებლობა, აღედგინათ გადახდის უნარი. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულმა სამართლებრივ-ნორმატიულმა აქტმა შეიტანა გარკვეული დამატებები და შეავსო რუსეთის ე.წ. “ეკონომიკის ფინანსური გაჯანსაღების” სქემა და ასევე გააუმჯობესა ქრონიკულად გადახდისუნარიო სტრუქტურების ლიკვიდაციის მექანიზმი მათი რეორგანიზაციითა და შემდგომი პრივატიზებით [8]. სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს (ჯერ არ გამოცემულა) მსგავსი ნორმატიული ან კანონქვემდებარე აქტი, რომელიც დაარეგულირებდა და ეფექტურად გადაჭრიდა ზემოხსენებულ საკითხს. აქ საგულისხმოა, ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა შემდგომი რეფორმირებისათვის გამოყენებულ იქნეს რუსეთის გამოცდილება და კერძოდ პორიზონტალური ინტეგრირების მოდელი, რომლის ეკონომიკური არსიც მდგომარეობს რეორგანიზაციას დაქვემდებარებულ მეურნეობათა წარმოებისა და ქონების მთავარი საშუალებების ფიზიკურ პირთა საკუთრებაში გადაცემაში აქციათა შიდასამეურნეო განაწილების გზით, რომლის შემდგომი ეტაპებიც ითვალისწინებს მიწისა და ქონების (ან მისი პოტენციალის) ნაწილის ახალ მფლობელებზე გადაცემას, რის შედეგადაც იქმნება საშუალო და მსხვილი წარმოების სტიმულირების პირობები. საბაზრო მექანიზმების ზემოქმედების ქვეშ კი, აწ უკვე რეფორმირებული საწარმოები იწყებს ნელ-ნელა ადაპტირებას ცვალებად ეკონომიკურ გარემოსთან და მათში ფორმირდება (ისინი ამ შემთხვევაში აყალიბებენ) ადეკვატური საწარმოო-ორგანიზაციული სტრუქტურა, რომლის დანიშნულებაც შესაბამისად დაიყვანება მეურნეობრიობის საბაზრო სტრატეგიის შემუშავებამდე. თუმცა, როგორც გამოირკვა, კოოპერატიული საწყისების განვითარების ბაზაზე

პორიზონტალური ინტეგრირების მოდელს გააჩნია რიგი არსებითი ნაკლოვანებები, რომელთა რიცხვსაც მართებულად შეიძლება მივაკუთვნოთ წარმოების დაშლისა და დანაწევრების სტიმულირება; მანქანათმშენებლობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა მონოპოლიზაციის მხარდაჭერა; აგრეთვე შიდასამეურნეო ოპერაციათა მეურნეობათაშორის ანუ სასაქონლო ოპერაციებში ტრანსფორმაციის პროცესში საგადასახადო წნეხის მნიშვნელოვანი გაზრდა.

ჩვენთვის ცნობილია, რომ აგრარული ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოო ერთეულების აბსოლუტური უმრავლესობა ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში დაექვემდებარა პრივატიზაციის პროცესს მათ შრომით კოლექტივებზე აქციათა საკონტროლო პაკეტის გადაცემით. თუმცა ადეკვატური საბაზრო ინფრასტრუქტურის უქონლობის გამო გადამამუშავებელი საწარმოები აღმოჩნდნენ მონოპოლიზებულ მდგომარეობაში, რაც უწინარესად გამოიხატა შესასყიდი ფასების შემცირებასა და გასაყიდი ფასების ზრდაში. ამ გარემოებამ კი უზრუნველყო ისეთი სიტუაციის ფორმირება, როდესაც სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებლები დამოუკიდებლად გამოდიან ბაზარზე თავისი პროდუქციის რეალიზაციის მიზნით. შედეგად კი მსხვილი გადამამუშავებლები კარგავენ სანედლეულო ზონებს, საწარმოო სიმძლავრეების დასატვირთად ამცირებენ ნედლი მასალების შემოღინების ნაკადებს და შესაბამისად აგრარულ სფეროსთან შედარებით აღმოჩნდებიან გაცილებით უფრო ცუდ ფინანსურ მდგომარეობაში.

ამ ბოლო პერიოდში (2013 წელს) საქართველოს მთავრობის მხრიდან გადადგმულ იქნა ქმედითი ღონისძიებები, კერძოდ, მიღებულ იქნა კანონი “სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ”, რომლის მთავარი მიზანია ურთიერთდახმარების და კერძოდ აღნიშნულ სექტორში დასაქმებულთა გაძლიერება გახლავთ. ამასთან, შეჩერდა უცხოელებზე მიწების მიყიდვის პროცესი, რაც ჩვენს მოქალაქეებს პრივილეგიურებულ მდგომარეობაში აყენებს, ვინაიდან იგი მიმართულია ჩვენი უკონკურენტო მოსახლეობის ინტერესების დაცვაზე. გარდა ამისა, დარიგდა სასაქონლო ბარათები, რათა გლეხებმა და სოფლად დასახლებულმა მოსახლეობამ განაახლოს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და ამოქმედდა ვაქცინაციის საყოველთაო პროგრამა დაავადება “თურქული“-ს წინააღმდეგ, სადაც აცრას ექვემდებარება როგორც მსხვილფეხა, ასევე წვრილფეხა საქონელი.

დაბოლოს, ჩვენი ღრმა რწმენით, ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სექტორმა და მასში შემავალმა სტრუქტურულმა ერთეულებმა და ქვედანაყოფებმა ეფექტურად რომ იფუნქციონიროს, მთავრობის მხრიდან კიდევ გადასადგმელია შემდეგი ნაბიჯები და გასატარებელი ქმედითი ღონისძიებები:

2. საქართველოს მთავრობამ არ უნდა დაუშვას თურქეთში ენერგოკასკადის მშენებლობა, ვინაიდან მტკვარში წყლის რაოდენობის ასეთი საგრძნობი რაოდენობით დაკლება, რომელიც პროგნოზირებადია მისი მშენებლობისას და ექსპლუატაციაში შესვლისას (მაქსიმალური წყლის სიმენხერის პერიოდი საქართველოში ივლისიდან სექტემბრის ჩათვლითაა) საბოლოოდ დაასამარებს ქართულ (და არამარტო ქართულ) აგრარულ სექტორს, რომლის განვითარებისთვისაც ექსპერტთა დასკვნით, დღევანდელზე 2-ჯერ მეტი სარწყავი წყლის მოცულობაა საჭირო.

3. აგრომეურნეობის და კერძოდ მიწის ნაყოფიერების გაზრდისათვის გაცილებით უფრო ეფექტიან საშუალებას ვერმიკულებურის ფართომასშტაბიანი და საყოველთაო დანერგვა წარმოადგენს. ჭიაყელას მოშენება სოფლის მეურნეობაში ორგანულ ნივთიერებათა ბრუნვაზე კონტროლის დაწესების საშუალებას იძლევა. ნარჩენთა უტილიზაცია საკმაოდ ხარჯიანი ოპერა-

ციიდან გარდაიქმნება ჭიაყელასათვის საკვების მომგებიან დამზადებად. მათი გამოყენება კი იძლევა ბიო-ხორცის, ბიო-ფრინველის, ბიო-რძის წარმოების საშუალებას, ვინაიდან ისინი პროტეინების, ვიტამინების, ზრდის სტიმულატორების, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების წყაროა არა მხოლოდ მცენარეთათვის, არამედ ცხოველთათვისაც. ამასთან, ჭიაყელის ბიომასის სულ რაღაც 2 % კომბინირებულ საკვებს თევზებისათვის საჭირო საკვებად გარდაქმნის. ეს უკანასკნელი კი სოფლის მეურნეობის წარმატებული რეფორმირების წყარო მაშინ გახდება, როდესაც მის მიზნად ჩამოყალიბდება ორგანულ პროდუქტთა წარმოება ეკომიწათმოქმედების საფუძველზე.

4. ქვეყანაში სასოფლო სამეურნეო სექტორი და აგრობიზნესი რომ განვითარდეს, უპირველესად უნდა განვითარდეს ქვეყნის მრავალდარგოვანი სასოფლო-სამეურნეო რაიონები (მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს ინტენსიური სოფლის მეურნეობის სახმარ მიწათა ხვედრითი წონა) მარცვლეულის ინტენსიური წარმოებით, აგროტექნიკის მაღალი დონითა და მაღალი მოსავლიანობით. ამასთანავე უნდა მოხდეს არსებული მეურნეობების განვითარება მექანიზაციითა და ქიმიზაციის მაღალი დონით.

5. გათვალისწინებულ უნდა იქნეს ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების (საშუალოდ 50 ჰა-ზე 1 ტრაქტორი) თვალსაზრისით ნიადაგის (სახნავი) კუთრი წინააღმდეგობის კოეფიციენტის (საქართველოში არსებული ნიადაგის კუთრი წინააღმდეგობის თვალსაზრისით 47 ზონიდან და აქედან გამომდინარე 169 ქვეზონიდან) მხრივ, რაც აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ტექნიკური ეროზიის მანევრებლების მეკეთრ შემცირებას.

6. მელიორაციის ეფექტური სისტემის (ირიგაცია, ჰიდრო და დაშრობითი მელიორაცია, ეროზიასთან ბრძოლა) დანერგვა, რომლის გარეშეც შეუძლებელია მძლავრი სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარება.

7. ექსპერტთა დასკვნით, 1 მლრდ-იანი სასოფლო-სამეურნეო ფონდის საქმიანობა ისე უნდა წარიმართოს, რომ ე.წ. “ფორსმაჟორი”-ს დროს გლეხის მიერ აღებული საბაზრო სესხის მეტი წილის დაფარვის გარანტორი უნდა გახდეს ზემოხსენებული ფონდი და მაკროეკონომიკური თვალსაზრისით მისი საქმიანობა აბსოლუტურად გამჭირვალე უნდა იყოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შხელაშვილი, ო. ვაშაკიძე. აგრარული ეკონომიკის განვითარების საფუძვლები. თბილისი, 2005.
2. შხელაშვილი. საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსი საბაზრო პირობებში
3. Экономика сельского хозяйства России 1999 №5, ст. 21
4. Хомяков Д.М., Искандерян Р.А. и др. Агропромышленный комплекс России (состояние и проблемы реформирования) М., МГУ, 1997
5. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული, თბილისი, 2012
6. Экономика сельского хозяйства России 1999 №5, ст. 37
7. Бизнес /Путеводитель по России. М., Финансы и статистика, 1997/
8. Экономика сельского хозяйства России 1999 №5, ст. 23
9. აღ. ღლიღვაშვილი. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდების მნიშვნელოვანი რეზერვი. თბილისი, ჟურნ. ეკონომისტი, №8, 1988

ვლადიმერ წვერავა
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
გიორგი ბრეგვაძე
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
ვალერიანე კვარაცხელია
ეკონომისტი,
ნიკოლოზ ფანცულაია
ეკონომისტი,
მარი კოჭლამაზაშვილი
ეკონომისტი

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სახელმწიფო რეგულირების
ეფექტიანობის შეფასება
ანოტაცია**

ნაშრომში განხილვას ექვემდებარება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სექტორში არსებული საერთო მდგომარეობა. განზოგადებული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გაანალიზებულია მისი განვითარების ეტაპები. ავტორთა მიერ შემოთავაზებულია სახელმწიფოებრივი რეგულირების ერთიანი მექანიზმი, რომლის პრაქტიკული გამოყენებაც მნიშვნელოვანწილად აამაღლებს მისი შემადგენელი დარგების ეკონომიკური ეფექტიანობის საერთო მაჩვენებლებს.

Владимир Цвєрава
Кандидат технических наук,
Гиоргий Брегвадзе
Кандидат экономических наук
Валериане Кварацхелия
Экономист,
Николоз Панцулая
Экономист,
Мари Кочламазашвили
Экономис,

**ОЦЕНКА ЭФФЕКТИВНОСТИ ГОСУДАРСТВЕННОГО РЕГУЛИРОВАНИЯ
СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА ГРУЗИИ
Аннотация**

В статье рассмотрению подлежит сложившееся в Грузинском сельскохозяйственном секторе общее положение. На основе обобщенных статистических данных проанализированы этапы его развития. Авторами предложен единый механизм государственного регулирования, практическое использование которого в значительной степени будет способствовать повышению общих показателей экономической эффективности его составных отраслей.

Vladimer Tsverava
Candidate of technical science,
Giorgi Bregvadze
Candidate of economic science,
Valeriane Kvaratskhelia
economist,
Nikoloz Pantsulaia
economist,
Mari Kochlamazashvili
economist

**ESTIMATION OF THE EFFECTIVENESS OF STATE REGULATION OF
AGRICULTURE OF GEORGIA**

Annotation

In the article submit for consideration real general position in the Georgian agricultural sphere. On base of generalize statistical datas analyzed phases of his development. With authors offered unitary gear of state adjustment, which practical using inconsiderable degree will be further increase gaeral indexes of an economic effectiveness of his compound branches.

Юрий Кирилич

*Львовский национальный университет имени Ивана Франко, Аспирант
кафедры экономического анализа и финансов*

**ВЛИЯНИЕ ФИНАНСОВОЙ ЛИБЕРАЛИЗАЦИИ НА НЕЛЕГАЛЬНЫЕ
ФИНАНСОВЫЕ ПОТОКИ В СТРАНАХ
ЦЕНТРАЛЬНО-ВОСТОЧНОЙ ЕВРОПЫ**

Финансовая либерализация, оживление которой наблюдается с 1970-х годов, в корне изменила финансовую систему мира. Возможность свободного перетекания денежных средств между государствами изменила направления и содержание этих потоков. С одной стороны некоторые страны, регионы и отрасли получили новый импульс для развития, а - другие пострадали из-за финансового кризиса. Существуют многочисленные преимущества и недостатки финансовой либерализации.

Ученые А.Д. Ахмед и С.Н. Ислам отмечают, что существуют два течения и школы, которые формируют взгляды на финансовую либерализацию¹:

1) Голдсмита та Маккинона-Шоу;

2) Кейнса – Тобина – Штиглица, которых называют, соответственно, структуралистами и структуралистами.

В основном представители этих школ дискутируют о том, какой должна быть мера вмешательства государства в финансовый сектор, следовательно, и какой должна быть политика финансовой либерализации.

Острой проблемой на сегодня является тенезация капитала и нелегальный отток денежных средств из развитых стран в так называемые “налоговые гавани” или оффшорные счета. С чем столкнулись почти все страны ЕС, Азии и Америки.

Убытки, которые несут государства через данное явление, измеряются в миллиардах долларов, а также нелегальные денежные потоки нарушают принципы и основы равенства, демократии, открытости.

Целью данной статьи является проанализировать влияние финансовой либерализации на незаконные финансовые потоки в странах Восточной Европы.

Подобный анализ актуален так как увеличение нелегальных денежных потоков из стран Восточной Европы происходит значительными темпами несмотря на то, что процессы финансовой либерализации в этих странах являются активными только в последние два десятилетия.

Для исследования использовалась база данных незаконных денежных потоков (Illicit Financial Flows), предоставленную GFI (Global Financial Integrity), где указано, что незаконный отток колебался в диапазоне 126 - 144 трлн. долл. США в 2008 г. и в среднем развивающиеся страны теряли от 725 млрд. долл. до 810 млрд. долларов США в год в течение девятилетнего периода 2000 - 2008 гг. Методология оценки незаконных финансовых потоков, используемых в исследовании GFI, базируется на остаточной модели Всемирного Банка с поправкой на торговую недооценку. Это неучтенные утечки капитала в платежном балансе, доходы от взяточничества, воровства, откаты и уклонение от уплаты налогов. Метод GFI фиксирует отток нелегальных переводов за счет торговой недооценки. Помимо различий в схемах, по которым основные экспортеры незаконного выводят денежные средства из развивающихся стран, способы передачи

¹ Ahmed A. D. I. Financial Liberalization in Developing Countries/ A. D. I. Ahmed, S. M. N. Islam. – Berlin: Springer-Verlag Heidelberg, 2010. – 295 p.

этих денежных средств также различаются. Отчет GFI предоставлен для 160 стран в течение 2000-2008 годов, из которых мы исследуем 15 развивающихся стран Восточной Европы. GFI наводит два типа данных: нормализованные и ненормализованные нелегальные денежные потоки. В данном исследовании использованы нормализованную базу данных, которая является более консервативной, хотя как отмечается в отчете GFI², видимо данные ненормализованной базы является ближе к реальности.

Вторым компонентом этого исследования является индекс KAOPEN, разработанный Н. Д. Чин и Х. Ито³, основанный на бинарной таблице AREAR и отражает уровень открытости счета операций с капиталом и доступен для 181 страны в течение 1970-2010 годов. По 1996 год (качественное и количественное расширение данных AREAR) KAOPEN состоял из 4 параметров (переменных), которые указывали на:

- 1) наличие множественных обменных курсов (k_1);
- 2) ограничение в счете текущих операций (k_2);
- 3) операции по счету капитальных операций (k_3);
- 4) требования об ограничении на экспорт (k_4).

Далее авторы расширили их по образцу и методу А. Муди и А.П. Маршида⁴. В индексе KAOPEN использованы реверсивные значение финансовой открытости в отличие от индексов МВФ, т.е. при значении индекса равно 1 считают, что не существует ограничений на счет капитальных операций. Также стоит отметить, что для переменной (k_3), используют среднее значение в пятилетнем окне и данный параметр Н.Д. Чин и Х. Ито называют:

$$SHARE_{k_3,t} = (k_{3,t} + k_{3,t-1} + k_{3,t-2} + k_{3,t-3} + k_{3,t-4})/5.$$

Для построения KAOPEN использован статистический метод факторного анализа - метод главных компонент переменных k_1 , k_2 , $SHARE_{k_3}$, k_4 . Итак, неоспоримым преимуществом индекса является то, что он принимает во внимание переменные k_1 , k_2 , k_4 , а также сглажен k_3 , что дает возможность более точно выявить интенсивность контроля над движением капитала. С другой стороны индекс состоит только из четырех компонент, что не всегда позволяет выявить ограничения на потоки капитала, которые вводят государства. Отметим, что переменные k_1 , k_2 , k_3 , k_4 коррелируют между собой и невозможно исключить определенную причинно-следственную связь между ними. Подчеркнем, что KAOPEN отличается своей простотой, понятностью и легкостью воспроизведения.

Причинами нелегального оттока денежных средств из стран является чрезмерное налоговое давление, несовершенное законодательство и жадность. Стоит отметить, что причиной нелегального оттока средств из стран Восточной Европы является также недобросовестная конкуренция, коррупция, а также быстрый переход от закрытых экономик к полной либерализации и перенасыщения капиталом, что привело к росту экономических и финансовых рисков. В связи со значительным уровнем риска денежные средства выводятся с целью сохранения капитала и диверсификации.

Если рассмотреть способы избежания налогообложения и вывода денежных средств, то, наверное, стоит отметить указанные ниже, хотя их перечень не полный⁵:

1. Перемещение долга и занижение прибыли;

² Kar D., Curcio K. Illicit Financial Flows from Developing Countries: 2000-2009 Update with a Focus on Asia – Global Financial Integrity – 2011. - 78 p.

³ Chinn M. D. A New Measure of Financial Openness / M. D. Chinn, H. Ito // Journal of Comparative Policy Analysis. – 2008. – Vol. 10. – P. 309–322.

⁴ Mody A. Growing Up with capital Flows / A. Mody, A. P. Murshid // Journal of International Economics. – 2005. – Vol. 65. – P. 249–266.

⁵ Jane G. Gravelle Tax Havens: International Tax Avoidance and Evasion January 23, 2011

2. Трансфертное ценообразование - это внутрифирменное перераспределение финансовых ресурсов. Если такое перераспределение цен происходит между одной фирмой, имеющей несколько структурных подразделений, зарегистрированных в разных странах, то возможны злоупотребления при занижении цены товаров (услуг и т.п.) в юрисдикциях с высоким уровнем налогообложения и завышается закупочная цена. Затем товар выводится в другую аффилированную структуру, которая действует в рамках юрисдикции более низкого уровня налогов, где перечисляется по справедливой цене.

3. Контрактное производство и производство на основе давальческого сырья.

4. Проблемы с законодательством, где в стране с низким уровнем налогообложения дочерней компании из другой страны определяют отдельной компанией. Соответственно возникает законодательная асимметрия, которая открывает огромные возможности для злоупотреблений.

5. Кросс-кредитование, когда дочерняя компания в зоне с низким уровнем налога (или нулевым) кредитует материнскую компанию и наоборот, или одновременно. Выплата процентов по кредиту списывается с налогов, а кредит в оффшоре не облагается.

На рис. 1 приведено рост нелегальных финансовых потоков в 15 исследуемых странах течение 2000-2008 годов, а также представлено сумму нормализованных нелегальных денежных потоков в странах ЦВЕ на рис. 2.




Рис. 1. Динамика нелегальных финансовых потоков

Country	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	Total	Average of all years
Belarus	0	5,195	0	0	10,587	1,660	9,354	0	5,229	32,024	3,558
Bulgaria	0	532	953	1,991	1,676	0	5,085	9,345	0	19,583	2,176
Croatia	1,496	1,029	1,127	0	2,913	0	0	4,301	8,423	19,288	2,143
Cyprus	381	728	1,680	2,628	3,038	1,821	3,338	2,605	2,028	18,248	2,028
Czech Repub	1,062	2,366	3,645	6,287	10,554	6,848	11,122	21,109	3,019	66,011	7,335
Estonia	0	0	0	1,738	1,994	2,994	1,455	5,031	1,817	15,028	1,670
Latvia	1,871	837	1,788	2,020	3,467	771	4,045	11,088	0	25,886	2,876
Lithuania	0	0	0	0	1,918	0	3,961	5,360	0	11,239	1,249
Poland	0	0	8,608	14,776	12,363	0	29,706	41,033	0	106,486	11,832
Romania	0	0	1,852	3,291	0	0	6,829	10,487	10,641	33,100	3,678
Russia	15,607	18,443	12,546	35,579	37,046	56,387	0	55,327	196,367	427,301	47,478
Slovak Repub	0	1,073	0	3,425	3,349	0	4,410	0	0	12,256	1,362
Slovenia	0	0	1,411	3,566	3,920	4,877	5,002	15,135	6,539	40,450	4,494
Turkey	4,862	6,162	13,785	7,726	14	1,623	19,932	19,255	3,490	76,850	8,539
Ukraine	0	8,899	4,011	4,534	12,589	0	18,710	18,680	14,939	82,363	9,151
Yearly Totals	25,279	45,262	51,406	87,560	105,429	76,982	122,951	218,754	252,490	986,114	

Рис. 2. Сумма нормализованных нелегальных денежных потоков в странах ЦВЕ в течение 2000-2008 гг.

Таким образом используя базу данных нелегальных денежных потоков предоставленную GFI и индекс финансовой либерализации КАOPEN в данном

исследовании на примере 15 стран Восточной Европы, а именно в: Белоруссии, Болгарии, Хорватии, Кипре, Чехии, Эстонии, Латвии, Литве, Польше, Румынии, Российской Федерации, Словакии и Словении, Турции и Украины течение 2000-2008 годов мы пытаемся показать, как повлияла либерализация в этих странах на нелегальный отток денежных средств. Период исследования обусловлен тем, что как раз в это время страны Восточной Европы прошли через быстрые темпы приватизации, первичного распределения капитала, начали формироваться первые ТНК и группы влияния, возобновилось экономический рост и т.д. Параллельно с этим большинство из этих стран вступили в ЕС и полностью либерализовали свои финансовые системы. Такие процессы привели к значительному увеличению оттока нелегальных денежных средств и тенизации капитала. Как показывают последние события, в ЕС существуют значительные попытки уменьшить нелегальные денежные потоки и уменьшить тенизацию капитала с целью сохранения равноправия, прозрачности, открытости и основ демократии, а также увеличить поступления в бюджеты национальных экономик.

Зависимость между уровнем финансовой открытости и нелегальными денежными потоками лучше прослеживается при прохождении либерализации, поэтому в исследовании мы ограничили индекс КАOPEN, который измеряется от 0 до 1, в пределах [0; 0,5]. Нелегальные денежные потоки в данном исследовании измеренные в млн. долларов США (мал. 3 и табл. 1).




Рис. 3 Зависимость нелегальных денежных потоков от уровня финансовой либерализации

Логарифмическая модель панельных данных, описывающая зависимость незаконных финансовых потоков от уровня финансовой либерализации, при условии, что КАOPEN находится в пределах [0; 0,5].

Dependent Variable: LOG(N)				
Method: Panel Least Squares				
Date: 05/26/13 Time: 16:48				
Sample: 2000 2008 IF KAOPEN<0.5 AND N>0				
Periods included: 9				
Cross-sections included: 11				
Total panel (unbalanced) observations: 48				
Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
C	5.398896	1.108741	4.869394	0.0000

KAOPEN	10.86563	5.787536	1.877419	0.0671
KAOPEN^5	-137.3521	100.7501	-1.363295	0.1797
@TREND	0.303986	0.084013	3.618305	0.0008
R-squared	0.300425	Mean dependent var		8.601173
Adjusted R-squared	0.252727	S.D. dependent var		1.655612
S.E. of regression	1.431193	Akaike info criterion		3.634550
Sum squared resid	90.12584	Schwarz criterion		3.790483
Log likelihood	-83.22919	Hannan-Quinn criter.		3.693477
F-statistic	6.298447	Durbin-Watson stat		1.460399
Prob(F-statistic)	0.001193			

Метод оценки используемый в данном исследовании - обобщенный метод наименьших квадратов для панельных данных.

Панельные данные охватывают наблюдения для различных объектов на протяжении определенного периода времени, т.е. содержат в себе кросссекционные и временные ряды.

Объектом исследования являются упомянутые выше европейские развивающиеся страны. Исследована связь между незаконными денежными потоками и финансовой либерализацией в странах восточной Европы и постсоциалистических странах. Это связано с их стремительными темпами финансовой либерализации, переходом к рыночной экономике, значительным экономическим ростом и колоссальным оттоком денежных средств из этих стран в налоговые гавани и оффшоры.

Временной промежуток исследования составляет 9 лет (от 2000 до 2008г.)

Моделирование основывается на 48 наблюдениях.

$$\ln IFF_{it} = 5,39 + 10,87 \text{ Каopen}_{it} - 137,3 (\text{Каopen}_{it})^5 + 0,30 \text{ Trend}_t \quad i=1, \dots, 11, t=1, \dots, 9.$$

(4,86**) (1,87*) (-1,36) (3,62**)

$$R^2=0,30, \text{ скорег. } R^2=0,25, F=6,30**, DW=1,46.$$

где IFF_{it} – объем нелегальных денежных потоков в млн. долларов i -той страны за год t ;

переменная Каopen_{it} измеряет степень финансовой либерализации экономики и измеряется от 0 до 1, где 0 - минимальный уровень финансовой либерализации, а 1 - максимальный.

В скобках представлены t -статистики Стьюдента параметров модели, которые используются для тестирования значимости влияния выбранных факторов зависимости незаконных финансовых потоков от уровня финансовой либерализации, где * и ** обозначают статистическую значимость параметров на уровне 10% и 1% соответственно.

Коэффициент при переменной KAOPEN определяет свойств эластичности объема нелегальных денежных потоков по указанному фактору и показывает, на сколько процентов изменяется объем IFF при увеличении фактора KAOPEN на 1 при условии, что все другие факторы остаются неизменными.

То есть если величина KAOPEN увеличивается на 0,1 то IFF увеличивается на 1,1 процента того уровня на котором находилась страна, при данном тренде является достаточно высоким показателем.

Коэффициент при переменной Trend измеряет темп роста IFF, который не связан с процессами финансовой либерализации и характеризует возрастающую динамику

нелегальных денежных потоков в исследуемом периоде. В частности, такой темп роста составляет 0,3 процента за год.

Анализ статистик Стьюдента указывает на то, что показатель финансовой либерализации имеет статистически значимое влияние на нелегальный отток денежных средств из страны.

F-статистика Фишера указывает на адекватность построенной модели.

Статистика Дарбина-Уотсона используется для тестирования автокорреляции остатков модели. В данной модели она находится на уровне 1,46.

Недостатком данного исследования следует считать малую выборку и временной диапазон исследования, а также определенную неточность в расчетах базы данных нелегальных денежных потоков GFI.

*იური კირილიჩი
ასპირანტი, ივან ფრანკოს სახელობის
ლვოვის ეროვნული უნივერსიტეტი*

**ფინანსური ლიბერალიზაციის გავლენა არალეგალურ ფინანსურ
ნაკადებზე ცენტრალურ-აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში
ანოტაცია**

ნაშრომში გაანალიზებულია ფინანსური ლიბერალიზაციის გავლენა არალეგალურ ფინანსურ ნაკადებზე ცენტრალურ-აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში.

*Юрий Кирилич
Львовский национальный университет имени Ивана Франко, Аспирант
кафедры экономического анализа и финансов*

**ВЛИЯНИЕ ФИНАНСОВОЙ ЛИБЕРАЛИЗАЦИИ НА НЕЛЕГАЛЬНЫЕ
ФИНАНСОВЫЕ ПОТОКИ В СТРАНАХ
ЦЕНТРАЛЬНО-ВОСТОЧНОЙ ЕВРОПЫ**

В работе проанализировано влияние финансовой либерализации на незаконные финансовые потоки в странах Центрально-Восточной Европы. Для исследования использовались данные Illicit Financial Flows, предоставленные Global Financial Integrity. Уровень открытости счета операций с капиталом исследован на индексе KAOPEN.

*Yuriy Kirilich
Aspirat of the Ivan Franko national university of Lviv*

**THE IMPACT OF FINANCIAL LIBERALIZATION ON ILLICIT FINANCIAL
FLOWS IN THE COUNTRIES OF CENTRAL AND EASTERN EUROPE
Annotation**

It's analyzed the impact of financial liberalization on illicit financial flows in the countries of Central and Eastern Europe. To research the author used data of Illicit Financial Flows, provided by Global Financial Integrity. The level of the capital account openness was studies on the index KAOPEN.

ნიკოლოზ ოსტაპენკო

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკურ მეცნიერებათა მაგისტრი
ა(ა)იპ-საქართველოს ეკონომიკური კვლევების ბიუროს (სეკბ)
დამფუძნებელი, გამგეობის წევრი*

სულხან ტაბაღაძე

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკურ მეცნიერებათა მაგისტრი
ა(ა)იპ-საქართველოს ეკონომიკური კვლევების ბიუროს (სეკბ)
დამფუძნებელი, აღმასრულებელი დირექტორი*

მოხმარების მაკროეკონომიკური თეორიის ევოლუცია

მოხმარების თეორიასა და მოხმარების ფუნქციის ანალიზს მაკროეკონომიკაში საკვანძო ადგილი უჭირავს. იგი მნიშვნელოვანია დანაზოგების ფუნქციის და აქედან გამომდინარე, საინვესტიციო რესურსების, გრძელვადიანი ეკონომიკური წონასწორობისა და მოკლევადიანი ეკონომიკური რყევების მიზეზების, პირობებისა და მულტიპლიკატორული ეფექტის ანალიზისათვის.

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვის დროს მოხმარების თეორიისა და მოხმარების ფუნქციის მნიშვნელოვნების გამო, ის დიდი ხანია, რაც ეკონომისტთა კვლევის ობიექტია. ეკონომიკის ისტორიის მიხედვით, ხშირ შემთხვევაში სწორედ მოხმარებაში მომხდარი ცვლილებები ხდებოდა ეკონომიკური კრიზისების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა.

მოხმარების თეორიული საფუძვლების კვლევას ჩვენ XIX საუკუნის ცნობილი ფრანგი ეკონომისტის ჟან ბატისტ სეის (Jean-Baptiste Say, 1767-1832)⁶ “ჭარბწარმოების შეუძლებლობის თეორიიდან” ვიწყებთ [1, გვ. 137]. აღნიშნული თეორია წარმოადგენს კლასიკური სკოლის საფუძველს, საიდანაც გამომდინარეობს, რომ მიმდინარე შემოსავლები ვერ იქნება მოხმარების განმსაზღვრელი დომინირებადი ფაქტორი. სეის „ჭარბწარმოების შეუძლებლობის თეორიას“ სხვაგვარად სეის „მიწოდების კანონს“ უწოდებენ, აღნიშნული თეორიის ყველაზე ცნობილი ინტერპრეტაცია „მიწოდება წარმოშობს შესაბამის მოთხოვნას“, ჯონ მეინარდ კეინზს (John Maynard Keynes, 1883-1946) ეკუთვნის, რომელიც, თავის მხრივ, ჯონ სტუარტ მილის (John Stuart Mill, 1806-1878) ამ კანონის ინტერპრეტაციიდან „ყველა გამყიდველი თავისი არსით მყიდველი გამოდის“, იღებს სათავეს [2, გვ. 72]. იგი კი ბაზარზე ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების ურთიერთგანპირობებულობაზე მიუთითებდა. სეი უგულებელყოფდა ფულის ღირებულების შენახვის ფუნქციას და განმარტავდა, რომ ადამიანები ბაზარზე გამოდიან იმისათვის, რომ, ერთის მხრივ, აწარმოონ საქონელი და მეორეს მხრივ, აღნიშნული საქონლით შეიძინონ მათთვის სასურველი სხვადასხვა საქონელი. რა თქმა უნდა, ცალკეული საქონლის ჭარბწარმოება შესაძლებელია და ამის უარყოფას არც სეი ცდილობდა, რადგან მიკროეკონომიკურ დონეზე მოთხოვნა-მიწოდების მრუდები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ფუნქციებია. მაკროეკონომიკური ერთობლივი მოთხოვნა-მიწოდების ფუნქციები ურთიერთდამოუკიდებლობის თვისებით არ ხასიათდებიან და პირიქით, ერთმანეთს განაპირობებენ. სეის „მიწოდების კანონი“ ერთმანეთისგან მიჯნავს მაკროეკონომიკურ და მიკროეკონომიკურ ანალიზს. ამიტომ მაკროეკონომიკური გადმოსახედიდან, თუკი რომელიმე ერთი საქონლის ჭარბი მიწოდება წარმოიშვება, ის ავტომატურ-

⁶ აქ და შემდგომშიც აღნიშნული მიუთითებს ცალკეული მეცნიერის მოღვაწეობის წლებზე

რად წარმოშობს სხვა საქონელზე ჭარბ მოთხოვნას, რომლებიც აბალანსებს ერთმანეთს. სეის შეხედულება უდავოდ სამართლიანია ბარტერული გაცვლის პირობებში, თუმცა აღნიშნული დასკვნების განზოგადება არაბარტერული ეკონომიკისათვისაც (ფულადი ეკონომიკისათვის) შესაძლებელია. კერძოდ, თუკი ფულის ბაზარს ცალკე განვიხილავთ, ვნახავთ, რომ როცა საქონლისა და მომსახურების ბაზარზე ჭარბი მიწოდება წარმოიშევა, ეს წარმოშობს ჭარბ მოთხოვნას ფულის ბაზარზეც, სეის კანონის მიხედვით, სისტემა წონასწორობაში უნდა იყოს, რაც გულისხმობს ფულის ბაზრის „მუდმივ“ წონასწორობაში ყოფნას, ხოლო თუ ფულის ბაზარი მუდმივ წონასწორობაში იქნება, მაშინ ეს ფულის ღირებულებას განუსაზღვრელს გახდის და რა ფაქტორებიც არ უნდა განსაზღვრავდეს მას, მათი ბუნება არასაბაზრო იქნება. სეის კანონიდან გამომდინარე, ფულის უპირობო ნეიტრალობას ადგილი ექნება მხოლოდ მაშინ, თუ ფული თანაბრად განაწილდება საზოგადოების წევრებს შორის. მაშასადამე, შემოსავლის განაწილება მჭიდრო კავშირშია ფარდობითი ფასების ცვლილებასთან და აქედან გამომდინარე, მოგების ნორმის ცვლილებასა და საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებასთან.

დევიდ იუმის (David Hume, 1711-1771) და რიჩარდ კანტილიონის (Richard Cantillon, 1680-1734) „პირდაპირი მექანიზმის“ კონცეფცია განიხილავს სეის კანონის ფარგლებში ფარდობითი ფასების ცვლილების მექანიზმს¹[1,გვ.143]. აღნიშნული კონცეფციის მიხედვით, როცა საქონლისა და მომსახურების ბაზარზე გვაქვს ჭარბწარმოება და მოთხოვნის დონე ვერ უზრუნველყოფს ისეთ ფასების დონეს, რომელიც თვითღირებულებაზე მეტი იქნება და „ნორმალური მოგების კრიტერიუმს“² დააკმაყოფილებს, ეს წარმოშობს ჭარბ მოთხოვნას რეალური ფულის მარაგებზე და ფასები უნდა შემცირდეს. წონასწორობა ორივე ბაზარზე დამყარდება ფასების კლების და საპროცენტო განაკვეთის ზრდის შედეგად. მნიშვნელოვანი დასკვნა, რომელიც „პირდაპირი მექანიზმიდან“ გამომდინარეობს, არის ის, რომ შემოსავლის ეგზოგენური ზრდა ფარდობით ფასებს ცვლის და მისი მეშვეობით ახდენს საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე გავლენას, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკის სტრუქტურას ცვლის და წონასწორობის დამყარება ახალი ფარდობითი ფასების ვექტორის პირობებში ხდება.

ზემოთ განხილული „პირდაპირი მექანიზმის“ კონცეფციას მივეყვართ მოხმარების კლასიკურ თეორიამდე, სადაც მნიშვნელოვანია განვიხილოთ ჰენრი ტორნტონისა (Henry Thornton 1760-1815) და დევიდ რიკარდოს (David Ricardo 1772-1823) „ირიბი მექანიზმის“ კონცეფცია, რომელიც განიხილავს საქონლისა და მომსახურების, ფულის და სასესხო კაპიტალის ბაზრის ურთიერთკავშირს [1,გვ.146]. ტორნტონის მტკიცებით, ფულის ბაზრის წონასწორობა ეკონომიკაში მიიღწევა მხოლოდ მაშინ, როცა ფულის ბაზარზე საპროცენტო განაკვეთი სასესხო საშუალებების ბაზარზე დაბანდებული კაპიტალის მოგების ნორმის ტოლია. სხვა მხრივ, ფულის დამატებითი მიწოდება საკრედიტო ბაზარზე მხოლოდ საბანკო სისტემის მხრიდან შეიძლება განხორციელდეს (ინფლაციური საბანკო კრედიტი). სასესხო საშუალებების დამატებითი მიწოდება მოგების ნორმასთან შედარებით ამცირებს საპროცენტო განაკვეთს. დაკრედიტების მოცულობა კი იზრდება საინვესტიციო საქონელზე ფასების ზრდის კვალობაზე, რომელიც ასტიმულირებს მოთხოვნას სასესხო საშუალებებზე. საბოლოო ჯამში, მოთხოვნა და მიწოდება სასესხო საშუალებების ბაზარზე ერთმანეთს უთანაბრდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სანამ საპროცენტო განაკვეთი იქნება მოგების ნორმაზე ნაკლები, მოთხოვნა სასესხო საშუალებებზე

¹აღნიშნული ტერმინი გულისხმობს ისეთი მოგების მიღებას, რომელიც მეტი იქნება საზოგადოების მთლიან დანახარჯებზე (თვითღირებულებას+ალტერნატიული დანახარჯები).

დაუკმაყოფილებელი დარჩება, რაც საპროცენტო განაკვეთის ზრდას განაპირობებს. როცა მოგების ნორმა და საპროცენტო განაკვეთი ერთმანეთს გაუთანაბრდება, მიიღწევა ეკონომიკური წონასწორობა. მაშასადამე, წონასწორობა დამყარდება გაზრდილი ფასების და „თავდაპირველი“ საპროცენტო განაკვეთის პირობებში. აქედან გამომდინარეობს კლასიკოსების დასკვნა, რომ სასესხო კაპიტალის ბაზარზე წონასწორობას ამყარებს საპროცენტო განაკვეთი.

ვინაიდან კლასიკოსები სეის კანონიდან გამომდინარე და ევრდნობიან ტორნ-რიკარდოს ე.წ. „ირიბ მექანიზმს“ და კანტილიონის ეფექტს, რომლის მიხედვითაც მოთხოვნა სასესხო კაპიტალის ბაზარზე საპროცენტო განაკვეთით განისაზღვრება, ხოლო რეალური დანაზოგებისა და საბანკო კრედიტის ნებისმიერი დონისათვის არსებობს ისეთი ფასების დონე და ფარდობითი ფასების ვექტორი, რომელიც უტოლებს ერთმანეთს საპროცენტო განაკვეთსა და მოგების ნორმას, რისი საშუალებითაც სასესხო კაპიტალის ბაზარზე მყარდება წონასწორობა. მაშასადამე, კლასიკური მიდგომა გულისხმობს, რომ დანაზოგები არის საპროცენტო განაკვეთის, მოგების ნორმისა და ფასების რთული ფუნქცია, რომელიც დამოკიდებულია საინვესტიციო შესაძლებლობებზე. მაშინ, როცა კეინზის თეორიაში დანაზოგები (მოხმარება) არის მიმდინარე შემოსავლების ფუნქცია.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ავტონომიური ხარჯების ზრდას შეუძლია შემოსავლების გადანაწილების შედეგად კანტილიონის ეფექტის ხარჯზე, შეცვალოს ფარდობითი ფასები და ეკონომიკის სტრუქტურა, რომლის უპირობო შედეგიც ეკონომიკის წახალისება არ არის.

კეინზს საკუთარ კონცეფციაში შემოაქვს ავტონომიური ხარჯების მულტიპლიკატორის ცნება, რომლის მიხედვითაც ავტონომიური ხარჯების ცვლილებას უფრო მეტად უნდა გაეზარდა შემოსავლები, ვიდრე თავად ეს ავტონომიური ხარჯების ნაზრდი იქნებოდა, რისი ექსტრაპოლაციაც სახელმწიფო ხარჯებზეც მოხდა⁸.

კეინზი ავტონომიური ხარჯების მულტიპლიკატორს „მოხმარებისადმი ზღვრულ მიდრეკილებას“ უკავშირებს. მისი მტკიცებით, არსებობს მჭიდრო ფუნქციური კავშირი მოხმარებასა და მიმდინარე შემოსავლებს შორის, რომლებიც ერთმანეთს მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილებით უკავშირდება $(C_t = a + b \times Y_{d,t})$. მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება კეინზის „ძირითადი ფსიქოლოგიური კანონიდან“ გამომდინარეობს და განსაზღვრავს, რომ შემოსავლის ზრდასთან ერთად მოხმარება მცირდება, დანაზოგები კი იზრდება, ხოლო ეს დამოკიდებულია სტაბილურია.

მაშასადამე, კეინზის თეორია ევრდნობოდა ორ ძირითად ჰიპოთეზას. პირველი – მიმდინარე შემოსავალი არის მოხმარების ყველაზე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი, შემოსავალს კი როგორც ეგზოგენურ ფაქტორს, ისე განიხილავს; მეორე – მიმდინარე შემოსავლებსა და მოხმარებას შორის კავშირი „ძირითადი ფსიქოლოგიური კანონით“ განისაზღვრება. ამ ორი ჰიპოთეზიდან გამომდინარეობს, რომ მიმდინარე შემოსავლებიდან მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება ნულსა და ერთს შორის არის მოქცეული $(0 \leq b < 1)$ და ჰიპოთეზა, მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილება შემოსავლის ზრდასთან ერთად კლებულობს [2, გვ.193].

კეინზიანურ მიდგომაში საკვანძო ადგილი უჭირავს „ეფექტური მოთხოვნის“ ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც წონასწორობა მიიღწევა ეფექტურ მოთ-

⁸ კეინზი მულტიპლიკატორის იდეას რიჩარდ ფერდინანდ კანს (Richard Ferdinand Kahn, 1905-1985) დაესესხა. კანი თავის ნაშრომში “The Relation of Home Investment to Unemployment” ინვესტიციების ზრდას მულტიპლიკატორული მექანიზმით დასაქმებას უკავშირებდა [2, გვ.177].

ხოვნაზე მოქმედი ფაქტორების და არა ფასების მოქნილი ცვლილებით, ხოლო არასრული დასაქმების მიზეზი საქონლისა და მომსახურების ბაზარზე არასაკმარისი ეფექტური მოთხოვნაა. აღნიშნულ მოსაზრებას იქამდე მივყავართ, რომ მიმდინარე შემოსავალი და მიმდინარე მოხმარება ეფექტურ მოთხოვნაზე და მოკიდებული და დინამიკურ ეკონომიკაში ისინი ურთიერთგანმაპირობებელ ფაქტორებს წარმოადგენენ.

კლასიკურ მიდგომაში ფასებისა და ხელფასების მოქნილი ცვლილება უზრუნველყოფს სრული დასაქმების პირობებს და შემოსავლის პოტენციურ ღონეს. რის საფუძველზეც კლასიკური თეორია არასაკმარის ეფექტურ მოთხოვნას არ მიიჩნევს მნიშვნელოვან ფაქტორად.

კეინზის მიერ ასე ფორმულირებული მოხმარების თეორია (აბსოლუტური შემოსავლის თეორია) არაერთხელ გახდა სხვადასხვა ეკონომისტის განსჯის საგანი (ს. კუზნეცი, რ. გოლდსმანი, ა. ანდო და სხვები). თუმცა მისი ვერც უარყოფა და ვერც დადასტურება ვერ მოხერხდა. აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი იყო სხვადასხვა ფაქტორებისა და გარემოებების მნიშვნელოვნება, კერძოდ: შემოსავლების უთანაბრობა და საზოგადოებაში მოხმარებისადმი განსხვავებული ზღვრული მიდრეკილების არსებობა, ის გარემოება, რომ ფირმების ქცევა არ ექვემდებარება ძირითად ფსიქოლოგიურ კანონს და ამასთან შესაძლებელია თაად მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება და მაშასადამე მულტიპლიკატორი იყოს ცვლადი და არა მუდმივი სიდიდე. ასეთ სიტუაციაში ის ვერ იქნება, ეკონომიკური ქცევის და ეკონომიკური არასტაბილურობის განმაპირობებელი ფაქტორი.

კეინზიანური მოხმარების თეორიის კრიტიკის ახალი ტალღის და ნეოკლასიკური კონტრევოლუციის ერთ-ერთ საწყისად უნდა მივიჩნიოთ საიმონ კუზნეცის (Simon Smith Kuznets, 1901-1985) აღმოჩენა, რომლის მიხედვითაც ემპირიულად დასტურდება, რომ მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილება გრძელვადიან პერიოდში სტაბილური სიდიდეა. ამ გარემოებას „კუზნეცის პარადოქსი“ ეწოდა [3, გვ. 116-117].

პოსტკეინზიანური ვერსიით, სადაც დანაზოგების განხორციელების მოტივში მომავლისადმი ოპტიმისტური და პესიმისტური განწყობები დიდ როლს თამაშობს, გრძელ და მოკლევადიან პერიოდებს შორის კავშირი შემდეგნაირად აიხსნება: ვინაიდან მომავალი გაურკვეველია, ადამიანები მოკლევადიან პერიოდში სიფრთხილის მოტივიდან გამომდინარე, ზრდიან დანაზოგებს, მაშასადამე, მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილება კლებულობს. გრძელვადიან პერიოდში კი, როცა შემოსავალი დასტაბილურდება, ისინი უბრუნდებიან სტაბილური დანაზოგების ნორმას, რომელიც გრძელვადიანი მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილებით გამოიხატება და სტაბილურ სიდიდეს წარმოადგენს [4, გვ. 54-55].

ჯეიმს სტემბლი დუისენბერიმ (James Stembler Duesenberry, 1918-2009) თავისი ფარდობითი შემოსავლის (relative income theory) თეორიით სცადა ახლებური მიდგომით აეხსნა საოჯახო მეურნეობების ქცევა [5]. რომლის მიხედვით, ადამიანის გადაწყვეტილება მოხმარებასა და დანაზოგების შესახებ უპირატესად დამოკიდებულია მისი შემოსავლის სხვების შემოსავლებთან თანაფარდობაზე, ვიდრე ცხოვრების ღონესა და მიმდინარე შემოსავლებზე. თუ რამდენს მოიხმარს ადამიანი, დამოკიდებულია საერთო შემოსავლების „ნამცხვარში“ მის წილზე; მეორე მხრივ, მოხმარება დამოკიდებულია არა მხოლოდ აბსოლუტურ და ფარდობით შემოსავლების ღონეზე, არამედ, აგრეთვე, წინა პერიოდის მოხმარების ღონეზეც. დუისენბერი ამას შემდეგნაირად ხსნის: მას შემდეგ, რაც მოხმარებელი შეიძენს ჩვევებს, ძნელია მათზე უარის თქმა. აქედან გამომდინარე, შემოსავლების რყევებს არაერთმნიშვნელოვანი გავლენა აქვს მოხმარების ღონეზე. მომხ-

მარბელთა გარკვეული ჩვევები მაღალი შემოსავლის პირობებში ყალიბდება, რომლებზეც უარს, შემოსავლის კლების მიუხედავად, ვერ ამბობენ. ეს ეფექტი მოხმარების შემდეგი ფუნქციით შეიძლება აღიწეროს:

$$\frac{C_t}{Y_{d,t}} = a + b \frac{Y_{d,t}}{Y_{max,t}} \Rightarrow C_t = aY_{d,t} + \frac{b}{Y_{max,t}} Y_{d,t}^2$$

სადაც, $Y_{max,t}$ – შემოსავლის მაქსიმალური მნიშვნელობებია მიმდინარე პერიოდამდე.

ნეოკლასიკური თეორია არ ცდილობს მხოლოდ გრძელვადიანი და მოკლევადიანი მოხმარების ფუნქციების დაკავშირებას, ის აგრეთვე თავად მიმდინარე შემოსავლის, როგორც მოხმარებაზე მოქმედი უმნიშვნელოვანესი ფაქტორის, კრიტიკას გულისხმობს და მოხმარების თეორიის საკუთარი კვლევის მეოთხედს ეყრდნობა. ნეოკლასიკური კონცეფციები ეყრდნობა ირვინგ ფიშერის (Irving Fisher, 1867-1947) მიერ ჩამოყალიბებულ მოხმარების ქცევის და პროცენტის თეორიას. ამ თეორიის მიხედვით, საოჯახო მეურნეობები მთელი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე მოხმარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ, დროის ყოველი მოცემული მომენტის ყოველ მომდევნო პერიოდთან უპირატესობის მინიჭების საფუძველზე[6]. ამასთან, მთელი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე მიღებული შემოსავლები არანაკლებია განხორციელებულ მოხმარებაზე, რაც შემდეგი სახით შეგვიძლია ჩაწეროთ:

$$C_0 + \sum_{t=1}^T \frac{C_t}{(1+r)^t} + \sum_{t=0}^T \frac{Y_t}{(1+r)^t} = \theta \Rightarrow C_0 = c\theta \Rightarrow C_{\infty} = c\theta$$

ფრანკო მოდილიანის (Franco Modigliani, 1918-2003) მოხმარების სასიცოცხლო ციკლის თეორიის (life-cycle hypothesis) მიხედვით ინდივიდები ცდილობენ თანაბარ დონეზე შეინარჩუნონ მოხმარება მთელი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე, აქედან გამომდინარე, მთელი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე მიღებული შემოსავალი დაყოფილია სამ კომპონენტად: მიმდინარე შემოსავლად (Y_t); მოსალოდნელ შემოსავლად ($Y_{e,t}$) და ქონებად (A_t)[7]. თეორიის მიხედვით, მოხმარებას განსაზღვრავს ეს სამი ძირითადი კომპონენტი:

$$C_t = a_1' Y_t + a_1'' Y_{e,t} + a_2 A_{t-1}$$

თუ ამ ფუნქციას გარდავქმნით, მისი სპეციფიკაცია შემდეგნაირად მოვახდინოთ:

$$C_t = a_1' Y_t + a_1'' Y_{e,t} + a_2 A_{t-1}, \quad Y_e = \beta' Y_t \Rightarrow C_t = (a_1' + a_1'') Y_t + a_2 A_{t-1} \Rightarrow C_t = a_1 Y_t + a_2 A_{t-1} \Rightarrow C_t = a_1 Y_t + (a_2 - a_1) Y_{t-1} + (1 - a_2) C_{t-1}$$

მილტონ ფრიდმანმა (Milton Friedman, 1912-2006) წამოაყენა თეორია, რომლის თანახმადაც ადამიანის მოხმარება სტაბილურია და არ არის დამოკიდებული მიმდინარე შემოსავლის ცვლილებაზე [9]. ფულის უკმარისობის კომპენსაციას ინდივიდი სესხის აღებით ახდენს, ხოლო შემოსავლის ზრდას – დანაზოგების ზრდით. მილტონ ფრიდმანის პერმანენტული შემოსავლის თეორია (permanent income hypothesis) ამტკიცებს, რომ საოჯახო მეურნეობების მოხმარება დამოკიდებულია, როგორც შრომის შედეგად, ისე ქონებიდან მიღებულ მიმდი-

$$A_{t-1} = A_{t-2} + Y_{t-1} - C_{t-1} = A_{t-2} + Y_{t-1} - a_1 Y_{t-1} - a_2 A_{t-2} = (1 - a_2) A_{t-2} + (1 - a_1) Y_{t-1} = (1 - a_1) \sum_{\tau=0}^{\infty} (1 - a_2)^{\tau} Y_{t-\tau-1} \Rightarrow C_t - (1 - a_2) C_{t-1} = a_1 Y_t - a_1 Y_{t-1} + a_2 (1 - a_1) \sum_{\tau=0}^{\infty} (1 - a_2)^{\tau} Y_{t-\tau-1} - a_2 (1 - a_1) \sum_{\tau=1}^{\infty} (1 - a_2)^{\tau} Y_{t-\tau-1} = C_t = a_1 Y_t + (a_2 - a_1) Y_{t-1} + (1 - a_2) C_{t-1}$$

ნარე და მომავალში მოსალოდნელ შემოსავალზე¹⁰:

$$C_t = cY_{p,t} \Rightarrow C_t = \gamma cY_t + (1 - \gamma)C_{t-1} \text{ სადაც,}$$

$$Y_{p,t} = \gamma Y_t + \gamma(1 - \gamma)Y_{t-1} + \gamma(1 - \gamma)^2 Y_{t-2} \dots = \gamma \sum_{i=0}^{\infty} (1 - \gamma)^i Y_{t-i}$$

მოხმარების სტაბილურობის თეზისიდან გამომდინარეობს, რომ ინვესტიციებს არ ძალუძთ მულტიპლიკატორული გავლენა მოახდინოს მოხმარებაზე. ეს კი ეჭვქვეშ აყენებს ეკონომიკური კრიზისის კეინზიანურ ვერსიას და სახელმწიფოს მიერ მაკროპროპორციების, მოთხოვნის დონის და სამუშაო აქტივობის რეგულირების იდეას.

განსხვავება სასიცოცხლო ციკლის და პერმანენტული შემოსავლის კონცეფციებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ პერმანენტული შემოსავლის თეორია აგრეგირებულად განიხილავს ქონებიდან და ადამიანური კაპიტალიდან მიღებულ მიმდინარე და მოსალოდნელ შემოსავლებს და მას უქვემდებარებს საოჯახო მეურნეობების მხრიდან სამომხმარებლო არჩევის პრობლემას. ის ეყრდნობა გამარტივებულ დაშვებას, რომ ცხოვრება უსასრულოდ გრძელდება. პერმანენტული შემოსავლის თეორიის ერთ-ერთი უმთავრესი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ პერმანენტული შემოსავალი ნაკლებად მგრძნობიარეა კონიუნქტურული რყევების მიმართ, ვიდრე მიმდინარე შემოსავალი, რაც ეკონომიკისათვის ერთგვარ ანტიკრიზისულ „ჩაშენებულ სტაბილიზატორსაც“ წარმოადგენს. ძირითად განსხვავებას მიმდინარე და პერმანენტულ შემოსავალს შორის, ე.წ. „დროებითი შემოსავალი“¹¹ წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს დროში მოხმარების მაჩვენებლის გამოთანაბრებას.

სასიცოცხლო ციკლის და პერმანენტული შემოსავლის თეორიები ხსნიან კუზნეცის პარადოქსს. პირველი მათგანიდან გამომდინარეობს, რომ მოკლევადიანი მოხმარების ფუნქციის გადაადგილება ქონების სექტორის ზრდის ხარჯზე ხდება, ამასთან ქონების ზრდა და მიმდინარე შემოსავლის ზრდა გრძელვადიან პერიოდში პროგნოზირებადი დინამიკით ხასიათდება. შედეგად ქონების სექტორსა და მიმდინარე შემოსავლებს შორის გრძელვადიან პერიოდში თანაფარდობა სტაბილურია, საიდანაც მოხმარების საშუალო მიდრეკილების სტაბილურობის გარემოებაც აიხსნება; მეორე თეორიიდან გამომდინარე მოკლევადიანი მოხმარების ფუნქცია წარმოადგენს „დროებითი შემოსავლით“ გამოწვეულ ფიქციას. რადგან პერმანენტული შემოსავალი უფრო სტაბილური სიდიდეა, ვიდრე მიმდინარე შემოსავალი.

სასიცოცხლო ციკლის და პერმანენტული შემოსავლის თეორია ეყრდნობა დაშვებებს, რომ საოჯახო მეურნეობებმა დანამდვილებით იციან მოსალოდნელი საპროცენტო განაკვეთისა და შრომითი შემოსავლის შესახებ. პერმანენტული შემოსავლის თეორიის მიხედვით ადამიანები შესაძლოა ადაფტური მოლოდინით სარგებლობდნენ, ამ შემთხვევაში ისინი გარკვეული დროითი პორიზონტებით ორიენტირდებიან. რობერტ ემნესტ ჰოლის (Robert Ernest "Bob" Hall, 1943) მტკიცებით, საოჯახო მეურნეობები გადაწყვეტილებებს მოსალოდნელ საპროცენტო განაკვეთთან და შრომით შემოსავალთან მიმართებაში განუსაზღვრელობის პირობებში იღებენ[11]. განუსაზღვრელობას შრომით შემოსავალთან და

10

$$C_t = cY_{p,t}, Y_{p,t} = \gamma \sum_{i=0}^{\infty} (1 - \gamma)^i Y_{t-i} = \gamma Y_t + (1 - \gamma) Y_{p,t-1} \Rightarrow C_t = \gamma cY_t + c(1 - \gamma) Y_{p,t-1} = C_t - (1 - \gamma)C_{t-1} = \gamma cY_t + c(1 - \gamma) Y_{p,t-1} - c(1 - \gamma) Y_{p,t-1} \Rightarrow C_t = \gamma cY_t + (1 - \gamma)C_{t-1}$$

[10, გვ.55-56].

¹¹ დროებითი შემოსავალი ($Y_{t,ir}$) არის სხვაობა მიმდინარე (დაკვირვებად) შემოსავალსა და პერმანენტულ შემოსავალს შორის ($Y_{t,ir} = Y_t - Y_{p,t}$).

საპროცენტო განაკვეთთან მიმართებაში მიეყვარათ მომავალი სამომხმარებლო ხარჯების განუსაზღვრელობამდე და შესაბამისად, მომავალი მოხმარების სარგებლობის განუსაზღვრელობამდე. უკანასკნელი მიუთითებს იმაზე, რომ საწყის პერიოდში საოჯახო მეურნეობა ვერ განსაზღვრავს ყველა მოხმარების სიდიდეს (ΣC_t). ამიტომ ისინი ხელმძღვანელობენ რაციონალური მოლოდინებით. კერძოდ, საოჯახო მეურნეობები მათ ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მუდმივად გადახედავენ საკუთარ გადაწყვეტილებას მომავალი პერიოდის მოხმარებასთან მიმართებაში. ჰოლის თეორიასაც ფიშერის მომხმარებლის ქცევის თეორია უდევს საფუძვლად, რომელიც შემდეგი სახის განტოლებამდე დაიყვანება¹²: $C_{t+1} = \theta C_t + \varepsilon_{t+1}$. ჰოლმა ივარაუდა, რომ შემთხვევითი ცვლილებები მოხმარებაში წარმოადგენს მომავალი შემოსავლების გადაფასების შედეგს, შესაბამისად, მხოლოდ პერმანენტულ შემოსავალზე მოქმედ ახალ ინფორმაციას შეუძლია გავლენა იქონიოს მიმდინარე მოხმარებაზე, ხოლო პერმანენტულ შემოსავალზე მოქმედი ფაქტორები ერთნაირად განაწილებული შემთხვევითი სიდიდეებია, რის გამოც მოხმარების დინამიკა „შემთხვევითი ხეტიალის“ (random walk) ტიპის პროცესით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ მოხმარების „შემთხვევითი ხეტიალის“ ჰიპოთეზა¹³ წარმოადგენს პერმანენტული შემოსავლის თეორიის განზოგადებას განუსაზღვრელობის პირობებში, აღნიშნულმა თეორიამ მთლიანად უარყო ის მეთოდოლოგია, რის საფუძველზეც ხდებოდა 50-70-იან წლებში მოხმარების ფუნქციის აგება. ჰოლმა თავის 1978 წლის ნაშრომში, აშშ-ს მაგალითზე 1948-1978 წლების მონაცემების საფუძველზე აგებული მოდელის მიხედვით¹³, დაამტკიცა, რომ წინა პერიოდის სიდიდეებით მომდევნო პერიოდის პროგნოზირება არ შეიძლება.

მეჯორი ფლავინმა (Marjorie A. Flavin, 1953-) ჰოლის ტესტში ყურადღება მიექცია იმ გარემოებას, რომ განტოლებების მარჯვენა მხარეს არ მონაწილეობდნენ C_t და Y_t კომპონენტები, მისი აზრით, განხილულ უნდა ყოფილიყო მოხმარების დინამიკური განტოლება, რომელიც განიხილავს შემოსავლის ცვლილების გავლენას მოხმარების ცვლილებაზე[12]. ფლავინის აზრით, ჰოლის განტოლების სპეციფიკაცია საჭიროებდა დაზუსტებას, კერძოდ, მიმდინარე შემოსავალი უნდა განხილულიყო ენდოგენურ ფაქტორად. აღნიშნულ მოდელში განკარგავდი შემოსავალი მიხნეულ იქნა ტრენდის მიმართ სტაციონალურ პროცესად, რისი გათვალისწინებითაც ფლავინის ტესტს შემდეგი სახე აქვს [12, გვ.998]:

$$\begin{cases} \Delta C_t = \gamma + \phi_1 \Delta Y_t + \phi_2 \Delta Y_{t-1} + \theta \varepsilon_{t+1} + \varepsilon_{t+1} \\ Y_{t+1} = \alpha_0 + \alpha_1 Y_t + \alpha_2 Y_{t-1} + \varepsilon_{t+1} \end{cases}$$

12

$$\begin{aligned} c_t - c_{t-1} &= \frac{\lambda_1}{\lambda_2} (c_t^\varepsilon - c_{t-1}) \Rightarrow \frac{\lambda_1}{\lambda_2} c_t^\varepsilon - \frac{\lambda_1 + \lambda_2}{\lambda_2} c_{t-1} = \gamma c_t^\varepsilon - (1 - \gamma) c_{t-1} \Rightarrow \Delta c_t = \gamma (c_t^\varepsilon - y_{t-1}) + \\ &\gamma (c_{t-1} - y_{t-1}), \quad c^\varepsilon = k + y_{t,p}, \quad k = c - y \Rightarrow \Delta c_t = \gamma k + \gamma (y_{t,p} - y_{t-1}) + \gamma (c_{t-1} - y_{t-1}), \quad y_{t,p} = y_t + \\ &y_T, \quad y_T = \chi (\Delta y_t - \Delta y_{t-1}) \Rightarrow \Delta c_t = \gamma k + \gamma \Delta y_t + \gamma \chi \Delta \Delta y_{t-1} + \gamma (c - y)_{t-1} \Rightarrow \Delta c_t = \beta' + \alpha_1 \Delta y_t + \\ &\alpha_2 \Delta \Delta y_{t-1} + \alpha_3 (c - y)_{t-1} \Rightarrow \frac{c_t}{c_{t-1}} = \beta' \left(\frac{y_t}{y_{t-1}} \right)^{\alpha_1} \left(\frac{y_t - y_{t-1}}{y_{t-1} - y_{t-2}} \right)^{\alpha_2} \left(\frac{c}{y} \right)^{\alpha_3}, \quad \frac{c_t}{c_{t-1}} = \lambda, \quad \frac{c}{y} = K \Rightarrow C_t = \\ &\lambda^{\alpha_1} K^{\alpha_3} C_{t-1} \Rightarrow C_t = \theta C_{t-1} + \varepsilon_t \end{aligned}$$

¹³ ჰოლმა მოხმარების და განკარგავდი შემოსავლის კავშირის შესასწავლად შემდეგი სახის მოდელი ააგო: $C_t = 8.2 + 1.13 C_{t-1} - 0.04 C_{t-2} + 0.03 C_{t-3} - 0.113 C_{t-4}$ და $C_t = -23 + 1.076 C_{t-1} + 0.049 Y_{t-1} - 0.05 Y_{t-2} - 0.023 Y_{t-3} - 0.024 Y_{t-4}$, რომლისთვისაც კოეფიციენტები სტატისტიკურად არამნიშვნელოვანი აღმოჩნდა[11, გვ.982].

თუ φ_1 და φ_2 პარამეტრები მნიშვნელოვანია, მაშინ გამოდის, რომ მიმდინარე მოხმარება უფრო მეტად რეაგირებს შემოსავლის წარსულ და მიმდინარე ცვლილებაზე, ვიდრე ამას შემთხვევითი ხეტიალის ჰიპოთეზა ამტკიცებს. ამ ჰიპოთეზას „ჭარბი მგრძნობიარობის“ (excess sensitivity) ჰიპოთეზა ეწოდა. აღნიშნული ჰიპოთეზის მიხედვით, მოხმარება რეაგირებს არა მხოლოდ შემოსავლის მოულოდნელ ცვლილებებზე, არამედ ადრე განსჯერეტილ მოსალოდნელ ცვლილებებზეც¹⁴.

ანგუს სტიუარტ დიტონმა (Angus Stewart Deaton, 1945-) თავის ნაშრომში მოხმარების მაკროეკონომიკური მოდელის დროითი მწკრივები განიხილა სხვაობის მიმართ სტაციონალურ დროით მწკრივებად [10]. აღნიშნული მოდელის მიხედვით მოხმარება უფრო მეტად ხასიათდება რხევებით მიმდინარე შემოსავალთან შედარებით. მაშინ, როცა, ტრენდის მიმართ სტაციონალური მიმდინარე შემოსავლის პირობებში მოხმარება ნაკლებად ხასიათდება რხევებით მიმდინარე შემოსავალთან შედარებით. ამ ჰიპოთეზას „ჭარბი მერყეობის“ (excess volatility) ჰიპოთეზა ეწოდა. თუმცა განხილულ პარადოქსს, დიტონის აზრით, გააჩნია ახსნა, თუ მოხმარების ქცევა ხასიათდება შემთხვევითი ხეტიალის პროცესით, მოხმარების ცვლილება დაემთხვევა პერმანენტული შემოსავლის შოკს, რაც იმას ნიშნავს, რომ არ არის აუცილებელი პერმანენტული შემოსავალი უფრო ნაკლები რხევებით ხასიათდებოდეს მიმდინარე შემოსავლის მიმართ. დიტონის აზრით, „ჭარბი მგრძნობიარობის“ და „ჭარბი მერყეობის“ ჰიპოთეზების წინააღმდეგობის მიზეზი არის მოდელში გაუთვალისწინებელი ის ფაქტორები, რომლებიც შეიცავენ მომავალში მისაღები შემოსავლის შესახებ ინფორმაციას.

პერმანენტული შემოსავლის ჰიპოთეზის შემოწმების მიმართულებით მნიშვნელოვანია ჯონ იანგ კემპბელის (John Young Campbell, 1958 -) და ნიკოლას გრეგორი მენქიუს (Nicholas Gregory Mankiw, 1958 -) ნაშრომი, სადაც ერთმანეთთან იქნა შედარებული ორი ალტერნატიული ჰიპოთეზა: პირველი მოხმარების ცვლილება განისაზღვრება მიმდინარე შემოსავლის ცვლილებით, მეორე მოხმარების ცვლილება განისაზღვრება „შემთხვევითი ხეტიალის ჰიპოთეზის“ შესაბამისად [11]. აღნიშნულ მოდელს შემდეგი სახე აქვს: $\Delta C_t = \lambda \Delta Y_t + (1 - \lambda) \varepsilon_t$. მოდელის იდენტიფიცირებისათვის გამოყენებულ იქნა ორ საფეხურიანი უმცირეს კვადრატთა მეთოდი ინსტრუმენტული ცვლადის გამოყენებით, სადაც ინსტრუმენტულ ცვლად მიმდინარე მოხმარების ლაგური მნიშვნელობები გვევლინება. მოდელის მიხედვით λ -ს მნიშვნელობა დაახლოებით 0.5-ის ტოლია, აღნიშნულის შედეგად უარყოფილ იქნა ნულოვანი ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ მიმდინარე მოხმარების ცვლილებას არ განსაზღვრავს მიმდინარე შემოსავალი, თუმცა λ -ს დაბალი მნიშვნელობა მიაჩნებოდა იმაზე, რომ პერმანენტული შემოსავლის თეორია მნიშვნელოვანია მიმდინარე მოხმარების მაჩვენებლის დინამიკის განსაზღვრისათვის.

ჯონ შიამ (John Shea, 1964 -) „შემთხვევითი ხეტიალის ჰიპოთეზის“ შემოწმების დროს ყურადღება დაუთმო მიმდინარე შემოსავლის მოსალოდნელი ცვლილებების იდენტიფიკაციის პრობლემას, ამ მიზნით მან შეისწავლა დასაქმებულთა კონტრაქტები, სადაც ჩადებულია ხელფასის ზრდის ელემენტი და შეისწავლა რეგრესია მიმდინარე მოხმარების ზრდის ტემპსა და მოსალოდნელი ხელფასის ცვლილების ზრდის ტემპს შორის. „შემთხვევითი ხეტიალის ჰიპოთეზის“ მიხედვით, აღნიშნული ცვლადების მაკავშირებელი კოეფიციენტი უნდა

¹⁴ დიტონის მიერ „ჭარბი მგრძნობიარობის“ ჰიპოთეზის შემოწმების დროს უარყოფილ იქნა „შემთხვევითი ხეტიალი ჰიპოთეზა“ [13, გვ. 91].

ყოფილიყო ნულის ტოლი, თუმცა შიამ მიიღო 0.89-ის ტოლი მნიშვნელობა, რომლის სტანდარტული შეცდომა 0.46-ის ტოლი იყო. მაშასადამე, შიამ აღმოაჩინა სტატისტიკურად უმნიშვნელო, მაგრამ რაოდენობრივად მნიშვნელოვანი გადახრა „შემთხვევითი ხეტიალის ჰიპოთეზისაგან“ [12, გვ. 193].

თანამედროვე მაკროეკონომიკური კვლევების მიხედვით, პერმანენტული შემოსავლის და შემთხვევითი ხეტიალის ჰიპოთეზებზე დაფუძნებული მოხმარების თეორია, ძირითადად ორი მიმართულებით განიცდის კრიტიკას. პირველი – ის ვერ ხსნის ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს მოხმარებაზე. მეორე, რომ სხვადასხვა ფაქტორების მნიშვნელოვნება, რომელთა გათვალისწინებაც არ ხდება აღნიშნულ თეორიაში, ასუსტებს პერმანენტული შემოსავლის როლს. ამ პრობლემატიკასთან დაკავშირებით აღსანიშნავია სიფრთხილის მოტივით განხორციელებული დანაზოგების ფენომენი, ლიკვიდობის შეზღუდვის პრობლემა, გადახრა სისტემის სრული ოპტიმიზაციისგან და სხვა.

სიფრთხილის მოტივით განხორციელებული დანაზოგების პრობლემა პირდაპირ კავშირშია მომავლის განუსაზღვრელობის პრობლემასთან. მომავლის განუსაზღვრელობის პირობებში ადამიანები ზოგავენ უფრო მეტს, თუ იზრდება შემოსავლის შემცირების რისკი. ჰოლის მოდელში კი არ არის გათვალისწინებული აღნიშნული გარემოება კვადრატული მოხმარების სარგებლიანობის ფუნქციის გამოყენების გამო, რის შედეგადაც ჰოლის მოდელში მომხმარებლები შემოსავლის ცვლილების რისკის მიმართ ნეიტრალურები არიან. ლიტონის ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ფრთხილი მომხმარებელი მოხმარებას დაიწყებს უფრო დაბალი დონიდან, მაგრამ ექნება უფრო აღმაავალი ტრენდი, ვიდრე პერმანენტული შემოსავლის და შემთხვევითი ხეტიალის ჰიპოთეზებით არის დახასიათებული [13]. მნიშვნელოვანია კრისტოფერ კეროლის (Christopher D. Carroll, 1964-) ნაშრომი, სადაც მან აჩვენა, რომ სიფრთხილის მოტივით განხორციელებული დანაზოგები ზრდიან მოსალოდნელ მოხმარებას. კეროლის აზრით, სიფრთხილის მოტივი საკმაოდ ძლიერია და იმ შემთხვევაშიც, თუ დისკონტირების ნორმა მაღალია, საოჯახო მეურნეობები არ იღებენ სესხს [17]. ამის მიზეზი ის არის, რომ მომავალი პერიოდის შემოსავლების რისკის გამო საოჯახო მეურნეობები ცდილობენ, აიცილონ თავიდან მომავალში დაბალი მოხმარება, რაც შეიძლება გამოწვეულ იყოს მიმდინარე პერიოდში სესხის აღებით.

ლიკვიდობის შეზღუდულობის პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ის აიძულებს მომხმარებელს დაკმაყოფილდეს დაბალი მოხმარების დონით, ვიდრე ეს ასეთი შეზღუდვის არ არსებობის პირობებში იქნებოდა შესაძლებელი. სტივენ ზალდესმა (Stephen P. Zeldes, 1978-) თავის ნაშრომში შემოგვთავაზა ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო მკაცრი პირობა, რომლის მიხედვითაც, თუ ლიკვიდობის შეზღუდვას არ აქვს ადგილი მიმდინარე პერიოდში, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ეს შეიძლება მოხდეს ოდესღაც მომავალში, ამცირებს მიმდინარე მოხმარებას [18].

როგორც ვნახეთ, ორივე შემთხვევაში დანაზოგების სიფრთხილის მოტივით და ლიკვიდობის შეზღუდვის მოლოდინით მოსალოდნელი შემოსავლის შემცირება უბიძგებს საოჯახო მეურნეობებს განახორციელონ ე.წ. “ბუფერული დანაზოგები” [17]. ამ კონცეფციების მნიშვნელოვანი დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ მომხმარებელი მცირედი ბუფერული ქონების საშუალებით ახდენს მომავალი შემოსავლის რისკის დაზღვევას, ხოლო მოხმარება ძირითადად განისაზღვრება მისი განკარგადი შემოსავლის დონით.

ლიკვიდობის შეზღუდვის პრობლემასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია შიამს კვლევა. შიამ ააგო მოდელები მაღალი და დაბალი ლიკვიდური აქტივების მქონე ჯგუფებისა და დაბალ შემოსავლიანი საოჯახო მეურნეობისათვის, ხელფასის მოსალოდნელი კვების და ზრდის ჯგუფებისათვის [19]. ჩატარებული

კვლევებით ლიკვიდობის შეზღუდვა, როგორც პერმანენტული შემოსავლის შემზღუდველი ფაქტორის მნიშვნელობა, არ დადასტურდა.

დევიდ ისააკ ლაიბსონის (David Isaac Laibson, 1966-) მოხმარების დინამიური შეუთანხმებლობის კონცეფციის მიხედვით საოჯახო მეურნეობები განუსაზღვრელობის პირობებში ხელმძღვანელობენ მცირე დროითი პერიოდებში და ახორციელებენ მცირე დანაზოგებს მიმდინარე შემოსავლის რყევების ნიველირებისათვის [20]. მოკლევადიან დროით პერიოდებში მათი ქცევა უფრო ხასიათდება პერმანენტული შემოსავლის თეორიით. გრძელვადიან პერიოდში კი მომხმარებლის ქცევა მეტი კეთილგონიერებით ხასიათდება.

მიუხედავად იმისა, რომ ფაქტორთა დიდი ერთობლიობა მოქმედებს მოხმარებაზე, პერმანენტული შემოსავლისა და შემთხვევითი ხეტიალის ჰიპოთეზების უარყოფა არ შეიძლება. რისკის დაზღვევის ელემენტის ჩართვა პერმანენტული შემოსავლის და შემთხვევითი ხეტიალის ჰიპოთეზებს აფართოვებს, ამასთან ლიკვიდობის შეზღუდვა და სისტემის სრული ოპტიმიზაციისგან გადახრის პრობლემა, აბსოლუტური შემოსავლის, ფარდობითი შემოსავლის და სასიცოცხლო ციკლის ჰიპოთეზებთან ერთად შეგვიძლია შემთხვევითი ხეტიალის ჰიპოთეზის კერძო შემთხვევებად განვიხილოთ, გარკვეული შეზღუდვების მნიშვნელოვნების გაფართოვების საშუალებით. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მაკროეკონომიკურ თეორიაში პერმანენტული შემოსავლის თეორიას არ უარყოფენ, მოხმარების ერთიანი თეორია ვერ ჩამოყალიბდა.

საზოგადოების მხრიდან მოხმარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მრავალი ფაქტორი ზემოქმედებს. კერძოდ, მიმდინარე შრომითი შემოსავლები, პერმანენტული შემოსავლები, ქონებიდან მიღებული შემოსავლები, მოსალოდნელი შემოსავლები, მოლოდინები მომავალში შემოსავლების დონესთან დაკავშირებით, სხვადასხვა ეგზოგენური შოკები, დანაზოგების დონე და სხვადასხვა დომინირებადი მოტივებით, საპროცენტო განაკვეთის დონე, უმუშევრობის დონე, ინფლაციის დონე და ა.შ. ეს გადაწყვეტილებები მიიღება გარკვეული შეზღუდვების პირობებში, როგორიცაა: ლიკვიდობის მიღების შეზღუდვა, შემოსავლების უთანაბრობა, სამომხმარებლო საგნების არასრულფასოვანი ურთიერთშენაცვლება და სხვა.

ყოველივე ზემო აღნიშნული ცხადყოფს იმას, რომ ქვეყნის საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების პროცესში, მნიშვნელოვანია მოხდეს მოხმარების ფუნქციაში მომხდარი ცვლილებებისა და არსებული მდგომარეობის, როგორც ქვეყნის მაკროეკონომიკურ პროცესებზე მოქმედი მნიშვნელოვანი ფაქტორის სიდრმისეულად გაანალიზება. ვინაიდან მოხმარების ფუნქციის ცვლილება, სამომხმარებლო ხარჯების შემცირება ან/და ზრდა, ხშირ შემთხვევაში ეკონომიკური ციკლების მასტიმულირებელია, რაც, საბოლოო ჯამში, მაკროეკონომიკური წონასწორობის დარღვევას იწვევს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Блауг М. Экономическая мысль в ретроспективе. Масква, Дело Лтд, 1994.
2. Кейнц Дж. М. Конец laissez-faire. Масква, Директмедиа Паблишинг, 2008.
3. Kuznets S., (assisted by Epstein L. and Jenks E.) National Product Since 1869. New York, National Beureau of Economic Research, 1946.
4. Тарасевич Л.С., Гребенников П.И., Леусский А.И. МАКРОЭКОНОМИКА. Масква, Высшее образование, 2006.
5. Duesenberry J. S. Income, saving and theory of consumer behavior, Cambridge, Massachusetts, Harvard University Press, 1949.
6. Fisher I. The Theory of interest. Clifton, Augustums. Kelley Publishers. 1974.

7. Modigliani F. Life Cycle, Individual Thrift, and the Wealth of Nations. American Economic Review, 1986, vol. 76, no. 3.
8. Hadjimatheou G. Consumer Economics after Keynes. New York. St.martin's Press, 1987.
9. Friedman M. A Theory of the Consumption Function. Princeton, Princeton University Press, 1957.
10. ანანიაშვილი ი. მაკროეკონომიკა (ნაწილი I). თბილისი. “უნივერსალი”, 2002.
11. Hall R. E. Stochastic Implications of the Life Cycle - Permanent Income Hypothesis: Theory and Evidence. Journal of Political Economy, 1978, vol.86, no.6.
12. Flavin M. A. The Adjustment of Consumption to Changing Expectations About Future Income. Journal of Political Economy, 1981, vol.89, no.5.
13. Deaton A. Understanding Consumption. Oxford, Clarendon Press. 1992.
14. Deaton A. Life-Cycle Models of Consumption: Is the Evidence Consistent with the Theory. National Bureau of Economic Research, 1986, Working Paper No. 1910.
15. Campbell J. Y., Mankiw N. G. The Response of Consumption to Income: A Cross-Country Investigation. European Economic Review, 1991. vol.35, no.4.
16. Shea J. Union Contracts and the Life Cycle – Permanent Income Hypothesis. American Economic Review 85 (March 1995).
17. Carroll C.D., The Buffer-Stock Theory of Saving: Some Macroeconomic Evidence. Brookings Papers on Economic Activity 1992(2).
18. Zeldes, S. P. Consumption and Liquidity Constraints: An Empirical Investigation. Journal of Political Economy, 1989. Vol. 97, no.2.
19. Shea J. Myopia, Liquidity Constraint, and Aggregate Consumption: A Simple Test. Journal of Money, Credit and Banking. 1995, Vol 27 Issue 3
20. Laibson, D. Golden Eggs and Hyperbolic Discounting. Quarterly Journal of Economics, 1997. Vol. 112, issue 2.

ნიკოლოზ ოსტაპენკო

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკურ მეცნიერებათა მაგისტრი
ა(ა)იპ-საქართველოს ეკონომიკური კვლევების ბიუროს (სეკბ)
დამფუძნებელი, გამგეობის წევრი*

სულხან ტაბაღუა

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკურ მეცნიერებათა მაგისტრი
ა(ა)იპ-საქართველოს ეკონომიკური კვლევების ბიუროს (სეკბ)
დამფუძნებელი, აღმასრულებელი დირექტორი*

**მოხმარების მაკროეკონომიკური თეორიის ევოლუცია
ანოტაცია**

მოხმარების თეორიასა და მოხმარების ფუნქციას მაკროეკონომიკაში საკვანძო ადგილი უჭირავს. იგი მნიშვნელოვანია დანაზოგების ფუნქციისა და აქედან გამომდინარე საინვესტიციო რესურსების, გრძელვადიანი ეკონომიკური წონასწორობისა და მოკლევადიანი ეკონომიკური რყევების მიზეზების, პირობებისა და აგრეთვე, მულტიპლიკატორული ეფექტის ანალიზისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოხმარებისა და დანაზოგების თანაფარდობის პრობლემა უმნიშვნელოვანესია, როგორც გრძელვადიან, ისე მოკლევადიან პერიოდში ეკო-

ნომიკურ წონასწორობაზე მოქმედი ფაქტორების და მიზეზების ანალიზისათვის.

შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მრავალი ფაქტორი ზემოქმედებს. კერძოდ, მიმდინარე შრომითი შემოსავლები, პერმანენტული შემოსავლები, ქონებიდან მიღებული შემოსავლები, მოსალოდნელი შემოსავლები, მოლოდინები მომავალში შემოსავლების დონესთან დაკავშირებით, სხვადასხვა ეგზოგენური შოკები, დანაზოგების დონე და სხვადასხვა ფაქტორები. ეს გადაწყვეტილებები მიიღება გარკვეული შეზღუდვების პირობებში, როგორიცაა: ლიკვიდობის მიღების შეზღუდვა, შემოსავლების უთანაბრობა, სამომხმარებლო საგნების არასრულფასოვანი ურთიერთშენაცვლება და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მოხმარების თეორიის გარშემო მრავალი კვლევაა ჩატარებული, მოხმარების ერთიანი თეორია ვერ დღემდე ჩამოყალიბდა.

Николоз Остапенко

*Магистр экономических наук Тбилисского государственного университета
им. Иванэ Джавахишвили.*

Основатель и член правления Грузинского бюро экономических исследований (GBER)

Сулхан Табагуа

*Магистр экономических наук Тбилисского государственного университета
им. Иванэ Джавахишвили.*

*Основатель и исполнительный директор Грузинского бюро
Экономических исследований (GBER)*

ЭВОЛЮЦИЯ МАКРОЭКОНОМИЧЕСКОЙ ТЕОРИИ ПОТРЕБЛЕНИЯ

Аннотация

Теория потребления и функции потребления играет ключевую роль в макроэкономике. Она важна для анализа функции сбережения и, следовательно, инвестиционных ресурсов, долгосрочного экономического равновесия, причин и условий краткосрочных экономических колебаний, а также эффекта мультипликатора. Соответственно, проблема соотношения между потреблением и сбережением важна для анализа причин и факторов экономического равновесия как в краткосрочный так и в долгосрочный период.

На процесс принятия решений со стороны общества влияют различные факторы. В частности, текущий трудовой доход, постоянный доход, доходы от собственности, ожидаемый доход, ожидания об уровнях будущих доходов, различные экзогенные шоки, уровень сбережений, и другие факторы. Эти решения принимаются в условиях определенных ограничений, такие как: ограничения ликвидности, неравенство доходов, недостаточное взаимозаменяемость товаров потребления и т.д. Несмотря ни на что вокруг теории потребления было сделано много исследований, но единая теория не была сформирована.

Nikoloz Ostapenko

*Tbilisi State University, Master of Art in Economic
Founder and Member of board of Georgian National Bureau of
Economic Research (GBER)*

Sulkhan Tabaghua

*Tbilisi State University, Master of Art in Economic
Founder and Executive Director of Georgian National Bureau of
Economic Research (GBER)*

EVOLUTION OF MACROECONOMIC THEORY OF CONSUMPTION

Annotation

Consumption theory and consumption function are the keys of macroeconomics. It's important to analyze savings functions and therefore, investment resources, long-term economic equilibrium, as well as conditions of short-term economic fluctuations and multiplier effect. Accordingly, the problem of the relationship between consumption and savings is essential to analyze the causes and factors of short and long-term economic equilibrium.

Many factors influence consumption decision-making process of community. Particularly, the current labor income, permanent income, property income, expected income, expectations for future revenue levels, a variety of exogenous shocks, savings level, and other factors. These decisions are made under certain restrictions, such as: liquidity constraints, income inequality, insufficient interaction between the consumer goods substitutability. No matter how much research has been done around the consumption theory, no common theory has been established yet.

დავით ასლანიშვილი
*თბილისის იუჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ პროფესორი,
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი*

საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი: სიტუაციური ანალიზი და პერსპექტივა

2012 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, საქართველო ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეალობაში იმყოფება. საქართველოს ახალი მმართველი პოლიტიკური გუნდის გაცხადებულ პრიორიტეტებში შედის ქვეყნის ადგილობრივი წარმოების წახალისება, საგარეო უარყოფითი სავაჭრო ბალანსის შემცირება, ექსპორტის გაძლიერება და ინვესტიციების მოზიდვა. ამ მხრივ ჩვენი განხილვის საგანს წარმოადგენს იმ რეალობის ასახვა და ანალიზი, თუ რა მდგომარეობაა საქართველოს სახელმწიფო შიგა ვალის კუთხით - მისი ოდენობა, სტრუქტურა და დინამიკა ბოლოდროინდელი პოლიტიკური ცვლილებების ფონზე.

განხილვას 2012 წლის მაისიდანაა რადგან საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის დინამიკა მიმოხილული გვაქვს ამ ინსტრუმენტის შემოღებიდან (1997 წელი) - 2012 წლის აპრილის ბოლომდე საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებულში „ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია“, რომელიც შედგა 2012 წლის 28-29 ივნისს ქ. თბილისში (ტომი მეორე, გვერდი 328 დ 334). იმ დროისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში სახაზინო ვალდებულებათა და ობლიგაციების ემისიის გზით მოზიდულ იქნა 673 მლნ ლარი.

სახაზინო ვალდებულებების აუქციონების დინამიკა

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის ამ სახეობის ვადიანობა ერთ წელს არ აღემატება. საანგარიშგებო პერიოდში ბიუჯეტში მოზიდულ იქნა 90 მლნ ლარის ემისია, ხოლო ამავე პერიოდში დაფარულ იქნა 195 მლნ ლარის ემისია. ამ მხრივ სახეზეა 2012 წლის მაისიდან 2013 წლის 22 ივლისამდე სახაზინო ვალდებულებების ემისიათა გზით ბიუჯეტში არსებული თანხის 105 მლნ ლარით შემცირება. ამ კლების ფონზე ყურადსაღებია წლიური საშუალო საპროცენტო განაკვეთის შემცირება - თუ 2012 წლის მაისში სახაზინო ვალდებულებათა აუქციონების საშუალო წლიური განაკვეთი 9,5 პროცენტს შეადგენდა, 2013 წლის ივნისში 5,6 პროცენტ წლიურ მაჩვენებელზე დავიდა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის მიერ ჩატარებულ იქნა 14 აუქციონი სახაზინო ვალდებულებათა განთავსების მიზნით. აქედან, 2012 წლის მაისიდან 2012 წლის დეკემბრის ჩათვლით ჩატარდა 7 აუქციონი, ჯამური თანხით 60 მლნ ლარი, ხოლო 2013 წლის იანვრიდან 2013 წლის 22 ივლისამდე ასევე 7 აუქციონი, ჯამური თანხით 80 მლნ ლარზე.

კომერციული ბანკების მხრიდან დაფიქსირებულმა ჯამურმა მოთხოვნამ 2012 წლის მაისიდან 2012 წლის დეკემბრის ჩათვლით შეადგინა 146,140,000 ლარი, ანუ გადაფარვის კოეფიციენტმა 2012 წლის მაისი - დეკემბრის განმავლობაში 2,4357 შეადგინა, ხოლო 2013 წლის იანვარ - ივლისში 199,520,000 ლარს უდრიდა, რამაც კოეფიციენტის მიმდინარე ციფრი 2,494 აიყვანა.

ჯამური ვითარება ემისიათა დინამიკის კუთხით შემდეგია:

2009 წელი - ემისიის მოცულობამ 270 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მოცულობა 841,340, 000 ლარი იყო, ანუ წლიური გადაფარვის კოეფიციენტი 3,116 უდრიდა;

2010 წელს ემისიის წლიურმა მოცულობამ 463 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო ჯამური მოთხოვნა 1,075,250,000 ლარს უდრიდა, ანუ გადაფარვის საშუალო წლიური კოეფიციენტი 2,322 შეადგენდა;

2011 წელს ჯამურმა განთავსებულმა ემისიამ 250 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მოთხოვნამ 495,200, 000 ლარი იყო, რამაც გადაფარვის კოეფიციენტი 1,981 მდე დაიყვანა;

2012 წელს ემისიის განთავსებულმა ოდენობამ 100 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მოთხოვნა 250 მლნ ლარი იყო. ამ მხრივ გადაფარვის კოეფიციენტი 2,501 უდრიდა;

მიმდინარე, 2013 წლის 22 ივლისის მდგომარებით განთავსებულმა ემისიამ 80 მლნ ლარი, ხოლო მოთხოვნამ 199,520,000 ლარი შეადგინა, ამრიგად კოეფიციენტი 2,494 ფარგლებშია.

გასული ხუთი წლის დინამიკა ცხადყოფს: სახაზინო ვალდებულებების ემისია წლიდან წლამდე მცირდება, თუმცა, მიმდინარე 2013 წელს დაგეგმილია ამ ინსტრუმენტით მოზიდული ფულადი რესურსის გაზრდა, რაზეც მიგვიითიებს 2013 წლის მესამე კვარტლის გეგმა¹:

სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების 2013 წლის მესამე კვარტლის საემისიო კალენდარი

აუქციონის თარიღი	ანგარიშსწორების თარიღი	ემისიის მოცულობა(ლარი)	ვალიანობა (დღეები)	ვალიანობა (წლები)	დაფარვის თარიღი
10/07/13	11/07/13	10,000,000	364	1	10/07/14
17/07/13	18/07/13	10,000,000	1826	5	18/07/18
31/07/13	01/08/13	15,000,000	730	2	01/08/15
14/08/13	15/08/13	15,000,000	329	1	10/07/14
21/08/13	22/08/13	10,000,000	3470	10	21/02/23
04/09/13	05/09/13	20,000,000	695	2	01/08/15
11/09/13	12/09/13	10,000,000	364	1	11/09/14
18/09/13	19/09/13	10,000,000	1763	5	18/07/18

2013 წლის 22 ივლისამდე გამოშვებულ და არსებულ 80 მლნ ლარის განთავსებულ ემისიას ემატება სამი გამოცხადებული ემისია, ჯამური თანხით 35 მლნ ლარი¹⁴. თუ ვივარაუდებთ, რომ მეოთხე კვარტალშიც მოსალოდნელია სახაზინო ვალდებულებათა ემისია, ჩვენი ვარაუდით, 2013 წლის განმავლობაში ჯამური სახაზინო ვალდებულებების ემისია 150 მლნ ლარს მიაღწევს.

სახაზინო ობლიგაციების აუქციონების დინამიკა

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის ამ სახეობის ვალიანობა ერთ წელს აღემატება და არსებული ემისიების ფონზე 10 წელსაც კი აღწევს რიგი ემისიების დროს.

2012 წლის მაისიდან 2013 წლის 22 ივლისამდე სახელმწიფო ბიუჯეტში მოზიდულ იქნა 747 მლნ ლარი, ხოლო ამავე პერიოდში დაიფარა 215 მლნ ლარის ემისია. ამ მხრივ სახეზეა დადებითი საღდო მოზიდულ და დაფარულ ემისიებს შორის და ის 532 მლნ ლარს შეადგენს. ამ გრძელვადიან ემისიებს შორის დიდია დროითი სხვაობა და შესაძინეია საპროცენტო განაკვეთის მერყეობა.

საანგარიშგებო პერიოდის ანალიზის კუთხით მიზანშეწონილია გრძელვადიანი ემისიები შემდეგი ჯგუფებით დავაწვილოთ:

2 წლამდე ვადის მქონე ემისიები - ასეთი ვადის მქონე ემისიების განთავსების დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 6 დან 7 პროცენტ წლიურის ფარგლებში;

5 წლამდე ვადის მქონე ემისიები - ასეთი ვადის მქონე ემისიების განთავსების დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 7,5 დან 9 პროცენტ წლიურის ფარგლებში;

10 წლამდე ვადის მქონე ემისიები - ასეთი ვადის მქონე ემისიების განთავსების დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 10,5 დან 11,5 პროცენტ წლიურის ფარგლებში;

ამავე პერიოდში ჩატარდა 30 აუქციონი, აქედან 9 იყო 2 წლიანი, 13 – 5 წლიანი და 8 – 10 წლიანი. არსებული დინამიკა გვაძლევს საშუალებას, რომ დავასკნათ, რომ სახელმწიფოს პრიორიტეტია 5 წლიანი ემისიების გამოშვება.

2012 წლის მაის - დეკემბრის პერიოდში განთავსებულ იქნა 199 მლნ ლარის ემისია, ხოლო 2013 წლის იანვარ - ივლისის განმავლობაში - 125 მლნ ლარი.

კომერციული ბანკების მხრიდან დაფიქსირებულმა ჯამურმა მოთხოვნამ 2012 წლის მაისიდან 2012 წლის დეკემბრის ჩათვლით შეადგინა 373,450,000 ლარი, ანუ გადაფარვის კოეფიციენტი 2012 წლის მაისი - დეკემბრის განმავლობაში 1,88 შეადგინა, ხოლო 2013 წლის იანვარ - ივლისში 277,470,000 ლარს უდრიდა, რამაც კოეფიციენტის მიმდინარე ციფრი 2,22 აიყვანა.

წლების მიხედვით გრძელვადიანი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დინამიკა შემდეგი ტრენდით ხასიათდება:

2010 წელი - ჯამური განთავსებული ემისია 145 მლნ ლარი იყო, ხოლო ჯამური მოთხოვნა - 346,500,000 ლარი. ამ მხრივ გადაფარვის კოეფიციენტი 2,39 უდრიდა.

2011 წელი - ჯამური განთავსებული ემისია 163 მლნ ლარი იყო, ხოლო ჯამური მოთხოვნა - 351,750,000 ლარი. ამ მხრივ გადაფარვის კოეფიციენტი 2,16 გაუტოლდა.

2012 წელი - ჯამური განთავსებული ემისია 324 მლნ ლარი იყო, ხოლო ჯამური მოთხოვნა - 716,650,000 ლარი. ამ მხრივ გადაფარვის კოეფიციენტი 2,21 შეადგინა.

მიმდინარე 2013 წელი (22 ივლისის მდგომარეობით) - ჯამური განთავსებული ემისია 125 მლნ ლარი იყო, ხოლო ჯამური მოთხოვნა - 277,470,000 ლარი. ამ მხრივ გადაფარვის კოეფიციენტი 2,22 უტოლდება.

თუ მივიღებთ მხედველობაში მესამე კვარტლის ემისიის მოცემულ პარამეტრებს და განსათავსებელ 65 მლნ ლარს (2 დან 10 წლამდე ვადით), შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მეოთხე კვარტალშიც მსგავსი ტენდენცია შენარჩუნდება. ამ მხრივ, 2013 წელს სავარაუდოა, რომ განთავსებულ იქნას დამატებით 130 მლნ ლარი, რაც წლიური განთავსების 250 დ 260 მლნ ლარს შეადგენს.

არსებული ვითარება ცხადყოფს, რომ სახეზეა აქცენტის გადატანა გრძელვადიან სახელმწიფო ფასიან ქაღალდზე, რაც უდაოდ მისასალმებელი ტენდენციაა. თუ გადავხედავთ არსებულ წლიურ საპროცენტო განაკვეთს და მის ტრენდს, ის სტაბილურია, ხოლო რიგ შემთხვევაში კლებადი.

არსებული მდგომარეობა და მიმდინარე საემისიო კალენდარი ცხადყოფს, რომ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი ბიუჯეტის შევსების სტაბილური და საიმედო წყაროა.

არსებული მონაცემების საფუძველზე, 2013 წლის 22 ივლისის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტის შიგა ვალი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა წინაშე შეადგენს:

673 მლნ ლარს 2012 წლის 1 მაისის მდგომარეობით დაემატა 2012 წლის 1 მაისიდან 2013 წლის 22 ივლისამდე დადებითი სხვაობა გრძელვადიანი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიის გზით - 532 მლნ ლარი - და აკლდება უარყოფითი სხვაობა მოკლევადიანი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიის გზით - 105 მლნ ლარი.

ამ მხრივ, ჯამური ვალი 1,1 მლრდ ლარს შეადგენს. ასეთ ფონზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული ბაზრის ღიაობის უზრუნველყოფას, ტრანსპარენტულ გარემოში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვა / გაყიდვას, გადაყიდვას, ინვესტორთა ფართო წრისთვის ბაზრის გახსნას.

სამწუხაროდ, არსებული ვითარებით ადგილი აქვს ამ სფეროს ფაქტიურ მონოპოლიზაციას კომერციული ბანკების მხრიდან, რასაც ხელს საქართველოს ეროვნული ბანკი უწყობს. საერთოდ უცნობია, თუ რა ხდება მეორად ბაზარზე, რა ფასწარმოქმნა და გარიგებები ხორციელდება ამ სახის ფასიან ქაღალდებზე.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიის ზრდა და ამ ბაზრის ეფექტური მომსახურების უზრუნველსაყოფად საჭიროა უმოკლესი ვადაში შევიდეს ცვლილებები არსებულ კანონმდებლობაში, პირველად და მეორად ბაზარზე დაშვებულ იქნას სხვა შუამავალი სტრუქტურები და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი არ იყოს მხოლოდ კომერციული ბანკის ექსკლუზიური სფერო, როგორც პირველად, ასევე მეორად ბაზარზე.

აღნიშნული პრობლემატიკა მეტ სიღრმისეულ და დეტალიზებულ მიდგომას საჭიროებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ეროვნული ბანკი, www.nbg.ge;
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, www.mof.ge;
3. შპს „საქადტველოს საინვესტიციო ჯგუფი პლიუსი, www.investgroup.ge

დავით ასლანიშვილი
თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ პროფესორი,
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

**საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი:
სიტუაციური ანალიზი და სამომავლო პერსპექტივა
(2012 წლის 1 მაისი - 2013 წლის 22 ივლისის პერიოდი)
ანოტაცია**

მოცემულ ნაშრომში განხილულია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის, სახელდობრ, სახაზინო ვალდებულებათა ბაზრის არსებული სიტუაცია და ტენდენციები, მოცულობა, ბრუნვა; მოკლე და გრძელვადიანი დაფარვის მქონე ფასიანი ქაღალდები და მათი მახასიათებლები, აღნიშნული ინსტრუმენტის პრობლემატიკა და დასახულია ამ პრობლემების გადაჭრის გზები.

Давид Асланишвили

*Ассистент Профессор, Тбилисский Государственный Университет,
Докторант, Университет Грузии им. Святого Андрея
Первозванного при Патриархии Грузии*

РЫНОК ГОСУДАРСТВЕННЫХ ЦЕННЫХ БУМАГ ГРУЗИИ: СИТУАЦИОННЫЙ АНАЛИЗ И ПЕРСПЕКТИВЫ

Аннотация

В данной статье мною обрисована текущая ситуация по рынку государственных ценных бумаг Грузии, в частности Казначейских обязательств, объем рынка и его оборот. По отдельности рассмотрены кратко и долгосрочные бумаги и их особенности. В статье особое внимание уделено проблемам данного рынка и очерчены пути их решения.

David Aslanishvili

*Assistant Professor, Tbilisi State University,
PhD Student,*

Saint Andrew the First-Called Georgian University

GEORGIAN STATE SECURITIES MARKET: SITUATIONAL ANALYSIS AND THE TRENDS

Annotation

In this article I have described the ongoing situation on the state securities market, its volume, turnover, short and long-term securities and its peculiarities. Also, I have overviewed the existed obstacles and the ways to overcome it.

ქრისტინე ომაძე
*საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისების ბავშვნა საქართველოს
ფინანსურ ბაზარზე
(1991 – 2008 წწ)**

აღნიშნული კვლევის მიზანია დაადგინოს, თუ რა ურთიერთკავშირი და ზეგავლენა აქვს საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს ქვეყნის საფინანსო ბაზარზე. ამ მხრივ სტატიაში მიმოხილულია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული სამი მნიშვნელოვანი დროის მონაკვეთი:

1. 1991-1995 წწ – დამოუკიდებლობის აღდგენა, სამოქალაქო ომი, შინაშლილობა და ეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამების ამოქმედების პერიოდი, კუპონი, ლარის შემოღება;
2. 1995-1999 წწ – საქართველო (1998 – 1999 წწ გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე), წინა საკრიზისო პერიოდი და კრიზისის ზეგავლენა ქართულ საფინანსო ბაზარზე;
3. 2003-2008 წწ – მიმდინარე გლობალური ეკონომიკური კრიზისი და მისი წინაპირობები, საქართველოს სავალუტო ბაზრის ტენდენციები კრიზისამდე და კრიზისის პერიოდში.

**საქართველოს სავალუტო ბაზრის მიმოხილვა
(1991 – 1995 წწ)**

ქართულმა სავალუტო სისტემამ დამოუკიდებელი არსებობა 1991 წლის ბოლოდან დაიწყო, როდესაც დაინგრა საბჭოთა კავშირი და “ცენტრმა” შეწყვიტა ყოფილი რესპუბლიკების რუბლით მომარაგება. ამით საქართველოში უმძიმესი ეკონომიკური სიტუაცია შეიქმნა, რასაც დაემატა სამოქალაქო ომი, “ფულის გაცოცხლების” სისტემები, სხვადასხვა სახის მაქინატორების მომრავლება და ფინანსური პირამიდების “აწყობა”, ეროვნული ბანკის ე.წ. “ლიბერალური პოლიტიკა”, რის შედეგად სხვადასხვა ქვეყნის “აყვავების” საფუძველზე “საჭირო ხალხზე” გაიცა ათობით მილიარდი რუბლი, რამაც ბოლო მოუღო ქართულ საფინანსო სისტემას და მის დამოუკიდებლად არსებობის უნარს. ეს კი ქვეყნის მაშინდელი მმართველი გუნდის მიერ ჩატარებული არასწორი და ხშირად დანაშაულებრივი ფინანსური პოლიტიკის შედეგი იყო.

1992 წლამდე საქართველოში არ არსებობდა საკუთარი ვალუტა. 1993 წლის 2 აპრილიდან, შემოღებულ იქნა დროებითი ეროვნული ვალუტა – კუპონი, რომელმაც მალე დაკარგა თავისი ღირებულებითი ასახვა და ქართული ე.წ. “ლიბერალური” ფულად-საკრედიტო პოლიტიკის “წყალობით” ფარატინა ქაღალდად იქცა. კუპონმა თავისი ღირებულების გაუფასურებით რეკორდულ მანქვენებლებს მიაღწია და ეკონომიკაში წარუმატებელი ფინანსური პოლიტიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი გახდა. რაიმე მყარი კურსის არსებობა არათუ დოლარის, არამედ რუსული რუბლის მიმართაც კი, შეუძლებელი იყო. შემოღებისას 1 ქართული კუპონი 1 რუსულ რუბლს უდრიდა, ხოლო 1000 კუპონი – 1 აშშ დოლარს, ხოლო “ბრძნული” რეფორმების შედეგად ერთ წელიწადში 1 აშშ დოლარი – 5 000 000 კუპონს გაუტოლდა. მხოლოდ 1994 წლის მეორე ნახევრიდან მოხერხდა კუპონის კურსის “დაჭერა” როგორც რუსული რუბლის, ასევე დოლარის მიმართ.

სრული კრიზისი გამეფდა ქვეყნის საფინანსო სისტემაში. 1992 წლის 11 თვის შემოსავალმა 15,2 მლრდ რუსული მანეთი შეადგინა, გასავალმა კი 29,4 მლრდ. რუსული მანეთი. ურთულესი ფინანსური მდგომარეობა შეიქმნა საწარმოებსა და ორგანიზაციებში. 1992 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით მათი დავალიანება მომწოდებლებისა და ბანკების მომართ 20,6 მლრდ მანეთის ტოლფასი იყო. არნახულ მასშტაბებს მიაღწია ინფლაციურმა პროცესებმა. საქართველოს ბანკებს 1992 წელს 25,4 მლრდ მანეთის ნაღდი ფულის შემოსავალი ჰქონდათ, მათ კი მიმოქცევაში 45 პროცენტით მეტი გამოუშვეს.

განუხრელად იზრდებოდა საქონლისა და მომსახურების ფასები. სამომხმარებლო ფასების ინდექსი 1992 წელს 9,3-ჯერ გაიზარდა, მათ შორის შაქარზე 100-ჯერ, ყველზე 102-ჯერ, მაკარონის ნაწარმზე – 95-ჯერ და ა.შ. გაძვირდა სატრანსპორტო (16,1-ჯერ) და კომუნალური (9,9-ჯერ) მომსახურების ღირებულება. იმის გამო, რომ 1992 წლის მეორე ნახევრიდან ძალზე გართულდა რუსეთიდან (რომელიც რჩებოდა ფულის ემიტენტად) ნაღდი ფულის კუპიურების საჭირო რაოდენობის დროული ჩამოტანა, ამ გზით ანაბრებზე აკუმულირებული ფული გაცემულ იქნა ხელფასებისა და პენსიების სახით, რამაც პრაქტიკულად გამოიწვია ბრუნვაში არსებული ფულის მასის შეზღუდვა რეფორმის გამტარებელი მთავრობის მხრიდან. ამას დაემატა მოსახლეობის მხრიდან უნდობლობის ფაქტორის გამძაფრება, რაც განსაკუთრებით აისახა მომდევნო პერიოდში ანაბრებზე პირამიდის სისტემით მომუშავე ორგანიზაციების მასობრივ გაკოტრებასა და დაზღვევის მომენტების უქონლობაში, კუპონის კურსის კატასტროფული ტემპითა და ზომით გაუფასურებასა და ყოველი სახის მეწარმეობის უპერსპექტიოებაში.

შეიძლება დავასკვნათ, რომ 1995 წლამდე საქართველოში არ განხორციელებულა ბრუნვაში არსებული ფულის მასის შეზღუდვა. ასევე ვერ მოხერხდა ანაბრებსა და სხვა დეპოზიტებზე პროცენტების გაზრდა, მოსახლეობის მიერ ფულის დაზოგვის სტიმულირების მიზნით. 1991 წელთან შედარებით 1992 წელს საპროცენტო განაკვეთი მოთხოვნამდე ანაბრებზე წლიური 2 პროცენტიდან გაიზარდა 5 პროცენტამდე, ხოლო 10 წლამდე ანაბრებზე - წლიური 9 პროცენტიდან - 80 პროცენტამდე, რაც ვერ ასახავდა ინფლაციის ტემპს, ანუ ამდაგვარი პოლიტიკით შეუძლებელი იყო არათუ ფულადი მასის მოზიდვა, არამედ საერთოდ რაიმე ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე საუბარი. ამას დაემატა საკუთარი მონეტარული სისტემის არქონა და საერთო ანარქია ფულად - საკრედიტო სისტემაში ეროვნული ბანკის “ლიბერალური პოლიტიკა”, რამაც დაუშვა მიმოქცევაში ერთდროულად რამოდენიმე ვალუტის არსებობა (ქართული კუპონი, საბჭოთა მანეთი, რუსული რუბლი და აშშ დოლარი).

ამგვარად ჩატარებული რეფორმების შედეგად საქართველოს ეკ. შემცირდა 1990 წლის 2063 აშშ დოლარიდან 1993 წლის 300 დოლარამდე ერთ სულ მოსახლეზე და საქართველო მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნების რიცხვში აღმოჩნდა.

უმიძიესი სიტუაცია შეიქმნა 1993 წლის მიწურულს და 1994 წლის პირველ ნახევარში.

საქართველოს ეკონომიკა მთლიანად მოიშალა აფხაზეთის ომის დროს, რის გამოც 1993-1994 წწ. საქართველოს არ ჰქონდა წინასწარ დამტკიცებული ბიუჯეტიც კი. ერთადერთ შესაძლო წყაროდ დარჩა ფულის ემისია, რითაც იფარებოდა სახელმწიფო ხარჯებისა და შემოსავლებს შორის სხვაობა. კერძოდ, 1993 წელს სახელმწიფო ხარჯები საგადასახადო შემოსავლებს აღემატებოდა 1118 მლრდ კუპონით, ხოლო 1994 წელს კი 28293 მლრდ კუპონით.

საერთო ანარქიისა და განუკითხაობის ატმოსფერომ გამოიწვია ქვეყნიდან კაპიტალის მთლიანი გადინება.

1993 წლის აპრილში შემოღებულ კუპონს ხელისუფლების სხვადასხვა რგოლის წარმომადგენლებმა თავიდანვე არასათანადო ყურადღება მიაქციეს. უკონტროლო საკრედიტო ემისიამ საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ინფლაციურ პროცესს, ხოლო 1993 წლის შემოდგომიდან დაწყებული პრაქტიკულად არარსებული ბიუჯეტის ხარჯზე სასოფლო-სამეურნეო პრობლემების გადაწყვეტის მცდელობამ, საბოლოოდ მოშალა ქვეყნის საფინანსო სისტემა და საქართველო მოექცა ჰიპერინფლაციურ სპირალში: ინფლაციის ტემპი 1993 წელსა და 1994 წლის შემოდგომამდე შეადგენდა 60-70 პროცენტს თვეში! (წლიური 7800 პროცენტი). ინფლაციის მაღალი ტემპის პირობებში კუპონი ვეღარ ასრულებდა საქონელბრუნვის მომსახურების ფუნქციას, რადგანაც კუპონის მასის რეალური ღირებულება განუწყვეტლივ მცირდებოდა სხვა თანაბარ პირობებში. ამან ხელი შეუწყო კუპონის ნაცვლად გადახდის საშუალებად რუბლის გამოყენების მასშტაბების გაფართოებას.

ნაღდი ფულის მოძრაობის არეალის შეზღუდვის შესახებ ეროვნული ბანკის მცდარმა პოლიტიკამ (რამაც გამოიწვია საბანკო სისტემიდან ნაღდი კუპონის გამოტანაზე შეზღუდვებმა) მიგვიყვანა ნაღდი და უნაღდო ფულის ღირებულებათა შორის მნიშვნელოვან სხვაობამდე. შედეგად, მაქსიმალურად შეიზღუდა კუპონის მიმოქცევის არეალი და არნახული მასშტაბი მიიღო “ფულის გაცოცხლება”. ყველაზე დიდი დანაშაული იყო ეროვნული ბანკის მხრიდან სახელმწიფო-კომერციული ბანკებისათვის ოვერდრაფტის პირობებში მუშაობა, რამაც ხელი შეუწყო საკრედიტო ემისიას. პურზე, გაზზე, ელექტროენერგიაზე, ტრანსპორტზე ბიუჯეტიდან სუბსიდირებულმა ფასებმა დამატებით გაართულა ვითარება, რამაც ასევე ხელი შეუწყო საბიუჯეტო ემისიას.

საგარეო ვაჭრობაში შემოღებულ იქნა საკლირინგო სისტემა, რაც თურქ მენეთიდან გაზის შემოტანის სანაცვლოდ ქართული წარმოების პროდუქციის ურთიერთნათელას წარმოადგენდა. სამთავრობო წრეებში “ინტერეს ჯგუფების” მიერ ხელოვნურად ძვირად იქნა შეფასებული როგორც თურქმენეთის გაზი, ასევე ქართული დაბალხარისხიანი პროდუქცია. ამ მეთოდის ავტორთა აზრით, უნდა შექმნილიყო საქართველოს საწარმოთა მასტიმულირებელი გარემო. სინამდვილეში კი კუპონის ინფლაციის და ემისიის გამო ეს პროდუქცია სახელმწიფომ თითქმის უფასოდ, ხოლო ნაწილი საწარმოებიდან იძულების წესით ამოიღო. მიუხედავად ამ ექსტრაორდინარული მეთოდებისა, რასაც თან დაერთო აზერბაიჯანის გავლით ტრანსპორტირების სირთულეები, თურქმენეთის ვალმა 400 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო რთულ მდგომარეობაში მყოფი საქართველოს მრეწველობა უმძიმეს კრიზისსა და არგადახდების რთულ ქსელში აღმოჩნდა ჩაფლული და საბოლოოდ განადგურდა.

საერთო სიტუაციას აძლიერებდა ისეთი ანაქრონიზმი, როგორიცაა სახელმწიფო დაკვეთის სისტემის არსებობა, რაც საჭიროებდა კვოტირებისა და ლიცენზირების რთულ სქემას.

ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზანი იყო კრედიტით მიღებული სახსრებით საზღვარგარეთ, ძირითადად რუსეთში, საქონლის შესყიდვა და ქართული ბაზრის გაჯერება, მაგრამ ფულად-საკრედიტო სფეროში გამეფებულმა უკონტროლობამ და განუკითხაობამ გამოიწვია ამ სახსრების არამიზნობრივი გამოყენება და საერთოდ, ჰიპერინფლაციის პირობებში, კრედიტი იქცა გამდიდრების ყველაზე იოლ გზად. ეს შეეხება ასევე საერთაშორისო კრედიტებსაც, როგორიცაა რუსეთის, თურქეთის, ჩინეთის, ირანის და სხვა ქვეყნების სესხები. ცხადია, როგორც “კუპონის სესხად აღება”, ასევე საერთაშორისო კრედიტების “ათვისება” მხოლოდ მცირე, ხელისუფლებასთან დაახლოებულ ჯგუფებს შეეძლო.

1994 წელს ქვეყანაში ეთნოკონფლიქტის კერებში საომარი ოპერაციების შეწყვეტას, კრიმინოგენური სიტუაციის გაუმჯობესებასა და საერთაშორისო მისიების საქმიანობის გააქტიურებას, თან დაერთო საქართველოში სტაბილიზაციის პროგრამის ამოქმედება. ამავე პერიოდში იწყება ხელისუფლების კუპონიზადმი დამოკიდებულების თანდათანობითი შეცვლა, რაც მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებაში ვლინდება. კუპონის კურსი მყარდება და აღწევს პროპორციას: 1 აშშ დოლარი = 1300000 კუპონი, 1 რუსული რუბლი = 250 კუპონი. მკვეთრად შეიზღუდა ემისიის მოცულობა და ინფლაციის ტემპი. ამან გამოიწვია კუპონის მიმოქცევის არეალის გაფართოება. ეროვნულმა ბანკმა გააუქმა ოვერდრაფტის წესი და მოხსნა შეზღუდვები ნაღდი ფულის გატანაზე, რამაც გამოიწვია კუპონის ნაღდ და უნაღდო კურსებს შორის ღირებულებაში სხვაობის ნიველირება.

მხოლოდ პურზე ფასების პირველი განთავისუფლების შედეგად კუპონის კურსი აშშ დოლარის მიმართ 5000000 - დან დავიდა 2400000 - მდე. პურზე ფასის შემდგომი ზრდისა და სხვა რეფორმების მეშვეობით მოხერხდა კუპონის კურსის მნიშვნელოვანი გამაგრება აშშ დოლართან მიმართებაში: 1 აშშ დოლარი = 1300000 კუპონი. აღსანიშნავია, რომ მოხერხდა საგარეო ვალების რესტრუქტურისაც.

საკუთარი რესურსის არქონის პირობებში საქართველო დარჩა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სესხების ამარა. მათი ძალისმეფით გარკვეული წესრიგი დამყარდა სესხების აღებისა და გამოყენების საქმეში. ამ ტრადიციას საფუძველი ჩაეყარა, უწინარეს ყოვლისა, იმ პირველი სესხებიდან, რომლებიც საქართველომ მიიღო საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან და მსოფლიო ბანკიდან.

1994 წლის დეკემბერში საქართველომ საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მიიღო სისტემური ტრანსფორმაციის დაფინანსების სესხის პირველი ტრანში (39 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით). 1994 წლის იელისში, ნოემბერსა და 1995 წლის მარტში საქართველომ მსოფლიო ბანკიდან მიიღო ინსტიტუციონალური მშენებლობის კრედიტი (10 მილიონი აშშ დოლარი), მუნიციპალური ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სესხი (18 მილიონი აშშ დოლარი) და ეკონომიკის სარეაბილიტაციო სესხი (75 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით).

სისტემური ტრანსფორმაციის დაფინანსების სესხი ეროვნული ბანკის მიერ მიზნობრივად იქნა გამოყენებული კუპონის სტაბილიზაციის პროცესში, რამაც განაპირობა შემდგომი ტრანშების საკითხის დადებითად გადაწყვეტა. ინსტიტუციონალური მშენებლობის სესხი გამოიყენებოდა სახელმწიფო სტრუქტურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით. 1995 წლის სარეაბილიტაციო კრედიტი გამოყენებულ იქნა საბიუჯეტო ხარჯების ნაწილის დასაფინანსებლად.

ორწლიანი პაუზის შემდეგ, 1995 წლის დასაწყისში, საქართველოს საფინანსო-საკრედიტო სისტემის მნიშვნელოვანი მონაპოვარი გახდა ბიუჯეტის დამტკიცება. ამ ბიუჯეტის უმნიშვნელოვანესი ღირსება ის იყო, რომ შემოსავლებისა და გასაღების დასაბალანსებლად უარი ეთქვა ემისიური კრედიტების გამოყენებას და საკრედიტო ემისიას საერთოდ.

1995 წლიდან საქართველოში გატარებული მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგად შესაძლებელი გახდა ეროვნული ვალუტის - ლარის - შემოღება. მიუხედავად ამ ღონისძიებებისა, 1995 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გასაღების მხოლოდ 47 პროცენტი იფარებოდა გადასახადების ხარჯზე, ხოლო დანარჩენი 53 პროცენტი - კუმანიტარული დახმარებისა და ფქვილის გაყიდვიდან შემოსული თანხის მეშვეობით დაიფარა და ამ ბიუჯეტს შეერქვა

პირველი “უდფიციტო” ბიუჯეტი. ასევე, 1995 წლის ინფლაციის ტემპი თვეში 2-3 პროცენტის ტოლფასი იყო, ხოლო წლის ბოლოს 1-2 პროცენტამდე დავიდა.

**ლარი, როგორც ეროვნული ვალუტა და მისი გამოცდა 1997 – 1998 წლის
ფინანსური კრიზისით
(1995 – 1999 წლის 1 ნახევარი)**

1995 წლიდან 1998 წლამდე ფულის მასა და, შესაბამისად ინფლაციაც, სტაბილური იყო. ლარისადმი ნდობის ზრდამ და საბანკო სექტორის რეფორმამ სტაბილურობისა და დახვეწილი ფინანსური ინსტრუმენტების შექმნამ, შესაძლებელი გახდა მოკლევადიანი სახელმწიფო ვალდებულებების გამოშვებაც. ლარი შემოღებულ იქნა კურსით 1 აშშ დოლარი – 1,3 ლარი და

მსგავს თანაფარდობას მეტ-ნაკლები სტაბილურობით “ინარჩუნებდა”. კურსის “დაჭერა” არა საბაზრო მექანიზმებით, არამედ ეროვნული ბანკის ინტერვენციებით ხორციელდებოდა, ანუ ეროვნული ბანკი ახდენდა საერთაშორისო სტრუქტურებიდან მიღებული სავალუტო რესურსის გაყიდვას კომერციულ ბანკებზე თბსბ-ს მეშვეობით (ანუ ზრდიდა ლარის მასას). ამავე პერიოდში ის ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის მეშვეობით ახორციელებდა კომერციულ ბანკებზე დაბალ პროცენტში (ლარებში) სესხების გაცემას, ანუ რეალობაში რიგი კომერციული ბანკი “იზრდებოდა” (და მოგებას ნახულობდა) ეროვნული ბანკის აქტიური ხელშეწყობით. ცხადია, რომ გადაწყვეტილებათა მიღებისას გათვალისწინებული იყო შესაბამისი კომერციული ბანკების დამფუძნებელთა და მესაკუთრეთა “წონა” და “გავლენა”. ამავე პერიოდში საკმაო მოცულობით გამოირჩეოდა სავალუტო ჯიხურების ბრუნვა, თუმცა სტატისტიკურად გამართული მდგომარეობა აქ არ სუფევდა. შედეგმაც არ დააყოვნა – 1998 წელს აზიურმა კრიზისმა გადაუარა აზიურ ქვეყნებს, შემდეგ რუსეთს და საქართველოს.

1998 წელს რუსეთში რუსული რუბლი გაუფასურდა 80 პროცენტით. შედეგად, 1998 წლის მეორე ნახევარში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმპორტი რუსეთიდან. 1998 წლის მეორე ნახევარში სერიოზულად გაუარესდა ლარის დოლარზე გადაცვლის კურსი, რომლის სტაბილურობაც საქართველოს ეკონომიკური რეფორმების ერთ-ერთ უმთავრეს მიღწევად ითვლებოდა. ნოემბრისათვის ეროვნულ ბანკს აღარ გააჩნდა საკმარისი რეზერვები ლარის კურსის შესანარჩუნებლად და მან დაუშვა ლარის დევალვაცია (სხვადასხვა მონაცემებით 100 მლნ აშშ დოლარზე მეტი გახარჯულ იქნა ლარის კურსის შესაჩერებლად, მაგრამ ამაოდ).

თუ 1998 წლის ოქტომბრის მონაცემებით ლარის შეფარდება აშშ დოლართან 1.38 შეადგენდა, შუა დეკემბერში მან გარესავალუტო ბაზარზე 3 ნიშნულს მიაღწია (გაუფასურდა 230 პროცენტით). ლარის პანიკურმა გადაყრამ მისი რეალური მასა 180 მლნ-მდე დაიყვანა. ამან კი წლის ბოლოს ლარზე მოთხოვნა გაზარდა და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ის 1.8-ზე “დააფიქსირეს”. 1998 წლის ოქტომბრიდან 1999 წლის იანვრამდე ლარის გაუფასურებამ 40 პროცენტი შეადგინა. კურსთა შორის ასეთმა სხვაობამ საქართველოს ეკონომიკაში ინფლაცია გამოიწვია, სტიმული მისცა იმპორტის ზრდას, შეამცირა ექსპორტი და გაზარდა სავაჭრო დეფიციტი. 1998 წლის ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების მადესტაბილიზებელ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს საბიუჯეტო კრიზისი და მის ფონზე ლარის დევალვაცია წარმოადგენდა. 1998 წელს საგადაამხდლო ბალანსის უარყოფითმა საღდომ, ბიუჯეტის მზარდმა დეფიციტმა, ეკონომიკის დოლარიზაციის მაღალმა მაჩვენებელმა სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემა. კერძოდ, ინფლაციური მოლოდინის გამო კომერციული ბანკების მხრიდან მკვეთრად გაიზარდა დოლარზე მოთხოვნა, მისი

დაკმაყოფილება ძირითადად ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების ხარჯზე ხორციელდებოდა, რომელიც (რეალურად) თითქმის ნულამდე დავიდა. წლის ბოლო თარიღებზე, კერძოდ, დეკემბრის დასაწყისში ვაჭრობის პიკური მოცულობის შემდეგ, ეროვნულმა ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება, უარი ეთქვა საერთაშორისო რეზერვების ხარჯზე ეროვნული ვალუტის კურსის გამყარებაზე, რამაც ფაქტობრივად სავალუტო რეგულირების ბერკეტები თავისუფალი ბაზრის ხელში მოაქცია, 1998 წლის ბოლოსათვის ლარის დევალვაციის მაჩვენებელმა 38%-ს მიაღწია.

1999 წელს ინფლაცია და გაცვლითი კურსი ერთმანეთთან დაკავშირებული იყო. ლარის კურსი მერყეობდა 1.79-სა და 2.45-ს შორის ერთ აშშ დოლარზე. 1999 წელს ადგილი ჰქონდა გადასახადების აკრეფის მაჩვენებლის მნიშვნელოვან ზრდას, ინფლაციური პროცესების მოთოვას და ფულადი ემისიის თავიდან აცილებას. მკაცრი ფულად – საკრედიტო პოლიტიკის წყალობით შესაძლებელი გახდა ლარის კურსის დასტაბილურება და გამყარება. თუ იანვარ – თებერვალში ლარის დოლართან გაცვლის კურსი 2,4 – 2,6 დიპაზონში მერყეობდა, სექტემბრისათვის ის 1,8 – 1,9 მონაკვეთში მოექცა. ამასთანავე, აღინიშნა მიმოქცევაში ნაღდი ფულის ზრდა და მისმა ოდენობამ 1999 წლის ივლისში 225 მლნ ლარი შეადგინა (შედარებისათვის, 1998 წლის დეკემბრისათვის მისი მაჩვენებელი 180 მლნ ლარი იყო).

ეროვნული ბანკის მიერ ღია სავალუტო ბაზარზე განხორციელებული ოპერაციების შედეგად (საკრედიტო აუქციონები, სახაზინო ვალდებულებათა ემისია, ფულადი მასის კონტროლი) გაიზარდა

მოთხოვნა ლარზე, რაც თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის ვაჭრობებში დოლარის გაყიდვის მსურველი ბანკების რიცხვის მკვეთრ ზრდაში გამოიხატა. ამან შესაძლებლობა მისცა ეროვნულ ბანკს შეეძინა უცხოური ვალუტა დიდი ოდენობით და ამით გაეზარდა ქვეყნის საერთაშორისო რეზერვები 180 მილიონ აშშ დოლარამდე 1999 წელს. 1998 წელს სექტემბერში ლარის დევალვაციამ გამოიწვია ბანკების მიერ მათი აქტივების უცხოურ ვალუტაში გადაყვანა. მკვეთრად იკლო ბანკების აქტიურობამ ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე. 1999 წელს 6 თვის განმავლობაში 7 დღემდე ვადით საკრედიტო რესურსების აუქციონზე გარიგებათა საერთო მოცულობა 8870 ათასი ლარის ტოლფასი იყო, რომლიდანაც 8210 ათასი ლარი ეროვნულმა ბანკმა შეიძინა. საშუალო საპროცენტო განაკვეთი 33% წლიური იყო. ფაქტობრივად არ შემდგარა გარიგებები ერთი თვის და მეტი ვადის მქონე აუქციონებზე, რაც აღნიშნულ პერიოდში ლარის კურსის არასტაბილურობით არის გამოწვეული. 1999 წლის 6 თვეში თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე უცხოური ვალუტით გარიგების საერთო მოცულობამ 23656 ათასი ლარი შეადგინა, ანუ 27187 ათასი დოლარით ნაკლები 1998 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ასეთი შემცირება, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობა ეროვნული ბანკის მხრივ თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბრიდან დოლარებით ინტერვენციების შეწყვეტამ, რომლის წილიც მის მიწოდებაში გასულ წელს საკმაოდ სოლიდური იყო და 35708 ათას დოლარს შეადგენდა. 1999 წელს 6 თვის განმავლობაში, საგარეო ვალის დასაფინანსებლად 1999 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი იყო 185.3 მლნ ლარი, აქედან 86.7 მლნ ლარი მოხმარდება უცხოური ვალის მომსახურებას (ევროგაერთიანების კრედიტები და სხვა ვალები); 98.6 მლნ. ლარი მოხმარდება თურქმენეთის და ევროგაერთიანების ძირითადი ვალის დაფარვას. საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის გამოყოფილია 87.7 მლნ ლარი, საიდანაც 86.6 მლნ მოხმარდება ეროვნული ბანკის კრედიტების პროცენტების დაფარვას. არსებულ ვითარებაში საქართველოს მთავრობამ ძველი ვალების პროცენტების

გასასტუმრებლად ახალი ვალები აიღო, რაც რეალურად, საქართველოში ვალების პირამიდული სისტემის შექმნას მოასწავებდა. რაც შეეხება ვალებს, თანხის დაფარვა 2000 წლიდან იყო მოსალოდნელი, ხოლო ძირითადი ვალების დაბრუნების ვადა 2004 წლიდან იყო ნავარაუდები. საქართველოს მთავრობამ შეძლო ვალების დროებითი რესტრუქტურეზაცია.

მსოფლიო კრიზისმა და განსაკუთრებით რუსეთში 1998 – 1999 წწ წარმოქმნილმა პრობლემებმა, უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე. ამის ნიშანი იყო, რომ უცხოური იურიდიული პირების წილი საქართველოს სახაზინო ვალდებულებებში 0 პროცენტი იყო, როცა 1998 წლის ივნისში 30 პროცენტს უდრიდა (ოფიციალურად). ინვესტორების მოზიდვა და მათი რისკის კომპენსაცია არის ის ძირითადი მიზეზები, რაც დღემდე აფერხებს საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას, რასაც კურსის არასტაბილურობა (სეზონურობა) უწყობს ხელს. ამ პერიოდში საქართველოში ჩამოყალიბებული საკრედიტო საპროცენტო განაკვეთი საკმაოდ მაღალი იყო და საშუალოდ მისი მაჩვენებელი წლიური 36 – 48% აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობდა.

მიმდინარე გლობალური ეკონომიკური კრიზისი და მისი წინაპირობები (2003 – 2008 წლის 1 ნახევარი)

2003 წლის განმავლობაში ლარის სავალუტო კურსი აშშ დოლარის მიმართ ცალმხრივად და ერთხაზოვნად იმართებოდა. ეროვნულ ბანკი არ ახდენდა აშშ დოლარის გაყიდვას და ის მხოლოდ მის შეძენას ახორციელებდა. ლარის გაცვლითი კურსი მერყეობდა, თუმცა უმნიშვნელოდ. იანვარში ლარის აშშ დოლარზე საშუალო კურსი 2.1885 იყო, სავალუტო ბირჟის ჯამურმა ბრუნვამ 4.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. კურსი კომერციული ბანკების მიერ ბალანსდებოდა და ეროვნულ ბანკს დოლარი არც შეუძენია. ანალოგიური ვითარება თებერვალშიც იყო – ბრუნვამ 3.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, საიდანაც მხოლოდ 180 ათასი აშშ დოლარი ეროვნულმა ბანკმა იყიდა. საშუალო კურსმა 2.2669 მაჩვენებელამდე დაიწია. მარტის თვიდან შეინიშნებოდა სავალუტო ბაზრის მოცულობის ზრდა. მარტი – მაისის განმავლობაში სავალუტო ბაზრის საშუალო თვიური მოცულობა 8.3 მლნ აშშ დოლარის ფარგლებში იყო მოქცეული. მკვეთრად იმატა ეროვნული ბანკის მიერ ვალუტის შეძენამ და ის თვეში საშუალოდ 4 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. ამასთანავე, ამ ფაქტორს არ მოუხდენია რაიმე გავლენა ლარის გაცვლის კურსზე აშშ დოლარის მიმართ – ის 2.15 ნიშნულზე იმყოფებოდა. ანუ ეროვნულმა ბანკმა ამ პერიოდში თავი შეიკავა ლარის გამყარებისგან და დოლარის სიჭარბეს დაფიქსირებული კურსით მოთხოვნის ფარგლებში აბალანსებდა. 2003 წლის ზაფხულში სავალუტო ბაზრის მოცულობა კიდევ უფრო გაიზარდა და საშუალოდ, თვიურ 11.5 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. ამავე პროპორციით იმატა აშშ დოლარის ეროვნული ბანკის მხრიდან შეძენამ. ის თვეში საშუალოდ 6.5 მლნ აშშ დოლარზე ავიდა. არც დროის ამ მონაკვეთში მომხდარა ლარის გაცვლის კურსის გამყარება – ის უმნიშვნელოდ შეიცვალა და საშუალოდ 2.13 ნიშნულზე დავიდა. ანუ ეროვნულმა ბანკმა ამ პერიოდშიც თავი შეიკავა ლარის გამყარებისგან და დოლარის სიჭარბეს დაფიქსირებული მოთხოვნის კურსის ფარგლებში აბალანსებდა (აშკარა სხვაობა არსებულ ვითარებასთან).

2003 წლის შემოდგომა-დეკემბრის განმავლობაში იკლო სავალუტო ბირჟის მოცულობამ და ის 8.5 მლნ აშშ დოლარის მაჩვენებელზე დავიდა. ასევე მკვეთრად დაეცა ეროვნული ბანკის მიერ აშშ დოლარის შეძენის მოცულობამ და ის საშუალოდ თვეში 2 მლნ აშშ დოლარზე დავიდა. სავალუტო კურსმა ამ

პერიოდში ორი ეტაპი მოიცავს – ოქტომბრის ბოლოს ის 2.09 საშუალო კურსზე დავიდა, ხოლო მომდევნო ორ თვეში საშუალოდ 2.14 მდე დაეცა. 2004 წელს გაგრძელდა 2003 წლის სავალუტო პოლიტიკა, თუმცა შეტანილ იქნა კორექტივები – ეროვნულმა ბანკმა დაიწყო ორმხრივი ინტერვენციები, ანუ დოლარის როგორც ყიდვა, ასევე გაყიდვა. მკვეთრად იმატა სავალუტო ბაზრის მოცულობამ, რაც ქვეყანაში ინვესტიციების შემოსვლის საწყისი ეტაპი იყო. ასევე მკვეთრად იმატა ეროვნული ბანკის მიერ დოლარის შეძენის მოცულობამ. ეს კურსზეც აისახა და წლის განმავლობაში იგი საშუალო 2.1208 დან (იანვრის საშუალო) 1.80 მდე (ნოემბრის საშუალო) დავიდა, თუმცა წლის ბოლოს გარკვეული ვარდნა აჩვენა და 1.8554 ნიშნულზე დაასრულა 2004 წელი.

2004 წლის იანვარ-აპრილის განმავლობაში კურსი 2.12 დან 1.995 მდე გაზარდა. სავალუტო ბაზრის მოცულობამ ჯამში 50 მლნ აშშ დოლარს მიუხლოვდა, აქედან 30 მლნ ეროვნულმა ბანკმა შეიძინა. 2004 წლის მაის-სექტემბრის განმავლობაში დაფიქსირდა აშშ დოლარის სარეკორდო გაყიდვები (იმ პერიოდისთვის). სულ ჯამში ეროვნულმა ბანკმა შეიძინა 133 მლნ აშშ დოლარი, აქედან აგვისტოში 49 მლნ. ამ პერიოდის ბაზრის ჯამური საერთო მოცულობა 160 მლნ დოლარი იყო, ანუ ეროვნულმა ბანკმა შეიძინა მთელი დოლარის ბრუნვის 83% მეტი. კურსი ამ პერიოდში მყარდებოდა, თუმცა არა მკვეთრად – 1.98 დან 1.8 მდე. როგორც ვხედავთ, საქართველოს ეკონომიკისათვის დამახასიათებელი სეზონურობამ ისტორიულად ჩამოყალიბებული სახე მიიღო – 90 იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ზაფხულის პერიოდი ლარის კურსის გამყარების და დოლარის გაყიდვის დიდი მოცულობით ხასიათდება. 2004 წლის მეოთხე კვარტალში იკლო ბაზრის მოცულობამ და აშშ დოლარის შეძენამ ეროვნული ბანკის მხრიდან. დეკემბერში კი გაყიდულ იქნა 9 მლნ აშშ დოლარი. ჯამურად საღდო დადებითი იყო და ამავე პერიოდში შეძენილ იქნა 20 მლნ აშშ დოლარი. ბაზრის ჯამურმა ბრუნვამ 57 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. დოლარის კურსმა წლის ბოლოს საშუალოდ 1.85 ლარი შეადგინა. 2005 წელი საკმაოდ განსხვავდებოდა 2004 წლისაგან. ლარის კურსი 2004 წელთან შედარებით თითქმის არც კი შეცვლილა, თუმცა პირველ ნახევარში ლარმა ვარდნის მკვეთრი ტემპი აჩვენა და თებერვალში 1.90 მდე დაიწია. მომდევნო პერიოდში (ზაფხულში განსაკუთრებით) ლარმა დაიბრუნა პოზიციები და წლის მიწურულს 1.79 ნიშნულზე გაჩერდა. ამავე პერიოდში აღინიშნა ინტენსიური ორმხრივი ინტერვენციები ეროვნული ბანკის მხრიდან – ადგილი ჰქონდა დოლარის გაყიდვას და ყიდვას. ეროვნულმა ბანკმა წლის განმავლობაში გაყიდა 48.4 მლნ აშშ დოლარი, ხოლო შეძენილ იქნა 91.3 მლნ. 2005 წლის აგვისტოდან აღინიშნა სავალუტო ბაზრის მოცულობის მორიგი ზრდა და საშუალოდ თვეში მაჩვენებელი 35 მლნ აშშ დოლარზე ავიდა. 2005 წელი გარკვეულწილად ქაოტური მოძრაობებით იყო აღსავსე, რაც სავალუტო ბაზარზე ჩამოყალიბებულ ტენდენციებზე გარე ფაქტორების ზემოქმედებით აიხსნება. აშშ დოლარის შეძენის მხრივ მხოლოდ ივლისი (17.5 მილიონი) და დეკემბერი (11.3 მილიონი) გამოირჩეოდა (შედარებისთვის, 2004 წელს მხოლოდ აგვისტოში შეძენილ იქნა 49 მლნ, ხოლო ივნისში – 32 მლნ).

2006 წლის პირველ სამ თვეში ადგილი ჰქონდა ლარის კურსის მკვეთრ დაცემას 1.90 - ის ნიშნულამდე. ამასთანავე, ეროვნულმა ბანკმა მოახდინა აშშ დოლარის გაყიდვა (ჯამში 3 თვეში მინუს 12 მლნ აშშ დოლარი). სავალუტო ბაზრის მოცულობა სტაბილური იყო და თვეში 20 – 22 მლნ აშშ დოლარის ტოლფასი იყო. ბაზრის მოცულობა არც აპრილის თვეში შეცვლილა – 21.65 მლნ აშშ დოლარი, თუმცა ამ თვეს 6 მლნ შეძენილ იქნა ეროვნული ბანკის მიერ.

2006 წლის მაისის თვიდან მოყოლებული, ყოველთვიური სავალუტო ბაზრის მოცულობა გასამზადებლად, ხოლო წლის ბოლოს 5-ჯერ გაიზარდა. ლარის აშშ დოლარზე გაცვლითი კურსი იანვარ- მაისის განმავლობაში მერყეობდა 1.8018 დან – 1.8819 მდე (საშუალო თვიური), ხოლო მაისის ბოლოს იანვრის მაჩვენებელს გაუტოლდა. 2006 წლის მაისიდან მოყოლებული, ლარის სავალუტო კურსი, ბაზრის მოცულობა და ეროვნული ბანკის ინტერვენციები ახალ, წინა პერიოდებისგან განსხვავებულ ფაზაში გადავიდა. 2006 წლის მაისში ეროვნულმა ბანკმა 42.5 მლნ აშშ დოლარი შეიძინა (თვის მოცულობა კი 77.7 მლნ იყო), ეს ტრენდი გაგრძელდა ივნის-აგვისტოს განმავლობაში, თუმცა ცოტათი შენელებული ტემპით. ჯამში, ზაფხულში ეროვნულმა ბანკმა შეიძინა 70 მლნ აშშ დოლარი, ხოლო ბაზრის ჯამური მოცულობა 165 მლნ აშშ დოლარი იყო. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ეროვნულმა ბანკმა მხოლოდ უმნიშვნელოდ მოახდინა ლარის კურსის კორექცია და ის 1.80 დან 1.755 მდე გამყარდა. 2006 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ადგილი ჰქონდა უკუპროცესს – ეროვნულ ბანკს მოუწია დოლარის გაყიდვა (ჯამში სხვაობა 5 მლნ დოლარი იყო), კურსი 1.742 ფარგლებში მერყეობდა. 2006 წლის ნოემბერ-დეკემბერში ადგილი ჰქონდა გარე ფაქტორების ზეგავლენას (სავარაუდოდ დიდი ოდენობით თანხის უხცოვრ ვალუტაში შემოსვლა – ინვესტიციები და გაყიდვითი ობიექტის თანხები) – ჯამში 238 მლნ აშშ დოლარი შეძენილ იქნა მხოლოდ ამ ორ თვეში ეროვნული ბანკის მიერ. ამასთანავე, სავალუტო ბირჟის ამავე პერიოდის მოცულობა 263 მლნ აშშ დოლარი იყო, ანუ მთელი ბრუნვის 90.5% შეიძინა ეროვნულმა ბანკმა. აღსანიშნავია, რომ სავალუტო კურსი ფაქტიურად არც შეცვლილა -1.725 – 1.735 ფარგლებში (საშუალო თვიური) მერყეობდა.

2007 წელს სავალუტო ბაზარი ძირითადად იმეორებდა 2006 წლის მეორე ნახევრიდან ჩამოყალიბებულ ტენდენციას – 2007 წლის ოქტომბრის ჩათვლით ადგილი ჰქონდა მხოლოდ ერთ მიმართულებას – სავალუტო ბაზარი აქტიურად იშორებდა აშშ დოლარს და შესაბამისად ეროვნული ბანკი ახდენდა აშშ დოლარის შეძენას. აქ გასათვალისწინებელია როგორც მოთხოვნის ზრდა ლარზე ქვეყნის შიგნით, ასევე პრივატიზაციიდან და ნაყიდი ობიექტების მოდერნიზაციისთვის შემოსული თანხების თანხედრა. პირველად აშკარად დაირღვა ისტორიული ტენდენცია – აშშ დოლარს ეროვნული ბანკი ყიდულობდა გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომაზე. ეროვნულმა ბანკმა 2007 წლის 10 თვის განმავლობაში შეიძინა თავისი არსებობის ისტორიაში სარეკორდო (დღემდე) თანხა – 755 მლნ აშშ დოლარი ეს თანხა უფრო მეტია, ვიდრე ეროვნული ბანკის მიერ შეძენილი აშშ დოლარი მთელი თავისი არსებობის მანძილზე, რაც საქართველოს ეკონომიკის ზრდის უდაო მაჩვენებელია. ყოველივე ეს კი ქვეყანაში 2004 წლიდან მოყოლებული ახალი საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია. ბაზრის ჯამური ბრუნვა 1,346 მილიარდ აშშ დოლარს აღწევდა, ანუ აშშ დოლარის ბაზრის ბრუნვის 56% მეტი ეროვნულმა ბანკმა შეიძინა. სავალუტო ბაზრის საშუალო თვიური მოცულობა 120 მილიონ აშშ დოლარზე ავიდა (შედარებისათვის – 2003 წელს ის 10 მილიონი აშშ დოლარის ტოლფასი იყო, ანუ 1200% ზრდა 5 წელიწადში). ლარის კურსი 10 თვის მანძილზე მყარდებოდა და 1.72 დან 1.62-მდე დავიდა. 2007 წლის ნოემბერში ბაზარს აშკარად დაეცო ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, წინა 10 თვესთან შედარებით ადგილი საწინააღმდეგო ტრენდმა აჩვენა, სავალუტო ბაზარზე ადგილი ჰქონდა ლარის მასიურ გაყიდვას და იმატა დოლარზე მოთხოვნამ. ნოემბერში ეროვნულმა ბანკმა ლარის კურსის დაჭერის სტრატეგია არჩია და 99.3 მლნ აშშ დოლარის ინტერვენცია მოახდინა. დეკემბერში სავალუტო ბაზრის მოცულობამ 2007 წელს პიკს მიაღწია და 191 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

ამასთანავე, დეკემბერში ეროვნულმა ბანკმა შეისყიდა 4.65 მლნ აშშ დოლარი. წლის ბოლოს ლარის აშშ დოლარზე გაცვლის კურსი 1.6 ნიშნულზე დავიდა.

2008 წლის პირველი მეოთხედი საკმაოდ არაორდინალური გამოდგა (სავარაუდოა, რომ ამ პერიოდზე იმოქმედა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა), იანვარში ეროვნულ ბანკს კვლავ მოუწია ლარის კურსის დაჭერა და საამისოდ 84 მლნ აშშ დოლარი გაყიდა. იანვრის სავალუტო ბაზრის მოცულობამ 139 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მაგრამ, თებერვალ-მარტში ადგილი ჰქონდა ეროვნული ბანკის მხრიდან აშშ დოლარის სარეკორდო თანხების შეძენას. მხოლოდ ამ ორ თვეში ეროვნულმა ბანკმა შეიძინა 323.3 მლნ აშშ დოლარი.

სხვა გარემოებებთან ერთად აღსანიშნავია უკვე დაწყებული და ამჟამად მიმდინარე მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი, რაც პირველ რიგში აშშ დოლარის კურსზე, ნავთობსა და სურსათზე ფასის ზრდასა და მხარდ ინფლაციაში გამოიხატა. შესაბამისად, ადგილი აქვს ლარზე მოთხოვნის ზრდას (და სხვა ვალუტაზე – პირველ რიგში ევროზე). ეს თავისთავად ზრდის ლარის მასას მიმოქცევაში და ცხადია, იწვევს ქვეყანაში შიდა ინფლაციას სხვადასხვა საქონელზე. თებერვალ-მარტის განმავლობაში სავალუტო ბაზრის მოცულობა 488 მლნ აშშ დოლარი იყო (საქართველოს სავალუტო ბაზრის ისტორიაში აბსოლუტური რეკორდი), ანუ ბრუნვის 66% ეროვნული ბანკის მიერ იქნა შეძენილი. მომდევნო ოთხი თვის მანძილზე ამ ტენდენციამ აშკარად იკლო, ხოლო აპრილში ეროვნულმა ბანკმა 70 მლნ აშშ დოლარი გაყიდა. ზაფხულის სეზონმა ყველაფერი ისტორიულ კალაპოტში დააბრუნა და 2008 წლის მაისი-ივნისის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა ჯამში 203 მლნ აშშ დოლარი შეიძინა. 2008 წლის პირველი ნახევარი ლარის კურსის მკვეთრი გამყარების ფონზე განვითარდა, რაც გამოწვეული იყო არა მხოლოდ აშშ დოლარის გაყიდვის ჭარბი მიწოდებით, არამედ ანტიინფლაციური ნაბიჯებით – ლარის გამყარებით აშშ დოლარში. იმპორტირებული საქონელი მეტ-ნაკლებად ინარჩუნებდა ლარში პირვანდელ ღირებულებას (საწვავის ფასის გარდა), თუმცა ეს ნიშნავს, რომ მიმოქცევაში ლარის დიდი და დაუსაქონლებელი მასა იქნა გაშვებული. ეს არასახარბიელო მოვლენაა ექსპორტისთვისაც. ამ მხრივ ინფლაცია ყოველდღიურ მოვლენად იქცა. 2008 წლის იანვრიდან 2008 წლის 25 ივნისამდე ლარის კურსი 1.625 დან 1.3970 მდე გამყარდა. ანუ დამატებით ლარის მასის დიდი ოდენობა იქნა გაშვებული მიმოქცევაში. არსებული სიტუაცია ერთი შეხედვით არ გამოირჩევა რაიმე განსაკუთრებული სიახლით, რომ არა ის ანტიინფლაციური ნაბიჯები, რაც გადაიდგა მისი მოთოკვის მიზნით. ინფლაციასთან ბრძოლის მიზნით აწეულ იქნა საპროცენტო განაკვეთი 12 პროცენტამდე, აწეულ იქნა თბილისის ბანკთაშორისი საშუალო საკრედიტო წლიური საპროცენტო განაკვეთი (არსებული 1 დღიანი-8.21%, ხოლო 7 დღიანი-16%), მკვეთრად აიწია ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერთიფიკატების აუქციონების განაკვეთმა. ამ უკანასკნელ განაკვეთს საინტერესო ანალიზთან მიყვარათ. განვიხილოთ მისი ცვლილება ბოლო სამი წლის მანძილზე: თუ მოვახდენთ წლიური სტატისტიკის ფილტრაციას და დავტოვებთ მხოლოდ იმ თანხის ჯამს, რაც მომდევნო წელს გადადის ვალის სახით, საინტერესო ტენდენციას ვღებულობთ: 2006 - 2007 წწ დავალიანების სახით გადავიდა 277.6 მლნ ლარის სადეპოზიტო სერთიფიკატი (ანუ ფასიანი ქაღალდები, რომლის ემიტენტია ეროვნული ბანკი და მყიდველი კომერციული ბანკები). საპროცენტო განაკვეთი მერყეობდა (საშუალოდ) – 11.5 დან 12 პროცენტამდე. 2007 - 2008 წწ დავალიანების სახით გადავიდა 382 მლნ ლარის სადეპოზიტო სერთიფიკატი (ანუ ფასიანი ქაღალდები, რომლის ემიტენტია ეროვნული ბანკი და მყიდველი კომერციული ბანკები). საპროცენტო განაკვეთი მერყეობდა (საშუალო) – 6 დან 8

პროცენტამდე. 2007 წელს საქართველოში საკმაოდ დიდი ოდენობით ინვესტიცია და საკრედიტო რესურსი შემოვიდა და კომერციულ ბანკებს სახსრების სიჭარბე ჰქონდათ. 2008 წლის მიმდინარე დავალიანება მხოლოდ 136.2 მლნ ლარის სადეპოზიტო სერტიფიკატი (ანუ ფასიანი ქაღალდები, რომლის ემიტენცია ეროვნული ბანკი და მყიდველი კომერციული ბანკები). საპროცენტო განაკვეთი (საშუალო, მიმდინარე) – 18 დან 19! მერყეობდა. როგორც ვხედავთ, ბანკებს მკვეთრად შეუმცირდათ ლიკვიდური სახსრები, ხოლო საპროცენტო განაკვეთი სამჯერ გაიზარდა.

ამასთანავე, ეროვნული ბანკის მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგად გაიზარდა კოეფიციენტები კომერციული ბანკების მიმართ, მკვეთრად აიწია საბანკო სექსის საპროცენტო განაკვეთმა (13 პროცენტიდან ზრდა 30 პროცენტამდე, ცალკეულ შემთხვევაში კი 40 პროცენტს აჭარბებს). აშკარაა, რომ წინა პერიოდში (2007 – 2008 წლის 1 ნახევარი) კომერციული ბანკების მიერ წარმოებული ლიბერალური საკრედიტო პოლიტიკა დასრულდა. მსოფლიო საფინანსო კრიზისის მთავარი შედეგია საკრედიტო რესურსების გაძვირება და მისი მკვეთრი შემცირება. გასაგებია, რომ საფინანსო კრიზისის დაწყებამდე ადგილობრივი ბანკების რესურსის მოზიდვის ძირითადი და იაფი წყარო საერთაშორისო კრედიტები იყო. არსებულ ვითარებაში კი აღნიშნული წყარო საკმაოდ შეზღუდული და ძვირია. მეორეს მხრივ, მსოფლიო საფინანსო კრიზისის კვალობაზე მკვეთრად კლებულობს ხალხის ნდობა საფინანსო ინსტიტუტების მიმართ, შესაბამისად, იზრდება ბანკებს გარეთ არსებული უკონტროლო ნაღდი ფული, რომლის დასაქონლების პროცესის მართვა წარმოადგენს ყველაზე რთულ ამოცანას.

განხილული სამივე სცენარი პირდაპირ და უშუალო კავშირს ავლენს ქვეყანაში არსებულ და მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს (ძირითადად კრიზისულ მოვლენებს შორის) და წარმოებულ სავალუტო პოლიტიკას შორის.

დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს ფულად – საკრედიტო ინსტრუმენტები. ამასთანავე, პოლიტიკური არასტაბილურობისა და ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ყველაზე გავრცელებულ და აპრობირებულ ფორმას სავალუტო ოპერაციები (ინტერვენციები) წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ეროვნული ბანკი, www.nbg.ge;
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, www.geostat.ge;
3. შპს “საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი, www.investgroup.ge

ქრისტინე ომაძე
*საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისების გავლენა საქართველოს
ფინანსურ ბაზარზე
(1991 – 2008 წწ)
ანოტაცია**

ნაშრომში მიმოხილულია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე მომხდარი სამი სხვადასხვა დროის მონაკვეთში მომხდარი მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისები და მათი გავლენა საქართველოს საფინანსო ბაზარზე:

1. 1991-1995 წწ – დამოუკიდებლობის აღდგენა, სამოქალაქო ომი, სტაგნაცია, კუპონი და ლარის შემოღების პერიოდი;
2. 1995-1999 წწ – საქართველო და 1998-1999 წწ ფინანსური კრიზისი, კრიზისის წინა და პოსტკრიზისული ვითარება და მისი გავლენა ფინანსურ ბაზარზე;
3. 2003-2008 წწ – მიმდინარე გლობალური ეკონომიკური კრიზისი და მისი წინაპირობები, საქართველოს სავალუტო ბაზარი კრიზისამდე და კრიზისის შუაგულში

Кристина Омадзе
*Докторант, Университет Грузии им. Святого Андрея
Первозванного при Патриархии Грузии*

**ВЛИЯНИЕ ЭКОНОМИЧЕСКИХ И ПОЛИТИЧЕСКИХ КРИЗИСОВ НА
ФИНАНСОВЫЙ РЫНОК ГРУЗИИ
(1991 – 2008 гг)
Аннотация**

В данной статье отражено влияние трех временных периодов и крупных экономико и политических кризисов, имевших место в Грузии с момента восстановления независимости по сей день, и их влияние на Грузинский финансовый рынок:

1. 1991-1995 гг – Восстановление независимости, гражданская война, стагнация, купон и ввод в действие национальной валюты - лари;
2. 1995-1999 гг – Грузия в период финансового кризиса 1998-1999 гг, предкризисная и послекризисная ситуация и ее влияние на финансовый рынок Грузии;
3. 2003-2008 гг – Текущий глобальный экономический кризис и его предпосылки, грузинский валютный рынок до кризиса и в его разгаре

Kristine Omadze
*JSC “Bank of Georgia”, Personal Banker,
PhD Student,
Saint Andrew the First-Called Georgian University*

**THE INFLUENCE OF ECONOMICAL AND POLITICAL TURBULENCES ON
GEORGIAN FINANCIAL MARKET
(1991 -2008)
Annotation**

In this article we have observed three different timeframe from Georgian Independent history and its correlation to Georgian financial market:

1. 1991-1995 - Restoration of Independence, civil war, stagnation, coupon and Lari introduction;
2. 1995-1999 – Georgia in the period of financial crisis of 1998-1999, pre and post crisis situation and its influence on financial market;
3. 2003-2008 - ongoing Global Economic crisis and its prerequisites, trends of Georgian currency market before and in the midst of the crisis

ხსოვნა



გია თოფურიას ბახსენება

ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა რიგებს უდროოდ გამოაკლდა შესანიშნავი მეცნიერი და მრავალმხრივ განვითარებული პიროვნება, დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ბანკის პირველი პრეზიდენტი, პროფესორი გია თოფურია.

გია თოფურია დაიბადა 1955 წლის 27 იანვარს ქალაქ გაღში, ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტისა და სამეურნეო მუშაკის, პროფესორ დანიელ თოფურიას ოჯახში. სწორედ ოჯახურმა ტრადიციამ განაპირობა გია თოფურიას შემდგომი პროფესიული კარიერა. მან 1977 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი პოლიტიკური ეკონომიკის სპეციალობით, 1981 წელს – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სასამართლოს ინსტიტუტის ასპირანტურა. 1987-1988 წლებში კი სწავლობდა ქალაქ მოსკოვის საკავშირო იურიდიულ დაუსწრებელ ინსტიტუტში. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ გია თოფურიამ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და 1985 წელს მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, რომლის შემდეგ მუშაობა განაგრძო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სასამართლოს ინსტიტუტში ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერთანამშრომლად.

მეტად მრავალმხრივი იყო პროფესორ გია თოფურიას მეცნიერული ინტერესების სფერო, მას თანაბრად აინტერესებდა ეკონომიკური მეცნიერების როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემები, ისე საფინანსო-საბანკო სფეროს კონკრეტული საკითხები. იგი იყო ავტორი 114 სამეცნიერო ნაშრომისა, მათ შორის, 4 მონოგრაფიის და ერთი სახელმძღვანელოსი. მისი უშუალო მონაწილეობით შემუშავდა ეკონომიკური და საფინანსო-საბანკო სფეროების მარეგულირებელი 22 კანონპროექტი და 28 ეკონომიკური და საფინანსო-საკრედიტო პროფილის პროგრამა, გეგმა, მოდელი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტი.

განსაკუთრებით დიდია გია თოფურიას დამსახურება დამოუკიდებელი საქართველოს საფინანსო-საბანკო სექტორის ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხში. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის და საწყისიდანვე, იგი მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს საფინანსო მექანიზმის სრულყოფისა და ფულის მიმოქცევის სამმართველოს უფროსად; საქართველოს რესპუბლიკის შემნახველი ბანკის გამგეობის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, ხოლო 1991-1992 წლებში – დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ბანკის პირველ პრეზიდენტად.

განუზომელია გია თოფურიას დამსახურება 1991-1992 წლების თბილისის ცნობილი მოვლენების დროს ჩვენი ქვეყნის ეროვნული ბანკის, მისი საცავებისა და ფულადი რესურსების დაცვის საქმეში. გია თოფურია იყო ქართული ეროვნული ვალუტის შემოდების ერთ-ერთი ინიციატორი.

90-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ შეურიგებლობისა და გარკვეული პოლიტიკური და მორალური პრინციპებიდან გამომდინარე, გია თოფურია იძულებული გახდა დაეტოვებინა ქვეყანა და ემიგრაციაში წასულიყო. იგი საქართველოში დაბრუნდა 1997 წელს

მაშინათვე ჩაება ქვეყნის სამსახურში. 1997-1998 წლებში იყო სააქციო საზოგადოება “თბილისის ბირჟის” გენერალური დირექტორის მოადგილე; საქართველოს ბანკირთა ასოციაციის მთავარი ექსპერტი; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კონსულტანტი, ხოლო 1998-2000 წლებში კი – საქართველოს ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე.

მნიშვნელოვანია გია თოფურიას წვლილი საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის სრულყოფისა და მისი ავტორიტეტის ამაღლების საქმეში, 2004 წელს იგი იყო აღნიშნული უწყების უფროსის მოადგილე.

2004 წლიდან პროფესორი გია თოფურია მთლიანად ერთვება სამეცნიერო პედაგოგიურ საქმიანობაში და თავის უზარმაზარ ცოდნასა და გამოცდილებას ახმარს სტუდენტებსა და ახალგაზრდა მეცნიერთანამშრომლებს. იგი იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, კითხულობდა ასევე ლექციებს საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

გია თოფურია იყო უაღრესად განათლებული, იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული, არაორდინალური და პრინციპული პიროვნება. მას ბუნებით მომადლებული ჰქონდა გულისხმიერება და უანგარობა, რითაც აშკარად გამოირჩეოდა მეგობრებსა და კოლეგებში.

გია თოფურია მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული და ბუნებით პოეტი იყო. წერდა ლექსებს, მხატვარიც იყო, თარგმნიდა ლექსებს ქართულიდან რუსულად და რუსულიდან ქართულად, მშვენიერად მღეროდა და რამდენიმე მუსიკალურ ინსტრუმენტზე უკრავდა.

გია თოფურიას საქმის კეთების დროს არასოდეს უფიქრია ჯილდოებზე და აღიარებაზე. ის ყველაფერს გულით და რუდუნებით აკეთებდა და ამიტომაც მის მიერ გაკეთებული ღამაზი და გამორჩეული გამოდიოდა, უზომოდ უყვარდა თავისი ქვეყანა და ბოლომდე დაიხარჯა მის სამსახურში, ამიტომაც წავიდა ჩვენგან ასე ადრე.

გია თოფურიას სიკვდილი ის ტკივილია, რომელიც მეურნალობას არ ექვემდებარება.

გია თოფურიას ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და ახლობლების გულეში.

ინფორმაცია

ჟურნალ ეკონომისტის რედაქცია აცხადებს კონკურსს პრემიის მოსაპოვებლად 2013 წელს ჟურნალში გამოქვეყნებული საუკეთესო სტატიისათვის. პრემია მიეკუთვნება სტატიას, რომელსაც გამოავლენს მაღალკვალიფიციური ჟიური, სამეცნიერო სტატიისათვის წაყენებული მოთხოვნებიდან გამომდინარე.

პრემიის მფლობელს გადაეცემა შესაბამისი დიპლომი და ფულადი პრემია 300 ლარის ოდენობით.

2008 წლიდან დაარსდა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, რომელიც გამოდის პერიოდულად.

შრომების კრებულში დაიბეჭდება მეცნიერ ეკონომისტთა (მეცნიერებათა დოქტორები, აკადემიური დოქტორები) შრომები, ასევე, ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტებისა და პრაქტიკოს ეკონომისტთა სათანადო მეცნიერული დონის სტატიები.

ავტორთათვის კრებულში სტატიების გამოსაქვეყნებლად მოქმედებს შემდეგი წესები:

1. კრებულში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური – TIMES NEW ROMAN).
4. ერთი გვერდის ღირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: economics_institute@yahoo.com, nbibilashvili@rambler.ru

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და კრებულის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

ღამათაბითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ტ.: 299-68-53.

**პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის
გამომცემლობა**

ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე

შედავითიან ფასებში

გთავაზობთ ნებისმიერ საგამომცემლო საქმიანობას:

- მასალის აკრეფა, დაკაბადონება, რედაქტირება

გამოიცემა:

- სამეცნიერო წიგნები და ნაშრომები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ცნობარები
- პერიოდული გამოცემები (სამეცნიერო შრომათა კრებული, სამეცნიერო ჟურნალები, კონფერენციის მასალები)
- ორიგინალური და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, საბავშვო წიგნები, ალბომები და გზამკვლევები
- ელექტრონული დარგობრივი ჟურნალები

მისამართი: თბილისი, გერონტი ქიქოძის ქ. №14

293 22 60; 551 10 07 04.

ელ.ფოსტა: economics_institute@yahoo.com

ჟურნალ “ეკონომისტი” სტატიების წარმოდგენის წესები

1. ჟურნალში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალთ, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური და რუსული TIMES NEW ROMAN).
4. ჟურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. რედაქციის მიერ სტატიის წარმოდგენის თარიღად ჩაითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი.
5. სტატია, რომელიც სრულად არ პასუხობს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს, რედაქციის მიერ არ მიიღება.
6. ერთი გვერდის ღირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: economics_institute@yahoo.com, tealazarashvili@rambler.ru

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და ჟურნალის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

დამატებითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ტ.: 293-34-44; 599 97 01 03.

GEL

მიმღები	მიმღები: თსუ/ანგარიში პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტისათვის
	მიმღების IBAN ანგარიშის # GE72 BR00 0001 0405 5894 42
მიმღების ბანკი	ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა“
	ბანკის BIC კოდი: REPLGE22

THE RULES OF HANDING IN SUBMISSION THE REPORTS TO THE
JOURNAL “ECONOMISTI”

1. Scientific works sent to publish should be the result of independent research. The work should guarantee copyrights and should not be published in other organs.
2. An original paper sent to editorial board must be signed by the author, and in case of coauthorship – by all authors, providing names, first names, position, degrees, titles, full address, telephone, fax and e-mail.
3. The paper should be printed by computer with 1,5 spacing, A4 format, 12 font. The articles should be sent to editorial board in two printed copies together with electronic version (MS WORD, Georgian text font - AcadNusx, English text font - Times New Roman).
4. Articles are published in succession of their receiving by the editorial staff. If an article is sent back to the author for revision the data of receiving the final text is regarded as date of submission for consideration.
5. Price of a page – 10 \$.

The paper not meeting these requirements is not taken for consideration.

The articles should be sent by e-mail to the address: **economics_institute@yahoo.com**,
tealazarashvili@rambler.ru

Institute managers and editorial staff is ready for collaboration.

For additional information, please, connect to the address: Tbilisi, 14 Kikodze str.,
tel: 293 34 44

USD

BENEFICIARY	Beneficiary's name: TBILISI STATE UNIVERSITY
	Beneficiary's IBAN NO: GE72 BR00 0001 0405 5894 42
BENEFICIARY BANK	BANK “REPUBLIC” Tbilisi, Georgia
	Correspondent Acc. 00195464 SWIFT: REPL GE 22
INTERMEDIARY BANK	SOCIETE GENERALE, N.Y., USA
	SWIFT: SOGE US 33

ჟურნალი “**ეკონომისტი**”

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.
E-mail: economics_institute@yahoo.com

Journal “**Economisti**”

Edress: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103
E-mail: economics_institute@yahoo.com

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

რედაქტორი **ნატო აბესაძე**

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor **Nato Abesadze**